

2001

ISSN – 0321 – 1665
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე
Известия Академии Наук Грузии
Proceedings of the Georgian Academy of Sciences

საქართველოს
მეცნიერებათა
აკადემიის
მაცნე

ბიოლოგიური სერია
БИОЛОГИЧЕСКАЯ СЕРИЯ
BIOLOGICAL SERIES

2001 № 1-3 27



ბიოლოგიური სერია
БИОЛОГИЧЕСКАЯ СЕРИЯ
BIOLOGICAL SERIES

2001 № 1-3

ტომი
TOM
VOL.

27

ქურნალი დაარსებულია 1975 წელს
Журнал основан в 1975 году
Founded in 1975

სარედაქტო კოლეგია



მთავარი რედაქტორი: **გ. ოკუჯავა**

მთავარი რედაქტორის მოადგილე: **თ. ონიანი**

სწავლული მდივანი: **გ. ბექაია**

ლ. გაბუნია, მ. ზაალიშვილი, ი. ელიავა, გ. თუმანიშვილი,
გ. კვესიტაძე, ქ. ნადარეიშვილი, გ. ნახუცრიშვილი, გ. სანაძე,
თ. ჭანიშვილი, ხ. ჯავახიშვილი

პასუხისმგებელი მდივანი: **ა. ქორელი**

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:

Главный редактор: **В.М. Окуджава**

Зам. главного редактора: **Т.Н. Ониани**

Ученый секретарь: **Г.Л. Бекая**

ლ.К. Габуния, Н.А. Джавахишвили, М.М. Заалишвили, Г.И. Квеситадзе,
К.Ш. Надарейшвили, Г.Ш. Нахуцришвили, Г.А. Санадзе,
Г.Д. Туманишвили, Т.Г. Чанишвили, И.Я. Элиава

EDITORIAL BOARD:

Editor-in-Chief:

V. Okujava

Associate Editor:

T. Oniani

Editorial Secretary:

G. Bekaia

Т. Чанышвили, И. Элиава, Л. Габуния, Н. Джавахишвили, Г. Квеситадзе,
К. Надарейшвили, Г. Нахуцришвили, Г. Санадзе, Г. Туманишвили, М. Заалишвили

Executive Secretary: **A. Koreli**

გამომცემლობა *მეგობარი*, 2001
Publishing house *Megobari*, 2001

თბილისი, 380060, ლ. გოთავას 14

შესკრინება

СОДЕРЖАНИЕ

CONTENTS

ВЛИЯНИЕ ПРЕДВАРИТЕЛЬНОЙ ДЕСТРУКЦИИ ЭКСТРАТАЛАМИЧЕСКИХ ЯДЕР НА КРАТКОСРОЧНУЮ ПАМЯТЬ

О. К. Ахметелашвили, И. А. Мелкадзе

ეძსტრათალაზური პირთვების ფინასტარი ღესტრუქციის ბავლენა
მოყლევადიან მოხსიერებაზე

ო. ახმეტელაშვილი, ი. მელქაძე 1

ნატრიუმის ჰიდროფოსფატის ბავლენა ცენტრომერული პეტერო-
ძრომატინის პეტერომორფიზაზე მოხსენი და საშუალო ასაკის
ინდივიდების გლასტრანსფორმირებულ ლიმფოციტებში

ნ. ბაბლიშვილი, ნ. დვალიშვილი, ნ. ნიბლაძე

INFLUENCE OF SODIUM HYDROPHOSPHATE
ON THE HETEROMORPHISM OF CENTROMERIC HETEROCHROMATIN
IN BLASTTRANSFORMED LYMPHOCYTES OF OLD- AND MIDDLE-AGED INDIVIDUALS

ნ. Bablishvili, N. Dvalishvili, N. Nibladze 7

არაგავერმენტებელი ბრაზ-უარყოფითი გაძტერიების
ეტიოლოგიური მნიშვნელობა ძირუბიული პროცესის კლინიკებში

ნ. გაჩეჩილაძე, დ. წიკელაძე

IMPORTANCE OF GRAM-NEGATIVE NON-ENZYMATIC BACTERIA
IN SURGICAL CLINICS

Kh. Gachechiladze, D. Chikviladze 13

PSEUDOMONAS AERUGINOSA-ს როლის შესფაგლა
პრაკტიკური ინფექციების ჩამოყალიბებაზე

ნ. გაჩეჩილაძე, დ. წიკელაძე

INVESTIGATION OF PSEUDOMONAS AERUGINOSA ROLE
IN DEVELOPMENT OF THE HOSPITAL INFECTIONS

Kh. Gachechiladze, D. Chikviladze 19

ფსეუდომონებას, აკინეტობაქტერის და მორაქსელას
კონსაიტაციური განავითარების მიზანების შესწავლა

ხ. გაჩეჩილაძე, დ. ჩიკვილაძე

INVESTIGATION OF BIOLOGICAL PROPERTIES
IN *PSEUDOMONAS, ACINETOBACTER* AND *MORAXELLA* HOSPITAL STRAINS

Kh. Gachechiladze, D. Chikviladze 25

ОБ УЧАСТИИ МОНООКСИГЕНАЗНОЙ СИСТЕМЫ
В ПРОЦЕССАХ АДАПТАЦИИ РАСТЕНИЙ

Т. Г. Варазашвили, М. В. Курашвили, М. В. Прудзини, М. Ш. Гордезиани

მონოოქსიგენაზური სისტემის მონაწილეობის შესახებ

მცენარის ადაპტაციურ პროცესებში

თ. ვარაზაშვილი, მ. ყურაშვილი, მ. ფრუიძე, მ. გორდეგზიანი 33

ღვინის საცუარში ინდუცირებული პირობითლეფაციური რადიო-
მბრძობიარე გუტანების დამოკიდებულება გაღალი ტემპერატურისადმი

თ. ზარნაძე, ა. შათირიშვილი

INDUCED CONDITIONALLY LETHAL RADIOSENSITIVE MUTANTS OF WINE YEASTS
AND THEIR RELATIONS TO HIGH TEMPERATURE

T. Zarnadze, A. Shatirishvili 39

ციტოაკთობენცური გამჭვირიების მიმართ საეცივიცური

ზობიერთი გამჭვირიცვაბის ბიოლოგიური მიზანების შესწავლა

გ. თელიაშვილი, მ. დავითაშვილი, ხ. ლაშხი, თ. ხუცუნაშვილი,

თ. კობერიძე, დ. გორგელიძე, გ. ცერცევაძე, თ. ჭანიშვილი

STUDY OF BIOLOGICAL PROPERTIES OF SOME BACTERIOPHAGES
SPECIFIC TO PHYTOPATHOGENIC BACTERIA

M. Tediashvili, M. Davitashvili, N. Lashkhi, T. Khukhunashvili, T. Koberidze,

D. Giorkhelidze, G. Tservadze, T. Chanishvili 45

ენტერობაქტერიების ოჯახის ზარმობადგენების ეტიოლოგიური როლი
ჰრილობის ჩირძოვან-ანთებითი პროცესების განვითარებაში

თ. იოსებაშვილი, დ. ჩიკვილაძე

ROLE OF *ENTEROBACTERIACEAE* MICROORGANISMS
IN DEVELOPMENT OF PYO-INFLAMMATORY PROCESSES

T. Iosebashvili, D. Chikviladze 53

გენტერობაძე არიების აათოგენობის ზაქტორების გამოვლენა
 და მათი როლის შესფაცლა დამყვრობის ჰრილობის
 ინფექციური გართულებების განვითარებაში

თ. იოსებაშვილი, დ. ჩიკვილაძე

STUDY OF THE ROLE OF THE *ENTEROBACTERIACEAE* FAMILY
 MICROORGANISMS WITH COMBINED FACTORS OF PATHOGENITY
 IN DEVELOPMENT OF INFECTIOUS COMPLICATIONS IN BURN WOUNDS

T. Iosebashvili, D. Chikviladze 59

ჰრილობის ჩირდოვან-ანთებითი ინფექციების დროს გამოყოფილ
 გენტერობაძე არიების ზოაზებში აღვენიური თვისებების გამოვლენა
 თ. იოსებაშვილი, დ. ჩიკვილაძე

ASSESSMENT OF ADHESIVE PROPERTIES OF THE ENTEROBACTERIAL STRAINS
 ISOLATED DURING PYO-INFLAMMATORY INFECTIONS IN THE WOUNDS

T. Iosebashvili, D. Chikviladze 65

EFFECT OF TEMPERATURE ON THE GROWTH OF LACTIC ACID BACTERIAL SPECIES

I. Malkhazova, K. Javakhishvili, N. Mitaishvili, M. Merabishvili,
 G. Natroshvili, N. Chanishvili

ტემპერატურის გავლენა სხვადასხვა სახეობის რძემშავა გაძტერის ზრდაზე
 ა. მალხაზოვა, ქ. ჯავახიშვილი, ნ. მითაიშვილი, მ. მერაბიშვილი,
 გ. ნატროშვილი, ჩ. ჭანიშვილი 71

МОРФОЛОГИЧЕСКИЕ ОСОБЕННОСТИ ГЕПАТОЦИТОВ ПРИ АПОПТОГЕННОМ
 ВОЗДЕЙСТВИИ ЦИКЛОГЕКСИМИДА И КОМПЛЕКСНОМ ВОЗДЕЙСТВИИ
 ХЛОРАМФЕНИКОЛА И ЦИКЛОГЕКСИМИДА

Т. Г. Мамаашвили, Э. Л. Микадзе, Г.Д. Туманишвили

პეპატოციტების მოწოდების თავისებურებები აარატობენური
 ციკლოვაესივიზის და ქლორამფენიკოლის და ციკლოვაესივიზის
 კომალემსური ზემოქმედების შემდეგ

თ. მამაცაშვილი, ე. მიქაელი, გ. თუმანიშვილი 77

ВЛИЯНИЕ ДЕСТРУКЦИИ ЯДЕР ШВА НА КРАТКОСРОЧНУЮ ПАМЯТЬ
 И. А. Мелкадзе, О. К. Ахметелашвили

ნაკრის პირთვების დესტრუქციის გავლენა მოკლევადიან გეხსიერებაზე
 ი. მელქაძე, თ. ახმეტელაშვილი 85

IDENTIFICATION OF THE LACTIC ACID BACTERIAL CULTURES
ISOLATED FROM THE SAMPLES OF THE CAUCASIAN MATSONI

M. Merabishvili, N. Chanishvili

გავკასიური გაფანის 600შვებიდან გამოყოფილი
ლაპტოპაძტერიების კულტურების 0დენტიფიკაცია

მ. მერაბიშვილი, ნ. ჭანიშვილი.....91

РОЛЬ АПОПТОЗА В РАННЕЙ ФАЗЕ РЕГЕНЕРАЦИИ ПЕЧЕНИ КРЫСЫ

Э. Л. Микадзе, Т. Г. Мамацашвили

აპოპოზის ორი ვირთაგვას ღვიძლის რეგენერაციის აღრეულ ვასაზი

ე. მიქაძე, თ. მამაცაშვილი.....97

EEG CHARACTERISTICS OF PHOTIC DRIVE

IN 8-15 YEARS OLD CHILDREN WITH KIMMERLE ANOMALY

M. Mikadze, O. Toidze, T. Ioseliani

რიტმის ათვისების ებბ მაჩვენებელი

8-15 წლის გავვეგზი კიმერლეს ანომალიით

ე. მიქაძე, თ. თოიძე, თ. იოსელიანი.....109

SEX DIFFERENCES IN THE PHOTIC DRIVE RESPONSE OF

8-15 YEARS OLD NORMAL AND ADHD CHILDREN

M. Mikadze, O. Toidze, T. Ioseliani

სძენებრივი განსხვავებები რიტმის ათვისების ებბ გახასიათებლების

მიხედვით 8-15 წლის კანსაღ და ურადვების ღებიციტისა და

პიკერადფიტის სინდრომის გძრევების გამო

ე. მიქაძე, თ. თოიძე, თ. იოსელიანი.....119

მონაცემები აღმოსავლეთ საქართველოში ტკიცისმიერი პორელიოზის

(სპიროჩეტოზის) გადამტანების გუნდებით კერძის არსებობის შესახებ

მ. მიქაია

DATA ON EXISTENCE OF TICK-BORN BORRELIOSIS (SPIROCHAETOSIS=VECTORÄS)
NATURAL-ENDEMIC AREAS IN EASTERN GEORGIA

M. Mikaia.....129

გორავარატ HETERORHABDITIS POINARI-ს გამოცდა ლაბორატორიულ

და საველე აირობების

მ. მიქაია

TESTING OF BIOPREPARATION HETERORHABDITIS POINARI

IN LABORATORY AND FIELD CONDITIONS

N. Mikaia,137

აათობენერი მოპროცესანიზმების აცეიბიოტიკებისადმი
რეზისტენციის ცვალებადობის ღონის შესფაცლა

მ. მიქელაძე, დ. ჩიქვილაძე

INVESTIGATION OF THE ANTIBIOTIC-RESISTANCE ALTERATION RATE
IN THE PATHOGENIC MICROORGANISMS

M. Mikeladze, D. Chikviladze 143

სხვადასხვა ჯგუფის ბრაზ-უარმოზითი კლინიკური მიპროცესული ჟტამების
პოლიფაზობის თავისებურებების დახასიათება

მ. მიქელაძე

BIOLOGICAL CHARACTERISTICS OF THE GRAM-NEGATIVE CLINICAL
MICROBIAL STRAINS OF DIFFERENT GROUPS

M. Mikeladze 151

პოსაიტალური ინფექციების გამომვევი კოლიერზისტენციი ჟტამების
კლაზმოდური ანალიზი

მ. მიქელაძე, დ. ჩიქვილაძე

PLASMID ANALYSIS OF THE HOSPITAL INFECTION POLYRESISTANT STRAINS

M. Mikeladze, D. Chikviladze 157

კასტრირებული ცხოველების თირკმელზედა ჯირკვალში
ალოქსაცირი დიაბეტით გამოწვეული ცელილებები

ლ. ნიჯარაძე

THE CHANGES IN ADRENAL CORTEX
OF THE CASTRATED ANIMALS WITH ALLOXAN DIABETES

L. Nijaradze 163

ცეპლინის მჟავების სიცონის ცვლილებები თირკმელზედა ჯირკვალში
ალოქსაცირი დიაბეტის განვითარებისას

ლ. ნიჯარაძე

CHANGES OF NUCLEIC ACIDS SYNTHESIS IN ADRENAL GLAND
DURING DEVELOPMENT OF ALLOXAN DIABETES

L. Nijaradze 169

გავშვთა კეთილთვისებიანი აარციალური ეპილეპსიებისა
და გათი მონათესავე სიცეროგების მკურნალობის თავისებურებები

ნ. ოკუჯავა

THERAPEUTIC PECULIARITIES OF BENIGN PARTIAL EPILEPSIES OF
CHILDHOOD AND RELATED SYNDROMES

N. Okujava 175

VI

კარბამაზეპინისა და მისი აძლიური მეტაბოლიტის კარბამაზეპინ-10,11-ეპოქსიდის ზარგარობისთვის ასაკობრივი თავისებურებები	
6. ოქუჯავა, ვ. ოქუჯავა	
PHARMACOKINETICS OF CARBAMAZEPINE AND ITS ACTIVE METABOLITE CARBAMAZEPINE-10,11-EPOXIDE: AGE RELATED PECULIARITIES	
N. Okujava V. Okujava.....	189
 EQUIPMENT FOR COMPLEX STUDY OF THE MOTION SICKNESS IN THE CAT	
V. Okujava, T. Natishvili, Z. Chubinishvili	
 ააპრატურა პატეგში მოძრაობის დაავადების კომპლექსური ჭრავლისათვის	
3. ოქუჯავა, თ. ნათიშვილი, ზ. ჩუბინიშვილი.....	199
 DYNAMICS OF THE LEVEL OF EXCITABILITY AND ACTIVITY OF THE BRAINSTEM AND DIENCEPHALIC ASCENDING ACTIVATING STRUCTURES IN THE SLEEP-WAKEFULNESS CYCLE	
T. Oniani, M. Mgaloblishvili, M. Gogichadze, N. Lordkipanidze, L. Maisuradze, E. Chijavadze, Sh. Manjavidze, N. Oniani, N. Nachkebia, M. Koridze, M. Kavkasidze	
 დეროსა და ჭუამღებარი ფაზის აღმავალი გამააპტივებელი სტრუქტურების აბზებადობისა და აძლიურობის ღონის დინამიკა ძილ-დანძილის ციკლში	
თ. ონია, მ. მგალობლიუმიშვილი, მ. გოგიშვილი, ბ. ლორდკიპანიძე, ლ. მაისურაძე, გ. ჩიჯავაძე, ზ. მანჯავიძე, მ. კორიძე, მ. კავკასიძე, მ. ქორიძე, მ. ქავებაძე	205
 КИЛЛЕРНЫЕ СИСТЕМЫ ВИННЫХ ДРОЖЖЕЙ	
Т. Г. Садагишивили, Т. И. Зарнадзе, М. В. Менабде, А. Ф. Шатиришвили	
 KILLER SYSTEMS IN ENDEMIC FORMS OF WINE YEASTS	
T. Sadagishvili, T. Zarnadze, M. Menabde, A. Shatirishvili.....	225
 ГИПЕРБАРИЧЕСКАЯ ОКСИГЕНАЦИЯ В КОМПЛЕКСЕ ЛЕЧЕНИЯ ЯЗВЕННОЙ БОЛЕЗНИ ДВЕНАДЦАТИПЕРСТОЙ КИШКИ	
М. В. Шакарашвили, Ц. Ш. Джанелидзе, А. В. Чанишвили, Н. Челидзе	
 ჰიპერბარული ოქსიგენაცია თორმებორიგისა ნაწლავის ყყლულის გაურნალობის კომალებაში	
ა. შაქარაშვილი, ც. ჯანელიძე, ა. ჭანიშვილი, ნ. ჭელიძე	231

**ROLE OF FREE RADICAL PROCESSES IN EXPERIMENTAL MODEL OF
PROLIFERATIVE VITREORETINOPATHY (PVR) AND METHODS OF THEIR CORRECTION**

G. Chichua, T. Sanikidze, V. Bakhutashvili

თავისუფალრადიკალური პროცესების როლი პროლიფერატიული ვიტრეორეტინოპათიის (PVR) ემსავირიმენტულ მოდელზე და გათი კორექციის მთლიანობის	237
გ. ჩიჩუა, თ. სანიკიძე, გ. ბახუტაშვილი	237
ВЛИЯНИЕ СРЕДСТВА ФАГОБИОДЕРМ НА ИММУННУЮ СИСТЕМУ В ЭКСПЕРИМЕНТЕ	
Т. Г. Цинцадзе	
საშუალება „ვაგონომდემბის“ გავლენა იმмунной სის템е ემსავირიმენტზე	
თ. ცინცაძე	247
АКТИВНОСТЬ ON-OFF КАНАЛОВ КОЛБОЧКОВОЙ СИСТЕМЫ СЕТЧАТКИ В ДИАГНОСТИКЕ ЗАБОЛЕВАНИЙ ЗРИТЕЛЬНОГО НЕРВА	
Э. А. Цициашвили	
გადურას კოლგების სისტემის ON-OFF-არხების აქტიურობა მხედველობის ნივთის დაგადებათა დიაგნოსტიკაზე	
ე. ციციაშვილი	253
АКТИВНОСТЬ ON-OFF КАНАЛОВ КОЛБОЧКОВОЙ СИСТЕМЫ СЕТЧАТКИ В ОФТАЛЬМОГЕРИАТРИИ	
Э. А. Цициашвили	
გადურას კოლგების სისტემის ON-OFF-არხების აქტიურობა ოფთალმოგერიატრიაზე	
ე. ციციაშვილი	259
გეფალთა იონების გავლენა გირთვაკის მარგანიზაციის რაიონების ასოციაციურ აქტივობაზე ასაკთან დაკავშირებით	
თ. ჯოხაძე, ნ. ბაბლიშვილი, თ. ბუაძე, ნ. თადუმაძე, თ. ლეჟავა	
THE EFFECT OF METAL IONS ON THE ACTIVITY OF CHROMOSOME NUCLEOLAR ORGANIZING REGIONS IN RELATION TO AGE	
T. Jokhadze, N. Bablishvili, T. Buadze, N. Tadumadze, T. Lezhava	265

ВЛИЯНИЕ ПРЕДВАРИТЕЛЬНОЙ ДЕСТРУКЦИИ ЭКСТРАТАЛАМИЧЕСКИХ ЯДЕР НА КРАТКОСРОЧНУЮ ПАМЯТЬ

O. K. Ахметелашвили, И. А. Мелкадзе

Научно-исследовательская лаборатория прикладной физиологии биологического факультета Тбилисского Государственного университета им. И. Джавахишвили

Принято 4.06.2001

На белых лабораторных крысах изучали влияние предварительной деструкции синего пятна (СП) и ядер шва среднего мозга на краткосрочную память. Для характеристики мотивационно-эмоциональной сферы и индивидуально-типологических особенностей животных использовали тест "открытого поля". Краткосрочную память изучали непрямым методом классических отсроченных реакций (КОР) в Т-образном лабиринте.

Ключевые слова: ядра шва, синее пятно, краткосрочная память, крысы

Изучение функциональной организации процессов обучения и памяти является одним из актуальных проблем современной нейрофизиологии. В регуляции этих процессов ведущую роль играют специфические вещества – биогенные амины. К числу структур, синтезирующих эти вещества, относятся и экстрапаталамические ядра. Их терминальные окончания без всякого переключения моносинаптически проецируются на разных областях и слоях неокортика и осуществляют на кору многоплановое воздействие [15]. Само существование и природа этих экстрапаталамических проекций выдвигает на передний план множество вопросов в организации и функционировании коры, в том числе и изучение их роли в интегративной деятельности головного мозга. Исходя из этого, нашей целью было изучение предварительного повреждения

СП (норадренергическая система) и дорсального (ДЯШ) и медиального (МЯШ) ядра шва среднего мозга (серотонинергическая система) на краткосрочную память.

Исходя из литературных данных принято считать, что серотонинергические и норадренергические системы принимают участие в формировании процессов обучения и памяти [8, 17, 21], в регуляции мотивационно-эмоциональной сферы [2, 14], в циклах бодрствование – сон и циркадных ритмов [14], ориентировочно-исследовательской реакции [9, 19], депрессивного состояния [14, 18], болевой чувствительности [10, 20] и локомоции [5, 16].

Животные были разделены на две группы: I гр. – контрольные, II гр. – с предварительно поврежденными ядрами. Опыты проводились на белых лабораторных крысах обоего пола описанным нами методом [7]. Максимум отсрочки устанавливали как на контрольных, так и на животных с предварительно поврежденными ядрами. Усредненный показатель максимума отсрочки у контрольной группы был равен 30-35 секундам.

Для билатерального повреждения СП и, как раздельно, так и одновременно, ДЯШ и МЯШ из источника постоянного тока (ТИП АТ-33) в течение 20 сек. с помощью имплантированных макроэлектродов в мозг животных пропускали ток 1,5 мА, который вызывал хорошо отличавшийся некроз. С целью идентификации поврежденных структур проводили гистологический контроль.

Надо отметить то обстоятельство, что тестирование в ОП нам давало возможность выявить те индивиды, которые должны были бы отличаться высокой способностью в обучении, так как исходя из литературных данных [3, 11], те животные, которые при тестировании в ОП характеризовались высоким уровнем спонтанной двигательной активности и ориентировочно-исследовательских реакций, выделялись и высоким уровнем обучения, что и подтверждалось в опытах. Измерение максимума отсрочки мы проводили именно на этих животных.

Исходя из экспериментальных данных, при сравнении этограм животных с предварительно поврежденными ядрами и контрольных животных отмечались резкие различия. У животных с предварительно поврежденным СП наблюдалось резкое снижение спонтанной двигательной и ориентировочно-исследовательской активности на фоне ярко выраженных реакциях страха.

На следующем этапе экспериментов повреждали ДЯШ и МЯШ, как по отдельности, так и одновременно, что вызывало эффект, противоположный результату повреждения СП. Он выражался повышением спонтанной двигательной активности. В результате у этих животных резко снизились, по

сравнению с контрольными, показатели ориентировочно-исследовательских реакций. Полученные данные вполне соответствуют литературным данным [1, 9, 10], исходя из которых, повышенная двигательная активность животных зависит от высокого уровня норадреналина в коре, и наоборот низкого уровня серотонина. По данным Шугалова и Хартмана [12] деструкция ДЯШ, где расположены серотонин-синтезирующие клетки, вызывает повышение как спонтанной двигательной активности так и реактивности животных на необычные раздражители. По данным Громовой [6] фармакологическая стимуляция серотонинергической системы подавляет двигательную активность животных, понижает уровень эмоционально-стрессовых реакций, вызывает продолжение периода сна, а системное введение предшественника серотонина 5-окситриптофана [13] или локальная инъекция серотонина в гиппокамп [4] - вызывает облегчение процесса внутреннего торможения. По данным Горбуновой и Беляевой [5], инактивация норадренергической системы вызывает не только угнетение спонтанной двигательной активности, а также существенное понижение общего уровня возбудимости ЦНС.

Максимум отсрочки, как отмечалось выше, у контрольных животных равнялся 30-35 секундам. А у предварительно СП, ДЯШ и МЯШ как раздельно, так и одновременно поврежденных животных резко изменялся.

Таблица 1

Отсрочка (сек.)	Процент правильн. реакции контрольных животных	Процент правильных реакций животных с предварительно поврежденными ядрами				Колич. проб
		СП	ДЯШ	МЯШ	ДЯШ и МЯШ	
0	100	92	90	90	77	10
5	98	90	90	85	-	10
10	96	88	83	79	-	10
15	92	82	78	70	-	10
20	91	80	74	68	-	10
30	90	75	70	62	-	10
40	85	70	65	60	-	10

Надо отметить тот факт, что уровень дискриминации условных сигналов у животных с предварительно поврежденными ядрами был значительно ниже в

отличие от контрольных, что по нашему мнению должно свидетельствовать о важной роли этих структур в восприятии и переработке сенсорной информации. У животных с предварительно поврежденным СП максимум отсрочки был равен 5-10 сек, у ДЯШ-поврежденных – 0-5 сек, у МЯШ-поврежденных – около нуля, а одновременно ДЯШ- и МЯШ-поврежденным не удалось достичь даже 100% дискриминации условных сигналов, а что касается отсроченных реакций, то они вообще не наблюдались. У животных с поврежденным СП увеличен латентный период побежки к кормушкам, и наоборот, у ядра шва животных в поврежденными ядрами шва он уменьшается. У животных с предварительно поврежденным СП в период отсрочки на фоне ярко выраженной реакции страха значительно возрасло число грумингов, что явно мешало им в сосредоточении внимания. Это, по нашему мнению, является одной из причин повышения числа неправильных реакций. Животные с как раздельно, так и одновременно поврежденными ДЯШ и МЯШ в результате гиперактивности в период отсрочки стремились освободиться от стартового отсека и в отличие от контрольных животных, которые во время отсрочки отличались высокой концентрацией внимания, становились легко отвлекаемыми. После освобождения из стартового отделения лабиринта, они нередко двигались к точке выбора и, по всей вероятности, там принимали решение о выборе кормушки, что, по видимому, и является одной из причин возрастания количества неправильных реакций.

Анализ экспериментальных данных позволяет сделать следующие выводы:

1. повреждение СП, ДЯШ, и МЯШ мешает животным сконцентрировать внимание;
2. повреждение этих ядер отрицательно действует на способность формирования ассоциации между условными и безусловными раздражителями;
3. возрастание числа неправильных реакций при повреждении этих ядер, в первую очередь, должно быть вызвано нарушением баланса нейромедиаторов в коре головного мозга;
4. ухудшение памяти, возрастание числа неправильных реакций, видимо вызвано как непосредственным ухудшением процесса запоминания, так и дефицитом концентрации внимания в период отсрочки.

ЛИТЕРАТУРА

1. Թյուկամյ օ.օ. քա տանազթ. Պազո Կազով այնու վայսեցու (BSES) թյշ. մայոյտեա III ևայրտ. յտբց. Դրամդյօ. Վյալոյյօ, 2001, օջ. 153-155.
2. Августович Д.Ф., Литина Т.В. и др. Журн. высш. нервн. деят., 1998, 48, 331.
3. Бондаренко Н.А., и др. Бюл.эксперим.Биол.и мед., 1988, 106, 168 -170.
4. Гасанов Т.Г., Исаилова Х.Ю. Центральные механизмы компенсаторного восстановления функции. Ереван. Изд. АН Армении, 1983, 56-59.
5. Горбунова А.В., Белова Т.И. Журн. высш. нервн. деят., 1992, 42, 363-368.
6. Громова Е.А. Эмоциональная память и ее механизмы, М.: Наука, 1980, 179.
7. Мелкадзе И.А., Ахметелашвили О.К. Известия Академии наук Грузии, Серия биол., 2001, 27, 1-3, 85-90.
8. Молодцова Г.Ф., Илюченок Р.Ю. Журн. высш. нервн. деят., 1998, 48, 464-468.
9. Трекова Н.А., Хлопушкина Т.Г. и др. Журн.высш. нервн.дяят., 1998, 48, 251-256.
10. Трекова Н.А., Вертиле Л.А. и др. Журн. высш. нервн. деят., 1999, 49, 799-805.
11. Трофимов С.С. и др. Журн. высш. нервн. деят., 1992, 42, 390-392.
12. Шугалев Н.П. Хартман Г. Журн. высш. нервн. деят., 1992, 42, 384-386.
13. Шугалев Н.П. Журн. высш. нервн. деят., 1986, 36, 652-659.
14. Харт К. Секреты Серотонина. Минск, 1998.
15. Foot S.L., Morrison H.I. Ann. Rev. Neurosci. 1987, 10, 67-95.
16. Jacobs, Barry L. Journal of Clinical Psychiatry, 1991, 51(Suppl), 17-23.
17. Luciana M. et.al. Cerebral cortex B8. 80-96.Copyright 1998 by Oxford University Pr.
18. Meltzer, Herbert J. Ann. New-York Acad. Sci., 1990, 600, 486-500.
19. Stekber, Thomas, Arjun Sahgal. Behavioral Brain Research, 1995, 67:165-199.
20. Wang, Quing-Ping, Yasumitsu Nakai. Brain Res. Bull., 1994, 34, 555-585.
21. Ward B.O. et al. Behav. Brain Res., 1999, 100, 51-65.

ესსტრატალიაზაციი გირივების ფინანსური დასტრუქციის გამდენი მოძღვადიან გენერაციაზე

თ. ახმეტელაშვილი, ი. მელქაძე

თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის გამოყენებითი ფიზიოლოგიის I/კ ლაბორატორია

რეზიუმე

ჩვენს მიზანს წარმოადგენდა შეგვესწავლა ლურჯი ლაქას (ლლ) და შუა ტვინის ნაკერის დორსალური და მედიალური ბირთვების – (ნდბ) და (ნმბ) წინასწარი დესტრუქციის გავლენა მოკლევადიან მეხსიერებაზე. ამ მიზნით გამოვიყენეთ ე.წ. “ღია ველისა” და სივრცითი დაყოვნებული რეაქციების არაპირდაპირი მეთოდები. ლლ-ას, ნდბ-ს და ნმბ-ს ცალ-ცალკე წინასწარმა დაზიანებამ გამოიწვია დაყოვნების მაქსიმუმის მქონეთრი შემცირება საკონტროლო ცხოველებთან შედარებით. ნდბ-სა და ნმბ-ს ერთდროული დაზიანების შემთხვევაში კი ვერ მივაღწიეთ პირობითი სიგნალების 100% დისკრიმინაციას. ბუნებრივია, აქედან გამომდინარე დაყოვნებულ რეაქციებზე გადასვლა შეუძლებელი იყო.

საქ. მეცნ. აკად. მაცნე, სერ. ბიოლ., 2001, გ. 27, № 1-3.

Известия АН Грузии, сер. биол., 2001, т. 27, № 1-3.

Proc. Georgian Acad. Sci., Biol. Ser., 2001, vol. 27, No 1-3.

ნატრიუმის პიღოფოსფატის გავლენა ცენტრომერული ჰეტეროქრომატინის ჰეტერომორფიზმი მოხსენი და საშუალო ასაკის ინდივიდების გლასტრანს- ფორმირებაზე ლიმფოციტები

ნ. ბაბლიშვილი, ნ. დვალიშვილი, ნ. ნიბლაძე

ი. ჯავახიშვილის
უნივერსიტეტის გენეტიკის კათედრა

სახელობის

თბილისის

სახელმწიფო

მიღებულია 2.04.2001

ქრომატინის მოდიფიკატორის, ნატრიუმის ჰიდროფოსფატის მოქმედება შესწავლილ იქნა 1-ლი, მე-9 და მე-16 ქრომოსომების C-ჰეტეროქრომატულ უბნებზე ორი ასაკობრივი ჯგუფის ინდიგიდთა ბერიფერიული სისხლის ლიმფოციტების კულტურებში. დადა ზომის C-ბლოკები იქნა გამოვლენილი ხანდაზმულ ინდიგიდთა ინტაქტური უჯრედების სამიგე წყვილ ქრომოსომაში საშუალო ასაკის ინდიგიდთა შესაბამის მაჩვენებლებთან შედარებით. Na-ის არაორგანული მარილი, იწვევდა რა ქრომოსომთა დეჰიტეროქრომატინზაციას, გავლენას ახდენდა ცენტრომერული ქრომატინის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე - განსაკუთრებით ეფექტური იყო მისი მოქმედება 1-ლი წყვილი ქრომოსომის მიმართ, ამასთან, ორივე ასაკობრივ ჯგუფში აღინიშნა ინდიგიდთაშორისი გარიაბელობა აღნიშნული მაჩვენებლების მიხედვით.

საკვანძო სიტყვები: ნატრიუმის ჰიდროფოსფატი, ჰეტეროქრომატინი, დაბერება, C-ჰეტერომორფიზმი, ადამიანი

ზოგიერთი პოლიკათიონი, პოლიანიონი და სხვადასხვა იონური ძალის მქონე მარილები ქრომოსომების მიმართ მოდიფიკატორული

აქტივობით ხასიათდებიან [4]. ნატრიუმის ჰიდროფოსფატი ნაერთთა რიცხვს მიეკუთვნება. მარილის დაბალ დოზებს შეუძლიათ გამოიწვიონ ქრომატინის კონდენსაციის ხარისხობრივი ცვლილებები, რაც, თავის მხრივ, გენთა შეცვლილ ექსპრესიაში აისახება [1, 13]. ქრომოსომათა პროგრესული ჰეტეროქრო-მატინიზაციის გამო ხანდაზმულ ინდივიდთა უჯრედები მოდელურ სისტემებად წარმოგვიდგება, სადაც ჭარბად გვხვდება ინაქტივირებული გენების შემცველი კონდენსირებული უბნები, რომლებიც სტრუქტურულ ჰეტეროქრომატინს (C-ჰეტეროქრომატინს) შეიცავენ და პოლიმორფიზმით ხასიათდებიან. ზოგიერთი აგტორი C-ჰეტეროქრომატინს ნეიტრალურ მახასიათებლად წარმოგვიდგენს, სხვები მიუთითებენ C-სეგმენტების კავშირზე სხვადასხვა ფენოტიპურ გამოვლინებებთან, როგორიცაა რეპროდუქციული ფუნქცია, სიმსიგნური დაავადებები, ზოგიერთი ფიზიოლოგიური და ანთროპოლოგიური მაჩვენებლები [5, 6].

ჩვენი კვლევის მიზანი იყო განგვესაზღვრა C-სტრუქტურული ჰეტეროქრომატინის ბლოკების ზომები მოხუც და საშუალო ასაკის ინდივიდებში და შეგვესწავლა Na-ის მარილის მამოდიფიცირებელი მოქმედება აღნიშნულ მაჩვენებლებზე.

მასალა და მეთოდები

კვლევები ტარდებოდა ჯანმრთელი დონორების პერიფერიული სისხლის ლიმფოციტების სტანდარტული მეთოდით მიღებულ ქსოვილურ კულტურებზე. მოხუც ინდივიდთა ჯგუფში გაერთიანებული იყო 70-80 წლის დონორები, საშუალო ასაკობრივი ჯგუფი წარმოდგენილი იყო 20-40 წლის ინდივიდებით. სულ გაანალიზებულ იქნა 8 ახალგაზრდა და 10 ხანდაზმული ინდივიდის C-ბენდირების მეთოდით [16] დამუშავებული 548 მეტაფაზა.

ჩვენს ადრეულ გამოკვლევებში შერჩეულ იქნა ნატრიუმის ჰიდროფოსფატის ის ოპტიმალური, არამუტაგენური კონცენტრაცია, რომელიც ყველაზე ეფექტური იყო მოდიფიკატორული აქტივობის თვალსაზრისით – 2×10^{-6} M. Na₂HPO₄ მიტოგენით სტიმულირებულ

ქულტურას ემატებოდა დადგმიდან 24-ე საათზე. C-ბლოკების ვარიაციების შესაფასებლად ვიყენებდით პატილისა და ლაბსის მიერ მოწოდებულ კლასიფიკაციის სისტემას [11]. 1-ელ, მე-9 და მე-16 ქრომოსომების C-სეგმენტების ზომას ვადარებდით იმავე მეტაფაზის მე-16 ქრომოსომის მოკლე მხარს. გამოყოფილია 5 ვარიანტი:

$a \leq 0,5 \times 16q; 0,5 \times 16q < b \leq 1 \times 16q; 1 \times 16q < c \leq 1,5 \times 16q; 1,5 \times 16q < d \leq 2 \times 16q; 2 \times 16q \leq e$
მოცემული შედეგების სტატისტიკური დამუშავება ხდებოდა ზაქსის ფორმულით [2].

$$\chi^2_{(k-1)} = (n + m) \frac{n}{m} \left\{ \sum_{i=1}^k \frac{\left(\frac{v_i}{n} \right)^2}{\frac{v_i + \mu_i}{n + m}} - 1 \right\}$$

სადაც: v_1 - განსაზღვრული ვარიანტების (a, b, \dots, e) რაოდენობაა ახალგაზრდა ინდივიდების (a, b, \dots, e) ინტაქტური კულტურებში.

μ_1 - განსაზღვრული ვარიანტების (a, b, \dots, e) რაოდენობაა ხანდაზმულ ინდივიდთა (a ნ Na_2HPO_4 -ით დამუშავებულ) კულტურებში.

n - C-სეგმენტების ყველა ვარიანტის რაოდენობა ახალგაზრდა ინდივიდების (a ნ ინტაქტური) კულტურებში.

m - C-სეგმენტების ყველა ვარიანტის რაოდენობა ხანდაზმულ ინდივიდთა (a ნ Na_2HPO_4 -ით დამუშავებულ) კულტურებში.

შედეგები და მათი განხილვა

1-ელ ცხრილში მოცემულია ყველა გამოკვლეული ინდივიდის C-ჰეტეროქრომატინის სუმარული მაჩვენებლები სამივე წევილი (1-ლი, მე-9 და მე-16) ქრომოსომებისთვის. როგორც ცხრილიდან ჩანს, ხანდაზმულ ინდივიდებში c, d და e დიდი ზომის ბლოკები მომატებული სიხშირით აღირიცხებოდა საკონტროლო ჯგუფთან შედარებით, $\chi^2 = 20,45$; $p < 0,001$.

დიტერატურაში გვხვდება ცნობები С-ჰეტეროქრომატინის აბსოლუტური და ფარდობითი სიდიდეების სარწმუნო გაზრდის შესახებ მე-9 და Y ქრომოსომებში [3, 8].

ჩვენს გამოკვლევებში ცალკეული ქრომოსომების მახასიათებლების შედარებითმა ანალიზმა აჩვენა, რომ განსხვავება სტატისტიკურად ყველაზე უფრო მაღალსარწმუნო იყო 1-ლი ქრომოსომისათვის. С-ჰეტეროქრომატინის შეცვლილი ვარიანტების არსებობა შეიძლება აისხნას არასრული კროსინგვერის შედეგად წარმოქმნილი დუპლიკაციებით ჰეტეროქრომატულ რაიონებში, ან ლოკალური დუპლიკაციებით, რომლებიც შვილეულ ქრომატიდთაშორის განხორციელებული არათანაბარი გაცვლებით გამოიწვევა. С-ჰეტერომორფიზმის ახსნის მსგავს მექანიზმს სხვა ავტორებიც გვთავაზობენ [12, 14, 15].

ნატრიუმის ჰიდროფოსფატის $2 \times 10^{-6} M$ კონცენტრაციით დამუშავებული უჯრედების ქრომოსომული პრეპარატების ანალიზმა აჩვენა, რომ საკვლევი მარილი როგორც ახალგაზრდა, ისე ხანდაზმულ ინდივიდებში იწვევდა ცენტრომერული ჰეტეროქრომატინის დეკონდენსაციას. ასეთი დასკვნის გაპეოების საფუძველს იძლევა ჩვენს მიერ მიღებული მონაცემები დიდი ზომის С-ბლოკების სიხშირის შემცირების შესახებ (იხ. ცხრილი 2). საშუალო ასაკობრივ ჯგუფში ნატრიუმის არაორგანული მარილი ასეთ აქტივობას ავლენდა სამივე წყვილი ქრომოსომისათვის (ყველა შემთხვევაში $p < 0,001$), ხანდაზმულ ინდივიდებში კი მხოლოდ 1-ლი ქრომოსომული წყვილის მიმართ ($\chi^2 = 10,67$; $p < 0,05$). ამასთან ორივე ასაკობრივ ჯგუფში აღინიშნა ინდივიდთაშორისი ვარიაბელობა შესწავლილი მაჩვენებლების მიმართ, რაც, შესაძლებელია უკავშირდებოდეს С-ბლოკებში ლოკალიზებული ღნმ-ის მაღალგანმეორებადი თანამიმდევრობების განსხვავებულ შემცველობას [7]. ამ თვალსაზრისით ყველაზე სტაბილური იყო მე-16 წყვილი ქრომოსომა, რაზეც სხვა ავტორებიც მიუთითებენ [11].

ცხრილი 1

C-სეგმენტების ჰეტერომორფიზმი ხანდაზმული და საშუალო
 ასაკის ინდიგიდუების ბერიფერიული სისხლის ლიმფოციტებში

C-სეგმენტების გარიანტები	v_i	μ_i	v_i/n	$v_i+\mu_i/n+m$	χ^2
a	156	115	0,1612	0,1448	$\chi^2=20,45$ $p < 0,001$
b	499	434	0,5155	0,4984	
c	268	272	0,2769	0,2885	
d	40	75	0,0413	0,0614	
e	5	8	0,0052	0,0069	

ცხრილი 2

C-სეგმენტების ჰეტერომორფიზმი ხანდაზმული და საშუალო
 ასაკის ინდიგიდუების ბერიფერიული სისხლის ლიმფოციტებში
 Na₂HPO₄-ს მოქმედების პირობებში

ასაკობრივი ჯგუფი	C-სეგმენტების გარიანტები	v_i	μ_i	v_i/n	$v_i+\mu_i/n+m$	χ^2
საშუალო	a	145	233	0,2548	0,3287	$\chi^2=43,92$ $p < 0,001$
	b	267	264	0,4692	0,4617	
	c	137	78	0,2408	0,1869	
	d	20	6	0,0351	0,0226	
	e	0	0	0	0	
ხანდაზმული	a	97	91	0,1652	0,1645	$\chi^2=8,21$ $p > 0,05$
	b	264	264	0,4497	0,4619	
	c	165	166	0,2811	0,2896	
	d	57	35	0,0971	0,0805	
	e	4	0	0,0068	0,0035	

ლიტერატურა

1. *Баблишвили Н.К., Двалишвили Н.А., Джохадзе Т.А., Лежава Т.А.* Georgian Medical News, 2000, 3, 10-12.
2. *Закс Л.* Статистическое оценивание. М. Статистика, 576, 1976.
3. *Кузнецова С.М., Зарцукая М.Ю.* Цитология и генетика , 1986 20, 409-415.
4. *Aaronson R., Woo E.* J. Cell Biol. 1981, 90, 181-186.
5. *Berger R., Bernheim A., Kristoffersson N. et al.* Cancer Gen. Cytogen., 1985, 18, 37-42.
6. *Fenech M., Morley A.A.* Mutat. Res., 1985, 148, 99-105.
7. *Gosden J.R., Lawries S.S., Cooke H.S.* Cytogen. Cell Genet., 1981, 29, 32-39.
8. *Kuznetsova S.M.* Arch. Gerontol. Geriatr., 1987, 6, 177-186.
9. *Lezhava T.* Chromosomes in very senile age: 80 years and over. Moscou, "Nauka", 3-225, 1999.
10. *Lezhava T., Dvalishvili N.* Age, 1992, 15, 41-43.
11. *Patil S. R., Lubs M.A.* Human Genetics, 1977, 38, 35-38.
12. *Phillips R.B.* Can. J. Genet and Cytol., 1977, 19, 405-413.
13. *Rao P.N., Jonson R.T.* Cell and Molec. Biol., 1974, 3, 135-189.
14. *Simi S.* Human Genetics, 1985, 70, 243-245.
15. *Simi S., Tursi F.* Human Genetics, 1982, 62, 220-317.

INFLUENCE OF SODIUM HYDROPHOSPHATE ON THE HETEROMORPHISM OF CENTROMERIC HETEROCHROMATIN IN BLASTTRANSFORMED LYMPHOCYTES OF OLD- AND MIDDLE-AGED INDIVIDUALS

N. Babilishvili, N. Dvalishvili, N. Nibladze

Department of Genetics, I. Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

The modification effect of sodium hydrophosphate on C-heterochromatin regions was studied in chromosomes 1, 9 and 16 of the cultured peripheral blood lymphocytes obtained from persons belonging to the two age groups. C-bands were found to be enlarged in all observed chromosomes of intact cells of individuals at old age as compared to those of middle age. The inorganic salt of sodium promoting chromosome deheterochromatinization altered the qualitative characteristics of centromeric heterochromatin. It appeared to have the highest effect in chromosome 1. Beyond this, an interindividual variability of studied values was found.

საქ. მეცნ. აკად. მაცნე, სერ. ბიოლ., 2001, გ. 27, № 1-3.

Известия АН Грузии, сер. биол., 2001, т. 27, № 1-3.

Proc. Georgian Acad. Sci., Biol. Ser., 2001, vol. 27, No 1-3.

არამაფერმენტული გრამ-უარყოფითი ბაქტერიების ეტიოლოგიური მნიშვნელობა ქირურგიული პროცედურის პლინიკებში

ხ. გაჩეჩილაძე, დ. ჩიკვილაძე

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიერობით-
ლიგიის, ვირუსოლოგიის და იმუნოლოგიის კათედრა

მიღებულია 26.12.2000

დღესათვის არამაფერმენტული გრამ-უარყოფით ბაქტერიებს განსა-
კუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჩირქოვან-ანთებითი პოსტოპერაციული
გართულებების ჩამოყალიბებაში. იმისათვის, რომ დაგვეღვინა ამ ჯგუფის
მიეროორგანიზნების კლინიკური მნიშვნელობა, გამოკვლეულ ოქა ქ თბილისის
სხვადასხვა ქირურგიული პროფესიის სტაციონარებში 1144 პაციენტიდან
აღებული სხვადასხვა პათოლოგიური მასალა და დადგენილ ოქა მასში
Pseudomonas spp., *Acinetobacter spp.* და *Moraxella spp.* გამოყოფის სისტერე.

საკვანძო სიტყვები: არამაფერმენტული გრამ-უარყოფითი ბაქტერიები,
Pseudomonas spp., *Acinetobacter spp.*, *Moraxella spp.*

ბოლო წლებში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა
არამაფერმენტულმა გრამ-უარყოფითმა ბაქტერიებმა, როგორც
პოსპიტალური ინფექციების გამომწვევმა ეტიოლოგიურმა ფაქტორმა.
ამ ჯგუფის ბაქტერიები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ
პოსტოპერაციული ჩირქოვან-ანთებითი გართულებების ჩამოყალი-
ბებაში, რომელიც გამოწვეულია რიგი სამკურნალო და პროფი-



ლაქტიკური მანიპულაციებით, რომლისთვისაც გამოყენებულის სხვადასხვა აპარატურა, კათეტერები, შპრიცები და სხვ. [3].

ბოლო წლების ლიტერატურული მონაცემები ადასტურებს, რომ არამაფერმენტებელი გრამ-უარყოფითი ბაქტერიები წარმოადგენენ ისეთი პოსპიტალური გართულებების მიზეზს, როგორიცაა ჭრილობის, ფილტვის და უროლოგიური ინფექციები. უკანასკნელ პერიოდში მეტად გახშირდა არამაფერმენტებელი გრამ-უარყოფითი ბაქტერიების გამოყოფა სისხლიდან ბაქტერიებისა და სეპტიცემიის დროს, აგრეთვე მრავალრიცხოვანი ლიტერატურული მონაცემები მოწმობს, რომ არამაფერმენტებელი გრამ-უარყოფითი ბაქტერიები თამაშობენ მნიშვნელოვან როლს სეპტიკური ენდოკარდიტის ჩამოყალიბებაში გულის სარქვლის ინალანტაციის დროს [2, 4, 5, 6].

ამ მიკროორგანიზმების ჯგუფს მიეკუთვნება გვარ *Pseudomonas*-ს, *Acinetobacter*-ის, *Moraxella*-ს, *Alcaligens*-ს, *Flavobacterium*-ის გვარი და სხვ. წარმომადგენლები. ყველაზე უფრო გავრცელებულ და კარგად შესწავლილ არამაფერმენტებელ გრამ-უარყოფით ბაქტერიას წარმოადგენს *P.aeruginosa*.

იმის გამო, რომ არამაფერმენტებელი გრამ-უარყოფითი ბაქტერიები, კერძოდ *Pseudomonas* spp, *Acinetobacter* spp. და *Moraxella* spp. გვარის წარმომადგენლები სულ უფრო ხშირად წარმოადგენენ სხვადასხვა სახის პოსპიტალური ინფექციების ჩამოყალიბების ეტიოლოგიურ ფაქტორს, საჭიროდ ჩავთვალეთ შეგვესწავლა ქირურგიული პროცედურის პაციენტებში მათი გამოყოფის სიხშირე და კლინიკური მნიშვნელობა.

მასალა და მეთოდები

გამოკვლეულ იქნა ქ. თბილისის ზოგიერთი კლინიკის სხვადასხვა ქირურგიული პროცედურის 1144 პაციენტის პათოლოგიური მასალა და მასში არამაფერმენტებელი გრამ-უარყოფითი ბაქტერიების გამოყოფის სიხშირე. გამოკვლეულ იქნა შემდეგი პათოლოგიური მასალა: სისხლი – 138, შარდი – 211, ცხვირ-ხახიდან ნაცხი და ნახველი – 177, ლიქვორი – 50, საოპერაციო ჭრილობა და ჩირქი –

383, პლევრის სითხე – 35, ცეცხლნასროლი ჭრილობა – 212 და სახის მასალა – 65.

გამოკვლევა მიმდინარეობდა კლასიკური ბაქტერიოლოგიური მეთოდების გამოყენებით (სუფთა კულტურის გამოყოფა, იდენტიფიკაცია ბიოქიმიური, ანტიგენური და სხვ. ნიშნებით). გამოყოფილი შტამების ანტიბიოტიკებისადმი მგრძნობელობის დასადგენად გამოყენებულ იქნა დისკო-დიფუზური და სერიული განზავების (განზავება აგარში) მეთოდი [1].

შედეგები და მათი განხილვა

კვლევის შედეგად გამოკვლეული მასალიდან გამოყოფილ იქნა 1891 სხვადასხვა სახეობის მიკრობული შტამი. აქედან *Pseudomonas* spp. – 465 (24,59%), *Acinetobacter* spp. – 85 (4,49%) და *Moraxella* spp. – 47 (2,48%); პოსპიტალური შტამები, შესაბამისად: *Pseudomonas* spp. – 280 (60,21%), *Acinetobacter* spp. – 35 (41,17%) და *Moraxella* spp. – 18 (38,29%).

არამაფერმენტებელი გრამ-უარყოფითი ბაქტერიების იზოლაციის სიხშირე ვარირებდა საკვლევი მასალის მიხედვით. როგორც ცხრილიდან ჩანს, ყველაზე მაღალი სიხშირით ამ ჯგუფის ბაქტერიები გვხვდებოდა საოპერაციო ჭრილობასა და ჩირქში – 222 (57,96%), ცხვირ-ხახასა და ნახველში – 99 (55,93%) და შარდში – 101 (47,86%), რაც შეეხება ცეცხლნასროლ ჭრილობებს – 82 (38,67%), პლევრის სითხეში – 13 (37,14%), სისხლში – 47 (34,05%), ხოლო ლიქვორში – 10 (20%) შემთხვევაში.

ჩატარებული გამოკვლევების შედეგად უნდა აღინიშნოს, რომ არამაფერმენტებელი გრამ-უარყოფითი ბაქტერიების პოსპიტალური შტამებით დასწებოვნების რისკზგუფს შესაძლოა მივაკუთვნოთ ის პაციენტები, რომელთაც ჩატარდათ ქირურგიული მანიპულაციები, საჭიროებენ ხელოვნური სუნთქვის აპარატს, უტარდებათ კათეტერიზაცია. ამ სახის გართულებებს, მართალია, ძირითადად იწვევენ ფსეუდომონას და აკინეტობაქტერის გვარის მიკროორგანიზმები, მაგრამ არც თუ ისე იშვიათად ცხვირ-ხახის და შარდ-სასქესო სისტემის პოსპიტალური ინფექციების მიზეზი

შესაძლებელია იყოს მორაქსელას გვარის წარმომადგენლები. ფარდა
ამისა, საკმაოდ მაღალია იმის ჰანსი, რომ არამაფერმენტებელი
გრამ-უარყოფითმა ბაქტერიებმა აგრეთვე გამოიწვიოს ინფექციური
პროცესი სისხლში, ლიქვორსა და პლევრის სითხეში. ასევე უნდა
აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ არამაფერმენტებელი გრამ-უარყოფით
ბაქტერიების სახეობრივი შემადგენლობა ცვალებადია კლინიკის და
განვითარების პროფილის მიხედვით.

ლიტერატურა

1. Биргер М.О. Справочник по микробиологическим и вирусологическим методам исследования. Москва: Медицина, 1982, с. 461.
2. Богатова И.С., Борисова О.К. Проблемы клинической микробиологии в неинфекционной клинике. Москва, 1983, 69-70.
3. Богомолова Н.С., Пхакадзе Т. Я. Хирургия, 1990, 6, 47-50.
4. Пхакадзе Т.Я. Лаб. дело, 1984, 3, 161-167.
5. Clinical Microbiology. Ed. E.U. Lennette et al., Washington, 1980.
5. Lofgren R.P., Nelson A.E., Crossley K.B. Amer. Heart J., 1981, 101, 502.

IMPORTANCE OF GRAM-NEGATIVE NON-ENZYMATIC BACTERIA IN SURGICAL CLINICS

Kh. Gachehiladze, D. Chikviladze

Department of Microbiology, Virology and Immunology,
Tbilisi State Medical University

SUMMARY

Today gram-negative bacteria without enzymatic activity are very important in etiology of post-surgery complications such as pio-inflammatory infections. For detection of these microorganisms' clinical importance special investigations were performed. In the surgical profile 1144 patient's pathological material was evaluated and *Pseudomonas spp.*, *Acinetobacter spp.* and *Moraxella spp.* strains were isolated and assessed.

ცხრილი 1

არამატერიულებული გრამუარყოფითი ბაქტერიების გამოყოფა
 სხვადასხვა ძათოლოგიური მასალიდან

N _o	მასალა	P.acruginosa	P.maltophilia	P.putida	P.alcaligenes	P.cepaacia	P.stutzeri	P.pseudoalcaligenes	P.diminuta	P.puitrefaciens	P.fluorescens	A.calcoaceticus	A.Iwoffii	A.baumani	M.nonluefaciens	M.penipiruvica	M.lacunata	M.osloensis	M.unretralis
1.	სიბერი	15 7,14%	7 12,5%	5 8,19%	3 6%	2 9,52%	-	1 9,7%	-	2 12,5%	1 7,14%	4 7,27%	3 15,7%	1 9,09%	2 11,11%	-	1 14,2%	-	-
2.	შარია	18 8,57%	15 26,8%	10 16,4%	9 38%	8 38,1%	5 29,4%	2 18,2%	2 22,2%	2 12,5%	1 7,14%	12 21,8%	4 21,0%	2 18,2%	1 5,55%	1 9,09%	3 42,8%	2 28,5%	4 100%
3.	ცენტრ-ბახა ნახევრი	47 22,3%	5 8,92%	8 13,11%	6 12%	3 14,3%	1 5,88%	5 45,4%	2 22,2%	5 31,2%	3 21,4%	7 12,7%	-	1 9,09%	3 16,6%	3 27,7%	-	-	-
4.	პავერის სიონე	-	3 5,35%	-	3 6%	-	-	1 9,09%	-	-	-	2 3,63%	1 5,26%	-	2 11,11%	1 9,09%	-	-	-
5.	ლიქვირი	2 0,95%	1 1,78%	-	4 8%	-	-	-	1 11,11%	-	-	-	-	1 55,5%	1 9,09%	-	-	-	-
6.	სალერაციი ჭრ., ჩირქი	97 46,2%	10 17,8%	15 24,6%	16 32%	7 33,3%	8 47,0%	1 9,09%	4 44,4%	6 37,5%	5 35,7%	25 45,5%	8 42,1%	6 54,5%	6 33,3%	7 27,7%	1 14,3%	4 57,1%	-
7.	ცენტრისახ ო ჭრილობა	28 13,3%	9 16,1%	16 26,2%	9 18%	1 4,76%	3 17,6%	1 9,09%	-	1 6,25%	2 14,2%	3 5,45%	3 26,3%	1 9,09%	3 16,6%	2 18,2%	-	-	-
8.	სხვ.	3 1,42%	6 10,7%	7 11,5%	-	-	-	-	-	2 14,3%	2 3,63%	-	-	-	-	2 28,5%	1 14,3%	-	-

საქ. მეცნ. აკად. მაცნე, სერ. ბიოლ., 2001, გ. 27, № 1-3.

Известия АН Грузии, сер. биол., 2001, т. 27, № 1-3.

Proc. Georgian Acad. Sci., Biol. Ser., 2001, vol. 27, No 1-3.

PSEUDOMONAS AERUGINOSA-ს ოოლის შესფავლა ჰოსპიტალური ინფექციების ჩამოყალიბებაში

ხ. გაჩეჩილაძე, დ. ჩიკვილაძე

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიკრობიოლოგიის, ვირუსოლოგიის და იმუნოლოგიის კათედრა

მიღებულია 22.01.2001

ჰოსპიტალური ინფექციები თანამედროვე მედიცინის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს, რადგანაც იგი ახანგრძლივებს მკურნალობის გადებს, იწვევს დააგადების ქრონიზაციას და შესაძლოა ადგილი ქონდეს ლეტალურ შედეგსაც. იმსათვის, რომ დაგვეღვინა ჰოსპიტალური ინფექციების ჩამოყალიბებაში არამაფერმენტებელი გრამ-უარყოფითი ბაქტერიების, მათ შორის, განსაკუთრებით *P.aeruginosa*-ს, როდი, გამოკვლეულ იქნა ქ. თბილისის ზოგიერთი კლინიკის ქირურგოული პროცედურის 1144 პაციენტიდან აღებული სხვადასხვა პათოლოგიური მასალა, რას შედეგადაც გამოყოფილ იქნა 1891 მიკრობული შტამი. *P.aeruginosa*-ს წარმოადგენდა 210 (11,1%) შტამი, აქედან ჰოსპიტალური იყო 157 (74,76%). მიღებული შედეგები მოუთითებს, რომ *P.aeruginosa* წარმოადგენს ჰოსპიტალური ინფექციების გამომწვევას ერთ-ერთ ძირითად ეტილოგიურ ფაქტორს.

საკვანძო სიტყვები: ჰოსპიტალური ინფექციები, არამაფერმენტებელი გრამ-უარყოფითი ბაქტერიები, *Pseudomonas aeruginosa*

ჰოსპიტალური ინფექციის არსებობა თანამედროვე მედიცინის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა, რადგანაც სტაციონარის პრაქტიკულად ნებისმიერ პაციენტს შესაძლებელია განუვითარდეს ინფექციური პროცესი. საავადმყოფოსშიდა ინფექცია ხასიათდება

გამომწვევების ფართო სპექტრით, მაღალი კონტაგიოზურობით, რეციდივების შესაძლებლობით და პათოლოგიური პროცესის შესაძლო ქრონიზაციით. პოსპიტალური ინფექციების გამომწვევების სპექტრი საქმაოდ ფართოა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მათი რიცხვი ყოველწლიურად მატულობს, უპირატესად პირობით-პათოგენური მიკროორგანიზმების ხარჯზე. ისინი ფართოდ არიან გავრცელებული გარემოში და შედიან რეზიდენტური მიკროფლორის შემადგენლობაში. ველური შტამებისაგან განსხვავდებით ხასიათ-დებიან ანტიბაქტერიული პრეპარატებისადმი მრავლობითი რეზისტენტობით და გარემოს არახელსაყრელი ფაქტორებისადმი გამძლეობით. პოსპიტალური ინფექციების გამომწვევები შეიძლება იყოს არა მარტო ბაქტერიები, არამედ ვირუსებიც და სოკოებიც [6].

ლიტერატურული მონაცემების მიხედვით ბაქტერიული პოსპიტალური ინფექციების განვითარებაში წამყვანი ადგილი უჭირავს სტაფილოკოს, მაგრამ მას არ ჩამოუვარდება გრამ-უარყოფითი ფლორაც. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია არამაფერმენტებელი გრამ-უარყოფითი ბაქტერების წარმომადგენელი მიკროორგანიზმები – *Pseudomonas aeruginosa* [1, 4, 5, 6].

Pseudomonas aeruginosa, ანუ ლურჯ-მწვანე ჩირქის ჩხირი შედის არამაფერმენტებელ გრამ-უარყოფითი ბაქტერიების ჯგუფში, მიეკუთვნება *Pseudomonas*-ის ოჯახს. მოძრავია, მონოტრიქია. ახდენს ექსტრაცელულარული პოლისაქარიდის (გლუკოკალიქსი) პროდუცირებას, რომელიც ხელს უწყობს ფაგოციტზე და *Pseudomonas aeruginosas*-ის უჯრედშიდა მონელებას. პროდუცირებს ეგზოტოკსინს, რომელიც უზრუნველყოფს მაღალ ვირულენტობას. მდგრადია თითქმის ყველა თანამედროვე ანტიბაქტერიული პრეპარატისადმი და, ნაწილობრივ, მრავალი ანტისეპტიკისადმი.

მიუხედავად იმ პროგრესისა, რომელიც მიღწეულია *P.aeruginosa*-ს ბიოლოგიური თვისებების და მისი როლის ინფექციური პროცესების მექანიზმების შესწავლაში, რიგი თვისებები და ნიშნები ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ გაშიფრული. განსაკუთრებით საყურადღებოა მისი ეტიოლოგიური როლი პოსპიტალური ინფექციების ჩამოყალიბებაში.

ჩატარებული სამუშაოს მიზანს წარმოადგენდა ქ. თბილისის ზოგიერთი კლინიკის ქირურგიული პროფილის განყოფილებებში *P. aeruginosa*-ს გამოყოფის სისტერის და მისი როლის დადგენა პოპიტალური ინფექციების ჩამოყალიბებაში.

გასაღა და გეთოდება

ჩატარებული სამუშაოს შედეგად გამოკვლეულ იქნა ქ. თბილისის კლინიკების ქირურგიული განყოფილების 1144 პაციენტი. აღებული პათოლოგიური მასალის (სისხლი, შარდი, თავზურგტვინის სითხე, პლევრის სითხე, ნაცხი ჭრილობიდან, ხახიდან და სხვ). დამუშავებას ვახდენდით კლასიკური ბაქტეროლოგიური მეთოდებით, გამოყოფილი შტამების ანტიბაქტერიული პრეპარატებისადმი მგრძნობელობას ვადგენდით დისკო-დიფუზური და სერიული განზავების (განზავება აგარში) მეთოდით [2, 3].

უკანასი და გათი განხილვა

კვლევის შედეგად პათოლოგიური მასალიდან გამოყოფილ იქნა 1891 სხვადასხვა სახეობის ორგანიზმი. აქედან ფსეუდომონას გვარის მიკროორგანიზმებს წარმოადგენდა – 465 (24,59%). ჩატარებული სამუშაოს შედეგად იდენტიფიცირებულ იქნა *P. aeruginosa*-ს 210 (45,26%) შტამი, აქედან ჰოსპიტალურს წარმოადგენდა – 157 (74,76%). *P.aeruginosa*-ს ჰოსპიტალური შტამი არის საავადმყოფოს პირობებში გამოყოფილი მიკრობული პოპულაცია, რომელიც გამოირჩევა თავისებური ნიშანთვისებებით. ასეთი შტამებისათვის დამახასიათებელია შედარებით მაღალი ვირულებებით. მათ ახასიათებთ მკვეთრად გამოხატული მრავლობითი ანტიბიოტიკორეზისტენტობა, ასევე ანტაგონისტური მოქმედების ფართო და ანტაგონისტებისადმი მგრძნობელობის ვიწრო სპექტრი. ყოველივე ეს, საბოლოო ჯამში, *P.aeruginosa*-ს ანიჭებს უპირატესობას საავადმყოფოს ეკოსისტემის ჩამოყალიბებაში.

P.aeruginosa-ს შტამებს გააჩნია პათოგენობის მრავალი ფაქტორი, მათ შორის ადსანიშნავია პიგმენტი პიოციანინი, რომელიც თრგუნავს თანმხლები ფლორის ზრდასა და უზრუველყოფს *P.aeruginosa*-ს უპირატესობას მიკრობულ ასოციაციაში. ამიტომაც *P.aeruginosa* უმეტესად გვხვდებოდა სუფთა კულტურის სახით – 120 (57,14%), ვიდრე მიკრობულ ასოციაციაში – 90 (42,85%). აქვე უნდა აღინინიშნოს, რომ პიგმენტ პიოციანინის პროდუცირებას ახდენდა *P.aeruginosa*-ს 202 (96,19%) შტამი, ხოლო არომატული ნივთიერების სინთეზი (ჟასმინის არომატი) თითქმის ყველა გამოყოფილ შტამს ახასიათებდა.

გამოკვლეულ პათოლოგიურ მასალაში *P.aeruginosa*-ს შტამები ყველაზე ხშირად გვხვდებოდა საოპერაციო ჭრილობაში და ჩირქში – 97 (46,2%), ცხვირ-ხახასა და ნახველში – 47 (22,3%) და ცეცხლნასროლ ჭრილობაში – 28 (13,3%), შედარებით ნაკლები სიხშირით შარდში – 18 (8,5%), სისხლსა – 15 (7,14%) და პლევრის სითხეში – 5 (2,38%).

ჩატარებული გამოკვლევის ანალიზმა გვიჩვენა, რომ საავადმყოფოს პირობებში ლურჯ-მწვანე ჩირქის ჩხირით ინფიცირდებიან უმეტესად ის პაციენტები, რომელთაც უტარდებოდათ საშარდე გზების კათეტერიზაცია და ხანგრძლივად იღებდნენ სხვადასხვა ჯგუფის, უმეტესწილად ფართო სპექტრის და რიგ შემთხვევაში არასაკმარისად დასაბუთებულ, ანტიბაქტერიულ პრეპარატებს, რომლებიც თავისთავად ხელს უწყობენ გამომწვევი მიკროორგანიზმების მულტირეზისტენტობის ჩამოყალიბებას. პაციენტების ინფიცირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა საშარდე და სისხლძარღვების კათეტერების, თაგზურგტვინის პუნქციის ნემსების, სასუნთქი აპარატების, ასევე სხვადასხვა სსნარების არასწორი და არასაკმარისი სტერილიზაცია, შენახვა და გამოყენება. ინფიცირების მაღალი რისკი აღენიშნებოდათ როგორც იმუნოკომპრომეტირებულ პირებს, ასევე იმათაც, ვინც იღებდა ციტოსტატიკებს, გლუკოკორტიკოიდებს და ანტიბიოტიკებს.

ამრიგად, ჩატარებული სამუშაოდან ჩანს, რომ *P.aeruginosa*-ს პოსპიტალური შტამების მიერ გამოწვეული გართულებები განპირობებულია მრავალი ფაქტორით. ასე, შარდსასქესო ტრაქტის

ინფექციების ჩამოყალიბება ძირითადად პირობადებული კონტამინირებული კათეტერების გამოყენებით. ქირურგიული ჭრილობის ინფექციები კი – არასაკმარისად გასტერილებული ქირურგიული ინვენტარით, დაბინძურებული სადეზინფექციო სენარებითა და სამკურნალო პრეპარატების გამოყენებით. ყოველივე ამის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია ჩატარდეს აღეკვატური და მიზანდასახული ანტიბიოტიკოფრაპია; ანტისეპტიკური და სადეზინფექციო საშუალებები უნდა იყოს შესაბამისი კონცენტრაციის და არამაფერმენტებელი გრამ-უარყოფითი ბაქტერიების მიმართ უნდა გააჩნდეს მაღალი აქტიურობა.

ლიტერატურა

1. Беляков В.Д., Ряпис Л.А., Илюхин В.И. Псевдомонады и псевдомонозы. Москва: Медицина, 1990, с. 223.
2. Биргер М.О. Справочник по микробиологическим и вирусологическим методам исследования. Москва: Медицина, 1982, с. 461.
3. Борисова О.К., Богатова И.С. Лаб. дело, 1983, 2, 32-35.
4. Рожавин М.А. Журнал Микробиологии и Иммунологии, 1988, 3, 106-112.
5. Синегнойная инфекция. Москва: Медицина, 1988, с. 255.
6. Manual of Clinical Microbiology. Eds. E.U. Lennette et al., Washington, 1980.

INVESTIGATION OF *PSEUDOMONAS AERUGINOSA* ROLE IN DEVELOPMENT OF THE HOSPITAL INFECTIONS

Kh. Gachechiladze, D. Chikviladze

Department of Microbiology, Virology and Immunology, Tbilisi State Medical University

SUMMARY

The hospital infections represent one of the pressing problems of modern medicine because they prolong treatment time, induce chronization of disease, and may result in

lethal outcome. With an aim to assess a role of the non-enzymatic gram-negative bacteria, especially of *P.aeruginosa*, in development of the hospital infections, pathological material obtained from 1144 patients of surgical profile in different Tbilisi hospitals, has been investigated. Total of 1891 microbial strains were isolated. *P.aeruginosa* presented 210 (11.1%) strains, out of which 157 (74.76%) were of hospital origin. It is suggested that *P.aeruginosa* is one of the major elicitory factors of the hospital infections.

საქ. მეცნ. აკად. მაცნე, სერ. ბიოლ., 2001, გ. 27, № 1-3.

Известия АН Грузии, сер. биол., 2001, т. 27, № 1-3.

Proc. Georgian Acad. Sci., Biol. Ser., 2001, vol. 27, No 1-3.

ფსეუდომონას, აკინეტობაქტერის და მორაქსელას პრეაიტალური ზოგადის ბიოლოგიური თვისებების შესწავლა

ხ. გაჩეჩილაძე, დ. ჩიგვილაძე

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიკრობიოლოგის, ვირუსოლოგის და იმუნოლოგის კათედრა

მიღებულია 4.12.2000

დღესათვის ჰამსპიტალური ინფექციების ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არამაფერმენტულ ბაქტერიებს. გამოკვლევის მიზანს წარმოადგენდა ფსეუდომონას, აკინეტობაქტერის და მორაქსელას გვარის მიკროორგანიზმების ჰამსპიტალური შტამების ბიოლოგიური თვისებები, ამიტომ გამოკვლეული იქნა ქ. თბილისის კლინიკების ქირურგიული პროფილის 1144 პაციენტი. სხვადასხვა კლინიკური მსალიდან გამოყოფილ იქნა *Pseudomonas* spp. – 465, *Acinetobacter* spp. – 85 და *Moraxella* spp. – 47 ჰამსპიტალური და არაჰამსპიტალური შტამები და შესწავლილ იქნა მათი ბიოლოგიური თვისებები.

საკვანძო სიტყვები: არამაფერმენტული გრამ-უარყოფითი ბაქტერიები, ფსეუდომონას, აკინეტობაქტერ, მორაქსელა, ჰამსპიტალური ინფექცია

არამაფერმენტული გრამ-უარყოფი ბაქტერიები მიკროორგანიზმების პეტეროგენული ჯგუფია, რომელშიც დღეისათვის გაერთიანებულია ორმოცდაათამდე სახეობა. ეს არის ბაქტერიების ჯგუფი, რომლის გავრცელების არეალს წარმოადგენს წყალი და ნიადაგი. არამაფერმენტული გრამ-უარყოფითი ბაქტერიების წყარო შეიძლება იყოს სხვადასხვა სამკურნალო პრეპარატი, სამედიცინო

აპარატურა, სადეზინფექციო ხსნარები, ზოგიერთი მათგანი აგრეთვე გვხვდება ჯანმრთელი ადამიანის ლორწოვანზეც.

ლიტერატურული მონაცემებით [3, 4] კლინიკური მასალიდან და გარემოდან არამაფერმენტებელი გრამ-უარყოფითი ბაქტერიების გამოყოფის სიხშირე საკმაოდ მაღალია. ამ ჯგუფის ბაქტერიებს შორის უკელაზე მნიშვნელოვანს და გავრცელებელს წარმოადგენს *P. aeruginosa*, რომელზეც არამაფერმენტებელი გრამ-უარყოფითი ბაქტერიების გამოყოფილი შტამების ნახევარი მოდის. შედარებით ნაკლები სიხშირით, დაახლოებით 1-10%, გვხვდება *P.malophilia*, *Acinetobacter calcoaceticus*, *P. putida*, *P.fluorescens*. 1%-ზე ნაკლები სიხშირით გამოიყოფა *Moraxella-s*, *P. cepacia-s*, *P. stutzeri-s* და *P. putrefaciens-s* ჯგუფის წარმომადგენლები.

იმის გამო, რომ არამაფერმენტებელი გრამ-უარყოფითი ბაქტერიებით გამოწვეული ჰოსპიტალური ინფექციები ყოველწლიურად მატულობს, აუცილებლად ჩავთვალეთ უფრო დრმად შეგვესწავლა ამ ჯგუფის ბაქტერიების ეტიოლოგიური მნიშვნელობა და მათი ბიოლოგიური თვისებები, რადგანაც საკმაოდ ხშირია მათ მიერ გამოწვეული ისეთი ჰოსპიტალური ინფექციები, რომლებიც შესაძლებელია ლეტალურადაც კი დამთავრდეს.

მასალა და მეთოდები

ჩატარებული კვლევის შედეგად შესწავლილ იქნა ქ. თბილისის ოთხი კლინიკის ქირურუგიული პროფილის განყოფილებების 1144 პაციენტი. აღებული პათოლოგიური მასალა გამოკვლეულ იქნა კლასიკური ბაქტერიოლოგიური მეთოდებით (სუფთა კულტურის გამოყოფა, იდენტიფიკაცია მორფოლოგიური, ბიოქიმიური და სხვა ნიშნებით). გამოყოფილი შტამების ანტიბიოტიკორეზისტენტობა შესწავლილ იქნა დისკო-დიფუზიური და სერიული განზავების (განზავება აგარში) მეთოდით [1, 2].

უკანასკნელი და მათი გაცემისა

სულ გამოყოფილ იქნა 1891 შტამი, აქედან არამაფერმენტებელ გრამ-უარყოფით ბაქტერიებს, შესაბამისად, წარმოადგენდა *Pseudomonas* spp. – 465 (24,59%), *Acinetobacter* spp. – 85 (4,49%) და *Moraxella* spp. – 47 (2,48%). იზოლირებული მიკროორგანიზმებიდან ჰოსპიტალურს წარმოადგენდა, შესაბამისად, *Pseudomonas* spp. – 292 (62,79%), *Acinetobacter* spp. – 36 (42,35%) და *Moraxella* spp. – 27 (57%) შტამი.

ცხრილში მოცემულია ფსეუდომონას, აკინეტობაქტერის და მორაქსელას ჰოსპიტალური და არაჰოსპიტალური შტამების ფიზიოლოგიურ-ბიოქიმიური დახასიათება. ყველა ამ თვისებების შესწავლა საშუალებას იძლევა მოვახდინოთ კლინიკურად მნიშვნელოვანი არამაფერმენტებელი გრამ-უარყოფითი ბაქტერიების გვაროვნეული და სახეობრივი იდენტიფიკაცია.

ჩატარებული კვლევის შედეგად იდენტიფიცირებულია *P.aeruginosa* – 210 (45,16%), *P.maltophilia* – 56 (12,04%), *P.putida* – 61 (13,11%), *P.alcaligenes* – 50 (10,71%), *P.cepacia* – 21 (4,51%), *P.stutzeri* – 17 (3,65%), *P.pseudoalcaligenes* – 11 (2,36%), *P.diminuta* – 9 (1,93%), *P.fluorescens* – 14 (3,01%) შტამი, ხოლო *Acinetobacter calcoaceticus* – 55 (64,7%), *A.lwoffii* – 19 (22,35%), *A.baumani* – 11 (12,94%), *Moraxella lacunata* – 18 (38,29%), *M.nonlucifaciens* – 11 (23,40%), *M.osloens* – 7 (14,89%), *M.penilpiruvica* – 7 (14,89%) და *M.uretralis* – 4 (8,51%) შტამი.

P.aeruginosa, *P.fluorescens* და *P.putida* შტამები ახდენდნენ წყალში სხნადი პიგმენტების პროდუცირებას, რომელიც კოლონიებს სხვადასხვა შეფერილობას აძლევს. ეს ფსეუდომონადები აწარმოებენ ფერმენტ კატალაზას, ოქსიდაზას, არგინინადროლაზას. სახეობრივი დიფერენცირებისათვის გამოყენებულ იქნა ნიტრატრედუქტაზის პროდუცირების დადგენა და ზრდა 42°C -ზე. *P.cepacia*-ს შტამების ძირითად დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენდა პიგმენტის წარმოქმნა, რომელიც კულტივირებისა და საკვები ნიადაგის შედგენილობის მიხედვით კოლონიას უვითელ, მწვანე, ყავისფერ, წითელ, ალისფერ შეფერილობასაც კი აძლევდა. *P.cepacia*-ს შტამები ჩვეულებრივ მგრძნობელობას ავლენდა ქლორამფენიკოლისადმი, ხოლო

ცხრილი 1

ფსეუდომონას, აკინეტობაქტერი და მორაქსელას ბიოლოგიური თვისებები

№	მიკრობი	ტესტი	ზრდა მაკრონეზე	ზრდა ხ.პ.ა.	ზრდა ბიოს ტრაქტზე	ჰემიზე	პიგმენტი	ღნი (პიგ- როლზი)	შენდოვანა (%—%)	სახამტევი (%—%)	შელატინი (%—%)	გენეტიკი (%—%)	ნიტრატ- რეაციაზა	ნიტრი- რეაციაზა	
1.	<i>P.aeruginosa</i>		210 100	210 100	210 100	190 90	204 97	124 59	1718 1	—	109 52	—	1788 4	1105 2	
2.	<i>P.malophilia</i>		56 100	—	—	8 14	30 53	56 100	—	—	53 95	53 95	43 77	—	
3.	<i>P.putida</i>		61 100	33 54	61 100	—	61 100	—	46 75	—	—	—	—	—	
4.	<i>P.alcaligens</i>		47 94	—	—	8 16	—	—	17 34	—	6 12	—	48 94	—	
5.	<i>P. cepacia</i>		21 100	—	—	9 43	13 62	14 66	12 57	—	17 81	9 43	—	—	
6.	<i>P. stutzrei</i>		17 100	—	17 100	—	17 100	—	9 52	17 100	—	—	17 100	15 88	
7.	<i>P.putrefaciens</i>		16 100	9 56	12 75	—	—	14 87	7 43	—	16 100	17 87	16 100	—	
8.	<i>P.pseudoalcaligens</i>		11 100	—	11 100	—	—	—	—	—	—	—	8 72	—	
9.	<i>P.diminuta</i>		9 100	—	—	—	—	—	—	—	88 88	—	—	—	
10.	<i>P.fluorescens</i>		14 100	—	14 100	11 78	14 100	—	10 71	5 35	14 100	—	7 50	—	
11.	<i>A.calcoaceticus</i>		55 100	55 100	—	—	—	—	9 16	18 32	—	21 38	—	3 5	—
12.	<i>A.lwoffii</i>		18 94	19 100	—	—	—	—	4 21	—	15	—	—	—	—
13.	<i>A.baumanni</i>		10 90	10 90	—	—	—	—	2 18	—	—	—	—	—	—
14.	<i>M.lacunata</i>		—	—	—	—	—	—	—	—	18 100	—	18 100	—	—
15.	<i>M.nonlicufaciens</i>		—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	11 100	—
16.	<i>M.osloensis</i>		7 100	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	5 71
17.	<i>M.pfenilpiruvuca</i>		7 100	7 100	—	—	—	—	7 100	—	—	—	—	—	—
18.	<i>M.uretralis</i>		4 100	4 100	—	—	—	—	4 100	—	—	—	—	—	—

ცხრილი 1 (გაგრძელება)

№	მიკრობი	ტესტი	ცხრილი 1 (გაგრძელება)											
			ლიზინდე- კარბინტ- ლას	ორნიტინ- დესარბოჭ- სილაზა	ფენინალ- ნინჯებაში- ნასა	ანტინ- პელიკლაზა	H ₂ S	გლუკოზა (უტილი)	მალტოზა („—“)	ქსილოზა („—“)	ფრუქტოზა („—“)	კატალაზა	ოქსიდაზა	ტემპერატურა 42°C
1.	P.aeruginosa	—	—	—	—	210	—	210 100	—	1888 9	1878 9	210	210 100	210 100
2.	P.malophilia	56 100	—	—	—	—	—	50 89	52 93	18 32	50 89	56 100	—	56 100
3.	P.putida	—	—	—	100	61	—	61 100	11 18	61 100	61 100	61 100	61 100	—
4.	P.alcaligenes	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	50 100	50 100	—
5.	P. cepacia	19 90	19 90	—	—	—	—	17 81	19 90	19 90	16 76	15 71	15 71	21 100
6.	P. stutzrei	—	—	7	41	—	—	17 100	13 76	—	—	17 100	17 100	17 100
7.	P.putrefaciens	—	16 100	—	—	16 100	—	16 100	14 84	—	11 68	16 100	—	16 100
8.	P.pseudoalcaligenes	—	—	54	72	—	—	100	11 100	—	11 100	11 100	11 100	9 81
9.	P.diminuta	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	9 100	9 100	9 100
10.	P.fluorescens	—	—	—	—	14 100	—	14 100	8 57	9 64	10 71	14 100	14 100	—
11.	A.calcoaceticus	—	—	—	—	—	—	52 94	36 65	54 98	—	55 100	—	—
12.	A.lwoffii	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	19 100	—	—
13.	A.baumani	—	—	—	—	—	—	5 45	6 54	—	—	11 100	—	11 100
14.	M.lacunata	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	18 100	—	18 100
15.	M.nonlicufaciens	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	11 100	—	11 100
16.	M.osloensis	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	7 100	—	—
17.	M.pfenilpiruvuca	—	—	—	100	7	—	—	—	—	—	7 100	—	—
18.	M.uretralis	—	—	—	100	4	—	—	—	—	—	4 100	—	—

შენიშვნა: ზედა ციფრი – მიკრობის აბსოლუტური რაოდენობა, ქვედა ციფრი – პროცენტული მაჩვენებელი

რეზისტენტული იყვნენ პოლიმიქსინისადმი; ამით ხდებოდა დიფერენცირება *P.cepacia*-ს უპიგმენტო შტამებსა და *P.maltophilia*-ს შორის. სახამებლის ჰიდროლიზის უნარით *P.stutzeri* და *P.fluorescens* განსხვავდებიან სხვა ფსეუდომონადებისაგან, ხოლო არგინინჰიდროლაზის და ფენილალანინჰიდროლაზის პროდუქციის უნარით – ერთმანეთისაგან. პათოლოგიურ მასალაში ასევე ხშირად გვხვდებოდა *P.alcaligenenes*-ს, *P.pseudoalcaligenes*-ს და *P.diminuta*-ს შტამები. ამ მიკროორგანიზმებისათვის დამახასიათებელი იყო ფრუქტოზის უტილიზაცია, პლოსკირევის ნიადაგზე ზრდა და არგინინჰიდროლაზის სუსტი, მაგრამ შესამჩნევი არსებობა, რაც *P.pseudoalcaligenes* დიფერენცირების საშუალებას იძლევა *P.alcaligenenes*-გან. *P.diminuta*-ს უმეტეს შტამებს გააჩნია დნმ-აზა და აქვს ჟელატინის გაჯირჯვების უნარი, რითაც განსხვავდებიან *P.pseudoalcaligenes*-სა და *P.alcaligenenes*-გან. *P.putrefaciens*-ს უნიკალურ მახასიათებელს წარმოადგენს H_2S -ის პროდუქცია რეინის შემცველ სამშაქრიან ნიადაგზე.

Acinetobacter spp. პოლიმორფული ოქსიდაზა-ნეგატიური, უძრავი წეირებია. *A.calcoaceticus* და *A.lwoffii* შტამებისათვის კველაზე მარტივ განმასხვავებელ ტესტს წარმოადგენს გლუკოზის უტილიზაციის უნარი, რომელიც გააჩნია მხოლოდ *A.calcoaceticus*.

Moraxella spp. მორფოლოგიურად აკინეტობაქტერის მსგავსია, მაგრამ მისგან განსხვავდება ნახშირწყლებისადმი ინერტულობით და პენიცილინის მცირე კონცენტრაციისადმიც კი მგრძნობელობით. ის ოქსიდაზა- და კატალაზაპოზიტიურია. მორაქსელების დიფერენციაციისა და იდენტიფიკაციისათვის ვსწავლობდით მათ უნარს მოახდინონ ჟელატინის გაჯირჯვება, ფენილალანინდეზამინაზის, ურეაზის და ნიტრადრედუქტაზის პროდუცირება (იხ. ცხრილი).

ღია ქადაგებულებები

1. Беляков В.Д., Ряпис Л.А., Илюхих В.И. Псевдомонады и псевдомонозы. Москва: Медицина, 1990.
2. Биргер М.О. Справочник по микробиологическим и вирусологическим методам исследования. Москва: Медицина, 1982, с. 461
3. Дегтяров Н.В., Литовченко П.П., Знаменских В. А. Лаб. дело, 1985, 5.
4. Калина Г.П., Виноградов Л.А., Трухина Г.М. Журнал микробиологии, 1985, 2.

INVESTIGATION OF BIOLOGICAL PROPERTIES IN *PSEUDOMONAS*, *ACINETOBACTER* AND *MORAXELLA* HOSPITAL STRAINS

Kh. Gachechiladze, D. Chikviladze

Department of Microbiology, Virology and Immunology, Tbilisi State Medical University

SUMMARY

Today, bacteria without enzymatic activity are very important as an etiologic factor of hospital infection. The aim of investigation was evaluation of *Pseudomonas*, *Acinetobacter* and *Moraxella* genus microorganisms hospital strains' biological properties. Surgical profile 1144 patients were investigated in Tbilisi. From pathologic material were isolated *Pseudomonas* spp. – 465, *Acinetobacter* spp. – 85 and *Moraxella* spp. – 47 hospital- and non-hospital strains and their biological properties were investigated.

ОБ УЧАСТИИ МОНООКСИГЕНАЗНОЙ СИСТЕМЫ В ПРОЦЕССАХ АДАПТАЦИИ РАСТЕНИЙ

*Т. Г. Варазашвили, М. В. Курашвили, М. В. Прудзе,
М. Ш. Гордезани*

Институт биохимии и биотехнологии им. С. В. Дурмишидзе АН Грузии, Тбилиси

Принято 10.04.2001

Изучены функциональные и количественные изменения микросомальной монооксигеназной системы сои в условиях инфицирования грибком *Fuzarium*, а также при низкотемпературном стрессе ($+5^{\circ}\text{C}$, двухкратно, по 7 ч.).

Установлено, что количество гемопротеинов увеличивается при заболевании, а уменьшается после отмораживания растений. NADPH-цитохром P450-редуктазная активность уменьшается при инфицировании грибком, а в случае низкотемпературного стресса – увеличивается.

Высказано соображение, что снижение редуктазной активности при инфицировании – это ответная реакция растений, а при низкотемпературном стрессе роль этого фермента выражается в поддержании терморегуляции.

Ключевые слова: соя, фузария, монооксигеназная система, низкотемпературный стресс, адаптация

Цитохром P45-зависимая монооксигеназа осуществляет окисление многих гидрофобных органических ксенобиотиков-токсикантов. Известно, что действие этой мультиферментной системы в животной клетке функционально сопряжено с имунной системой и тем самым определяет химический гомеостаз [1]. Существуют данные о том что стрессовое воздействие на животный организм вызывает значительные и интересные изменения компонентов моно-

оксигеназной системы [4]. Можно предположить, что монооксигеназа играет важную роль в процессах адаптации растений.

Целью настоящей работы являлось выяснение роли растительных монооксигеназных систем в процессах адаптации при разных стрессовых ситуациях.

МАТЕРИАЛ И МЕТОДЫ

Объектом исследования служили корни этиолированных проростков сои (*Glycine hispida*). В качестве низкотемпературного стресса применяли следующий режим: выдерживание на 5 и 6 день роста в холодильной камере при +5 °C по 7 час. Контрольные растения выращивали при +25 °C. Инфицирование растений проводили грибком фузарии следующим образом: проростки растений 4-6 дней находились на растворе Чапека с добавлением грибка. Последний выращивали на пивном агаре. Контрольные растения выращивали на чистом растворе Чапека.

Корни гомогенизировали в 0.067 М фосфатном буфере, pH 7.4 и методом дифференциального центрифугирования выделяли микросомальную фракцию (осадок 105 000 g). Содержание цитохромов b₅, P450 и P420 определяли дифференциальной спектрофотометрией [2].

Активность NADPH-цитохром P450-редуктазы определяли по восстановлению феррицианида при 420 нМ [2]. Инкубационная среда (3 мл) содержала: 0.067 М фосфатный буфер, pH 7.4, 100 мМ NADPH, 330 мМ NaN₃, 330 мМ K₃[Fe(CN)₆]. Реакцию начинали внесением в инкубационную среду NADPH. В контрольном варианте вместе NADPH добавляли такое же количество буфера.

Пероксидазную активность определяли спектрофотометрически, по интенсивности H₂O₂-зависимого окисления гвяколя [8]. Инкубационная среда (3 мл) содержала 1/15 М фосфатный буфер pH 7.4, 2 мМ гвяколя, 3 мМ перекиси водорода, 0.03 мг/мл микросомального белка. Реакцию начинали внесением перекиси водорода. В контрольном варианте вместо H₂O₂ добавляли такое же количество буфера. Скорость окисления гвяколя оценивали по возрастанию оптической плотности при 450 нм.

Белок определяли по Брэдфорду [5].

РЕЗУЛЬТАТЫ И ИХ ОБСУЖДЕНИЕ

При росте растений в условиях грибкового заражения, а также при низкотемпературном режиме происходят изменения количества и активности компонентов монооксигеназной системы (Табл.1).

Таблица 1

Изменение количества гемопротеинов и активности NADPH-цитохром P450-редуктазы (в процентах) в микросомальной фракции корней сои после стрессов (инфицирование и низкотемпературный режим)

Параметр	Инфицированные растения	Растения после низкотемпературного стресса
Изменение количества цитохрома P450	+35	-40
Изменение количества цитохрома P420	+40	-50
Изменение NADPH-цитохром P450-редуктазной активности	-50	+400

Из Табл. 1 следует, что инфицирование способствует увеличению количества гемопротеинов. Как известно, заражение является важным фактором индукции цитохрома P450 [6]. Следовательно, увеличение количества цитохромов должно рассматриваться как ответная реакция растений на заболевание. Значительный спад, в этом случае, редуктазной активности по-видимому является результатом блокирования грибковым токсином активности фермента, либо непосредственным путем, либо на уровне индукции.

На фоне сохранения количества цитохрома P450 при снижении температуры происходит резкое увеличение активности начального компонента редокс-цепи – NADPH-зависимой редуктазы. Полученные данные убедительно указывают, что цитохром P450 не является единственным акцептором электронов для данной редуктазы. Естественно ставится вопрос: какая система служит акцептором восстановительных эквивалентов NADPH в заданных условиях. Нашиими ранними исследованиями была показана возможность миграции электронов с микросомальной редокс-системы на митохондриальную дыхательную цепь, т.е. NADPH может использоваться для энергетических нужд



[7]. Очевидно, что при низких температурах аналогичная миграция электронов носит терморегуляторную функцию.

При стрессовых воздействиях на растения наблюдается компенсаторное увеличение активности ряда ферментов, в том числе пероксидазы [3]. В связи с этим, в экспериментах определяли пероксидазную активность субклеточных фракций в контрольных и опытных вариантах .

Общая активность ферментов после инфицирования и низкотемпературной обработки значительно возрастала (Табл.2). В первом случае преимущественно активировалась микросомальная, а во-втором – пероксидазная активность гомогената. Можно считать, что возрастание общей пероксидазной активности является результатом трансформации Р450 в пероксидазную активность в экстремальных условиях. Подобное преобразование этого гемопротеина в растениях было показано нами ранее [9].

Таблица 2

Изменение пероксидазной активности (в процентах) в субклеточных фракциях корней сои после инфицирования и низкотемпературного стресса

Параметр	Инфицированные растения	Растения после низкотемпературного стресса
Гомогенат	+ 20	- 45
Микросомы	+ 30	- 35
Супернатант	- 20	+ 50

Полученные результаты позволяют заключить, что в стрессовых условиях растительная цитохром Р450-содержащая монооксигеназа активно включается в процессы адаптации.

ЛИТЕРАТУРА

1. Ковалев И.Е., Полевая О.Ю. Биохимические основы иммунитета к низкомолекулярным химическим соединениям. Москва, Наука, 302 стр., 1985.
2. Хатисашвили Г., Курашвили М., Гордезиани М. Сообщения АН Грузии, 1152, 818-824, 1995.
3. Хочачка П., Сомеро Дж. Стратегия биохимической адаптации. Москва, Мир, 398 стр., 1977.

4. Blanck J., Lindotren-Seppa P., Agren I.I., Henninen O., Kein H., Ruckpaul K. Comp. Biochem. Physiol., 1989, 93, 55-60.
5. Bradford M.M. Anal. Biochem., 19746 59, 277-282.
6. Durst F., Benveniste I., Lesot A.A., Salaun I.P. Wezck-Reichhart D. In: Regulation of Enzymatic Systems Detoxifying Xenobiotics in Plants. Kluwer Academic Publishers, Dordrecht/Boston/London, 1997, 19-34.
7. Gordeziani M., Khatisashvili G., Ananiashvili T., Varazashvili T., Kurashvili T., Kvesitadze G., Tkhelidze P. International Biodeterioration and Biodegradation, 1999, 44, 49-54.
8. Gregory R.P.F. Biochem. J., 1966, 101, 582-583.
9. Khatisashvili G., Kurashvili T., Gordeziani M., Kvesitadze G. Frezenius Enviz. Bull., 1993, 2, 103-108.

მოცოვასიგენეზური სისტემის მონაზოლეობის შესახებ მცენარის აღაპტაციურ პროცესები

თ. გარაზაშვილი, მ. ყურაშვილი, მ. ფრუმი, მ. გორდეზიანი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ს. დურმიშიძის სახელობის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი

რეზიუმე

შესწავლით სოიას მიკროსომული სისტემის ფუნქციური და რაოდენობრივი ცვლილებები სოკო Fusarium-ით ინფიცირებისას და დაბალტემპერატურული (+5 °C, ორჯერადად, 7 სთ.) სტრესისას.

დადგენილია, რომ ჰემოპროტეინების რაოდენობა ინფიცირებისას იზრდება, ხოლო დაბალტემპერატურული სტრესის დროს – მცირდება. NADPH-ცოტოქომ P450-რედუქტაზას აქტივობა მცირდება ინფიცირებისას, ხოლო დაბალტემპერატურული სტრესისას – იზრდება.

გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ ინფიცირებისას რედუქტაზული აქტივობის დაჭვებითება მცენარის საპასუხო რეაქციაა, ხოლო დაბალტემპერატურული სტრესის დროს ამ ფერმენტის როლი თერმორეგულატორული ფუნქციის შენარჩუნებაში მდგომარეობს.

საქ. მეცნ. აკად. მაცნე, სერ. ბიოლ., 2001, გ. 27, № 1-3.

Известия АН Грузии, сер. биол., 2001, т. 27, № 1-3.

Proc. Georgian Acad. Sci., Biol. Ser., 2001, vol. 27, No 1-3.

ღვიძლის საფუარზი ინდუცირებული პირობითლეფალური რაღიომგრძნებიარე მუტაციების დამოკიდებულება ჰარალი ტემპერატურისაზე

თ. ზარნაძე, ა. შათირიშვილი

ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მიღებულია 14.05.2001

პირობითლეტალურ რადიომეტრძნობიარე მუტანტებში შესწავლილია სპორულაციის პროცესი. თერმოშოკმა მუტანტურ შტამებში გამოიწვია შეოთხისა და ასკოვენეზის ინჰიბიტება. საფუარის ვეგეტატური უჯრედები განსხვავდება თერმომეტრძნობელობით. ოპტიმალურ ტემპერატურაზე მუტანტების უჯრედებში მოტოზური გაყოფა შენელებული ტემპით მიმდინარეობს. t_{xs} ბლეიიტროპული დომინანტი გენები აპირობებენ საფუარის უჯრედების თერმოტოლერანტობას.

საკვანძო სიტყვები: საფუარი, მუტანტი, თერმოშოკი, ასკოვენეზი

საფუარში სტრესული რეაქციებიდან კარგად არის შესწავლილი თერმოშოკი. თერმოშოკის პასუხად უჯრედში მიმდინარეობს ცხოველქმედების რთული ცვლილებები, რითაც ნარჩუნდება ფუნქციისა და სტრუქტურის მოლიანობა. რბილი (37°C - 39°C) და ხისტი (45°C - 95°C) თერმოშოკით ზემოქმედებისას უჯრედში იცვლება ცილის ბიოსინთეზი. რბილი ტერმოშოკის დროს სტრესული რეაქცია აღმოცენდება სწრაფად, ზემოქმედების პირველი წუთებიდანვე, და სრულდება ერთ საათში. გამოვლენილია ცილების

სამი ჯგუფი, რომლებიც სპეციფიკურად რეაგირებენ სტრუქტურული ჟემოქმედებაზე [7].

თერმული სტრესით ინდუცირდება სპეციფიკური ცილები, ე.წ. სითბური შოკის ცილები (HSP), რომელთაც ნაირგვარი მოღვარული მასა გააჩნიათ [7]. HPS-ს სინთეზი და სხვა ცილების სინთეზის დაქვეითება ტრანსკრიპციის დონეზე მიმდინარეობს [6]. თერმოშოკის დროს დაქვეითებულია ზოგიერთი სახის მ-რნბ-ს და რ-დნმ-ს სტაბილობა [5].

თერმოშოკის შედეგად უჯრედები ყოვნდება G_1 ფაზაში და შემდეგ G_0 ფაზაში გადადიან. მიმდინარეობს ამ ფაზისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური HSP სინთეზი [4].

თერმოტოლერანტობის რეგულაციას წარმართავს პლეიოტროპული cdc და Spo გენების ჯგუფი. ამ პროცესში ასევე მონაწილეობენ რეგულაციისათვის ნიშანდობლივი გენები (SSA, SSB, KAR, UBI hs და სხვ.) რეცესიული გენები ერთ წარმართავენ რეგულაციის პროცესს, რის გამოც უჯრედები იღუპებიან მაღალი ტემპერატურის ზემოქმედების შედეგად [8].

გასაღა და გეთოდება

ცდებში გამოყენებულია ლვინის საფუარის *Saccharomices cerevisiae* var. vini-ში შტამ ΓИВ-51-ში ულტრაიისფერი სხივებით ინდუცირებული პირობითლეტალური, რადიომგრძნობიარე tks მუტანტები.


თერმოშოკის დროს ვეგეტატიური დიპლოიდური უჯრედების გადარჩენადობის ანალიზი და მიღებული შედეგების სტატისტიკური დამუშავება ხდებოდა მოწოდებული მეთოდით [2]. ცდებში გამოიყენებოდა სტანდარტული საკვები არეები [2]. თერმოშოკ აქვემდებარებოდა სრულ თხიერ საკვებ არეში განვითარებული სუსპენზია (ტიტრი – 10^4 უჯრედი/მმ). სუსპენზია თავსდებოდა 30°C , 37°C და 45°C ტემპერატურაზე. ზრდის ტემპის განსასაზღვრად ოქულარ-მიკრომეტრით იზომებოდა 50 კოლონიის დიამეტრი 6 დღის განმავლობაში.

უძეგები და გათი განცილება

საწყის შტამ გИВ-51-ში და პირობიოთლეტალურ რადიომგრძნობიარე მუტანტებში შესწავლილია მეიოზი და ასკოგენეზი ოპტიმალურ და მაღალ ტემპერატურაზე. კულტურების 30°C ტემპერატურაზე ინკუბაციის დროს ასკოსპორების რაოდენობამ შეადგინა: გИВ-51-ში 78,3%; tks 1-ში – 10,3%; tks 3-ში – 16,4%, tks 4-ში – 22,0%. 37°C ტემპერატურაზე მუტანტებში მეიოზი და ასკოგენეზი ინჰიბირებულია, გИВ-51-ში კი მიმდინარეობდა უჯრედთა 67,7%-ში.

პირობიოთლეტალური რადიომგრძნობიარე მუტანტების ვეგეტატურ უჯრედებში ინჰიბირებულია მიტოზი და რეპარაციის პროცესი. მუტანტები მგრძნობიარენი არიან ულტრაიისფერი სხივებისადმი. მუტანტების უჯრედებისათვის ლეტალურია 200 J/m^2 დოზა, ხოლო საწყისი შტამი რეზისტენტულია 300 J/m^2 დოზის მიმართაც კი.

საწყისი გИВ-51 შტამისა და tks მუტანტების ვეგეტატური უჯრედების გადარჩენადობასა და მაღალი ტემპერატურით ზემოქმედების ხანგრძლივობას შორის ურთიერთდამოკიდებულების მრუდები მოყვანილია 1 სურათზე.




სურ. 1. საკონტროლო და მუტანტური შტამების სიცოცხლისუნარიანი უჯრედების რაოდენობის დამოკიდებულება მაღალი ტემპერატურით ზემოქმედების ხანგრძლივობაზე: 1 – tks 3; 2 – tks 1; 3 – tks 4, ინკუბაცია 37°C ; 4 – გИВ-51, ინკუბაცია 45°C .

მრუდები აღმოჩნდა S-ისებური ფორმის. შტამებმა ნაირგვარი დამოკიდებულება გამოავლინეს რბილი თერმოშოკისადმი. შესწავ-

ლილი კულტურებიდან მეტად თერმომგრძნობიარე აღმოჩნდა txs 1 და txs 3 მუტანტების უჯრედები. 37°C ტემპერატურით 90-საათიანი ზემოქმედებისას გადარჩენილ უჯრედთა რაოდენობა txs 1-ში იყო 1,9%, txs 3-ში კი 1,2%; შედარებით თერმორეზისტენტული აღმოჩნდა txs 4 მუტანტი – 18-საათიანი ექსპოზიციისას გადარჩენადობამ 10,4% შეადგინა. საწყისი შტამი კარგად ვითარდება 37°C ტემპერატურაზე, ამდენად ინპიბირების ზრდას შხვლოდ ხისტი თერმოშოკი (45°C) იწვევს.

შესწავლილია საფუვრის უჯრედების გაყოფის უნარი ოპტიმალურ ტემპერატურაზე. სურ. 2-ზე ნაჩვენებია მაკროკოლონიის დიამეტრის ზრდის დინამიკა 6 დღის განმავლობაში 30°C ტემპერატურაზე. საკონტროლო შტამთან შედარებით, სამივე მუტანტში უჯრედების გაყოფა შენელებულია, რის გამოც მაკროკოლონიების ზომები მცირეა. კოლონიის ზომა საწყისი დიპლოიდური შტამისთვის იყო $3,6 \pm 0,1$ მმ; txs 4-სათვის – $3,1 \pm 0,2$ მმ; txs 1-სათვის – $2,3 \pm 0,2$ მმ; txs 3-სათვის $1,8 \pm 0,3$ მმ.



სურ. 2. შესწავლილი შტამების მაკროკოლონიების ზომები მყარ საკვებ არეზე, ოპტიმალურ ტემპერატურაზე განვითარებისას.
 1 – txs 3; 2 – txs 1; 3 – txs 4; 4 – ГИВ-51.

txs 1 და txs 3 მუტანტების ვეგეტატური უჯრედები გაცილებით ნელი ტემპით იყოფიან, ვიდრე txs 4-ს უჯრედები. ნიშანდობლივია, რომ ამ უკანასკნელის უჯრედები უფრო თერმომდგრადია, ვიდრე ორი დანარჩენი მუტანტისა. ზრდის ტემპის შენელება დაკაფიშირებულია უჯრედულ ციკლში მონაწილე ფერმენტის ნაწილობრივ ინპიბირებასთან [5, 6].

ამავე შტამში ინდუცირებულია და შესწავლილია Spo მუტანტები. მათგან აღსანიშნავია პლეიოტროპული ფორმები, რომლებშიც მუტირებულია ისეთი გენები, რომლებიც ერთდროულად აკონტროლებენ მიტოზის, მეიოზისა და რეპარაციის პროცესებს. პირობითლეტალურ Spo მუტანტებში თერმოშოკის მეშვეობით კარტირებულია მეიოზისა და ასკოგენეზის მგრძნობელობის ეტაპები. გამოვლენილია მუტანტთა სამი ჯგუფი. პირველსა და მეორე ჯგუფში სითბური შოკი მოქმედებს მეიოზის პროცესზე, მესამე ჯგუფში კი – ასკოგენეზე [3].

ამავე შტამში მიღებულია txs-მუტანტები. გამოირკვა, რომ მუტირებული გენი მეიოზის პროცესზე არ მოქმედებს. 37 °C ტემპერატურაზე მეიოზი ნაწილობრივად ინჰიბირებულია. ვეგეტატური დიპლოიდური უჯრედების გაყოფა მაღალ ტემპერატურაზე არ მიმდინარეობს. დადგენილია, რომ მუტანტებში მაღალ ტემპერატურაზე მიმდინარეობს დნმ-ს სინთეზის ინჰიბირება [1]. Spo და txs დომინანტი გენები საფუვრის უჯრედებში უმნიშვნელოვანესი სასიცოცხლო პროცესების რეგულაციის გარდა განსაზღვრავენ თერმოტოლერანტობას.

ლიტერატურა

1. Байдас Е.Л. Генетика, 1993, 9, 126-133.
2. Захаров И.А., Кожин С.А., Кожина Т.Н., Федорова И.В. Сборник методик по генетике дрожжей-сахаромицетов, Л., “Наука”, 1984.
3. Шатиришвили А.Ф. Генетика, 1973, 1, 107-113.
4. Iida H., Yahara J. J. Cell Biol., 1984, 99, 199-207.
5. Kim C., Werner J. Mol. Cell Biol., 1983, 3, 457-467.
6. Lindquist S. Nature, 1981, 283, 311-313.
7. MilarSKI K., Morimoto K. J. Cell Biol., 1989, 109, 1947-1962.
8. Wemer-Washburne M., Becher J. J Bacteriol., 1989, 171, 2680-2688.

INDUCED CONDITIONALLY LETHAL RADIOSENSITIVE MUTANTS OF WINE YEASTS AND THEIR RELATIONS TO HIGH TEMPERATURE

T. Zarnadze, A. Shatirishvili

I. Javakhishvili Tbilisi State university

SUMMARY

Three conditionally lethal radiosensitive mutants, induced by UV-rays, were investigated on their ability to produce spores. Ascogenesis was blocked at 37°C . Studies on the influence of high temperature (37°C) on diploid vegetative cells showed that the mutants revealed different relations to the thermal shock. At normal temperature the cells appeared to have different dividing activities.

საქ. მეცნ. აკად. მაცნე, სერ. ბიოლ., 2001, გ. 27, № 1-3.

Известия АН Грузии, сер. биол., 2001, т. 27, № 1-3.

Proc. Georgian Acad. Sci., Biol. Ser., 2001, vol. 27, No 1-3.

ზოტოპათოგენური ბაქტერიების მიერთ საეციფიკური ზოგიერთი ბაქტერიოფაგის პირდოგიური თვისებების შესწავლა

მ. თედიაშვილი, მ. დავითაშვილი, ნ. ლაშვი, თ. ხუხუნაშვილი,
თ. კობერიძე, დ. გორგელიძე, გ. ცერცფაძე, თ. ჭანიშვილი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გ. ელიაგას სახელობის
ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის
ინსტიტუტი, თბილისი

მიღებულია 23.01.2001

შესწავლილია 46 იზოლირებული კლონიდან 12 ბაქტერიოფაგი, რომლებიც სპეციფიკურია კარტოფილის, თამბაქოს და თუთის ბაქტერიოფაგიის, მორფოლოგიურობისა და გენეტიკური მარტინაციის მიერთ ბაქტერიული ფაგების შესახებ. ფიტოპათოგები *Pseudomonas* sp.-სადმი სპეციფიკური ფაგების მორფოლოგიური მსგავსების მოუხედავად, სხვა ბიოლოგიურობის თვისებების მსგავსება არ იყო დადგენილი. *Erwinia* sp.-სადმი სპეციფიკური ფაგებიდან, მხოლოდ ორში იყო ნაპოვნი სეროლოგიური და მორფოლოგიური მსგავსება.

საკვანძო სიტყვები: ფიტოპათოგენები, სპეციფიკური ფაგები, კარტოფილი, თამბაქო, თუთა, სეროლოგიური და მორფოლოგიური მსგავსება

ფიტოპათოგენური ბაქტერიების ფაგები პირველად 20-იან წლებში იქნა აღწერილი. მას შემდეგ ბაქტერიული ვირუსები გამოვლენილ იქნა კიტრის, ლობიოს, თამბაქოს, კომბოსტოს, ბრინჯის, სხვადასხვა ხეხილის დაავადებების გამომწვევი *Pseudomonas*, *Xanthomonas*, *Erwinia*

და სხვა ფიტოპათოგენური ბაქტერიების მიმართ [1, 3, 6, 7, 8].
მიუხედავად იმისა, რომ ფიტოპათოგენური ბაქტერიების ვირუსები
ცხოველებისა და ადამიანის ბაქტერიული დაავადებების გამომწვე-
ვების ფაგებთან შედარებით ჯერ კიდევ ნაკლებად არის შესწავ-
ლილი, არსებული მონაცემები საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ,
რომ ისინი არანაკლებ არიან გავრცელებული ბუნებაში და ასევე
მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ბაქტერიული პოპულაციის
რიცხობრივი და სახეობრივი შემადგენლობის რეგულაციაში .

ფიტოპათოგენური ბაქტერიების ვირუსების კვლევას, კერძოდ,
მათი სტრუქტურისა და ფუნქციის, გენეტიკური თავისებურებებისა
და გარემო პირობებთან მათი დამოკიდებულების შესწავლას
მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია ბაქტერიოფაგების
კლასიფიკაციური სქემების დახვეწაში და მათი ევოლუციური
განვითარების შესახებ სწორი შეხედულების ჩამოყალიბებაში.

წარმოდგენილი სამუშაოს მიზანს შეადგენდა კარტოფილის,
თუთისა და თამბაქოს ბაქტერიულ დაავადებათა გამომწვევების
მიმართ სპეციფიკური ბაქტერიოფაგების გამოვლენა და მათი
ბიოლოგიური თვისებების შესწავლა.

მასალა და მეთოდები

ბაქტერიული შტამები. *Pseudomonas* sp. 64 ფიტოპათოგენური შტამი
გამოყოფილი დაავადებული კარტოფილის, თუთისა და თამბაქოს
სხვადასხვა ორგანობიდან. *Erwinia*-ს გვარის 45 ბაქტერიული შტამი,
დაავადებული კარტოფილის ტუბერებიდან და ნარგავებიდან; *Xanthomonas* sp. 8 შტამი - გამოყოფილი თამბაქოს დაავადებული
ფოთლებიდან ლაგოდეხის ზონაში. ასევე, *P. aeruginosa*-ს და *E. coli*-ს
12 სტანდარტული შტამი.

ბაქტერიოფაგები. 1992-99 წწ. გარემოდან გამოყოფილი ფაგები,
მათ შორის, *Pp* სერიის 12 კლონი, ბაქტერიოფაგები *TP 26m*, *Tp 28*, *Tp*
24; *MP110*, *MP120*, *MP60*, *MP80*; *Pmt2*, *Bg2*, და სხვა.

საკვები არეები, ბუფერული ხსნარები. თხევადი, მყარი და
ნახევრადოხიერი საკვები არეები: *LB* აგარი, კარტოფილის ნიადაგი,

სიმონსის და მაკ-კონკის არეგბი და სხვ.; კელენბერგერის სინთეზური ნიადაგი [4, 10]. ბუფერული სისტემები: 0,1 M ფოსფატური ბუფერი, pH 7.0; TE ბუფერი, pH 8.0; ფაგური ბუფერი, pH 7,2; 1 SSC, pH 7,0 [4,10].

ფიტოპათოგენური ბაქტერიების გამოყოფა და შესწავლა. ახლად აღიმულ მასალიდან ფიტოპათოგენური ბაქტერიების სუფთა კულტურაში გამოყოფას ვახდენდით სერიული განზავების მეთოდით; საკლევი შტამების მორფო-კულტურალურ და ბიოქიმიურ თვისებებს ვსწავლობდით ბაქტერიების ზრდის ხასიათით მყარ და თხევად მდიდარ, სინთეზურ და სპეციალიზებულ არებზე [2, 4, 5].

ბაქტერიოფაგების გამოყოფა და შესწავლა. ფაგების გამოყოფისათვის მასალად ვიყენებდით დაავადებული მცენარეების ორგანოებს, ნიადაგის ნიმუშებსა და ჩამდინარე წყლებს. შესაბამისი დამუშავებისა და ინკუბაციის შემდეგ მიღებულ ლიზატს ვცდიდით ფაგების შემცველობაზე საორიენტაციო და პირდაპირი მეთოდით [9, 7, 3].

ბაქტერიოფაგების სუფთა ხაზების მიღებას, და მათი ლიზისური სპექტრის, ზუსტი ტიტრის, დათესვის ეფექტურობის (დე) განსაზღვას, ასევე პატრონ-უჯრედთან ურთიერთქმედების ფაზების შესწავლას ვაწარმოებდით სტანდარტული მეთოდებით [7, 10].

ბაქტერიოფაგების ვირიონის მორფოლოგიის შესწავლისათვის პრეპარატებს ვამზადებდით 2%-იანი ურანილ-აცეტატით ნეგატიური კონტრასტირების მეთოდით. ფაგური ნაწილაკების მორფოლოგიას შესწავლობდით JEM-1200CX და Opton M10 ელექტრონულ მიკროსკოპში.

სპეციფიკურ ანტიფაგურ შრატებს ვღებულობდით ბოცვების მუნიზაციის გზით აღიუვანტის გამოყენებით. ფაგების სეროლოგიურ ნათესაობას ვსწავლობდით ფაგის ნეიტრალიზაციის ჯვარედინი რეაქციების საშუალებით [7, 11].

შედეგები და მათი განხილვა

კვლევის პირველ ეტაპზე ჩატარებული იყო 90-იან წლებში საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში გამოვლენილი კარტოფილის,



თუთისა და თამბაქოს ბაქტერიოზების გამომწვევების შტამების შესწავლა მათი დიფერენციაციისა და შედარებითი დახასიათების მიზნით. მორფოლოგიურ და კულტურალურ-ბიოქიმიურ მაჩვენებლებზე დაყრდნობით დადგენილ იქნა, რომ საკვლევი შტამების დიდი უმრავლესობა მიეკუთვნება გრამ-უარყოფით ბაქტერიებს. ამასთან დაავადებული თუთის ხეებიდან გამოყოფილი შტამების დიდი უმრავლესობა (32 შტამი) მიეკუთვნება ფსეუდომონას გვარს, ხოლო თამბაქოს დაავადებების გამომწვევებიდან 6 შტამი - *Xanthomonas* sp. და 8 შტამი - *Pseudomonas* sp. დაავადებული კარტოფილიდან გამოყოფილი ბაქტერიული შტამები იდენტიფიცირებულ იქნა, როგორც *Erwinia* sp. - 45 შტამი და *Pseudomonas* sp. - 24 შტამი [2].

მაღალი ვირულენტობის მქონე ფიტოპათოგენური შტამების მიმართ გამოყოფილ იქნა სპეციფიკური ბაქტერიოფაგები. თავდაპირველად გამოვლენილი 46 ფაგური კლონიდან ბიოლოგიური თვისებების შესწავლისათვის გადაირჩა 12 კლონი, სუფთა ხაზების გამოყოფისა და პირველადი სკრინინგის საფუძველზე, რაც გულისხმობდა ლიზისური სპექტრის მაჩვენებლებს და სტაბილობას სახეობის ფარგლებში, ნეგატიური კოლონიის მახასიათებლებს და სტანდარტულ პირობებში ფაგის გამრავლება-კონცენტრირების შესაძლებლობებს. შერჩეული ფაგური კლონებიდან 4 განეკუთვნებოდა თუთის პათოგენი ფსეუდომონადების მიმართ სპეციფიკურ ფაგებს, ხოლო 3-3 კლონი კარტოფილის ლპობის გამომწვევი *Erwinia* sp. ბაქტერიების, კარტოფილისა და თამბაქოს პათოგენი ფსეუდომონადების შტამების მიმართ აქტიურ ფაგებს. 1 ცხრილში მოცემულია ბაქტერიოფაგების ბიოლოგიური თვისებები, ხოლო 1 სურათზე ფაგების თითოეული ჯგუფის თითო წარმომადგენელის ვირონის მორფოლოგია.




როგორც 1 ცხრილიდან და 1 სურათიდან ჩანს, საკვლევი ბაქტერიოფაგების უმეტესობა მორფოლოგიური ნიშნებით მიეკუთვნება სიფოვირიდეს ოჯახს, ხოლო 4 ფაგი - მიოვირიდეს ოჯახს. მიუხედავად გარეგნული მსგავსებისა, სხვადასხვა და ხშირად ერთი სახეობის პატრონ-მცენარიდან გამოყოფილი *Pseudomonas* sp. ფაგები

არ ამჟღავნებენ სეროლოგიურ ნათესაობას და ასევე საკმაოდ განსხვავდებიან ლიზისური სპექტრის მიხედვით. ამ მხრივ ხაზი უნდა გაესვას *Erwinia* sp. მიმართ სპეციფიკური მიოვირიდეს მორფოლოგიური ტიპის მქონე Pp1 და Pp2 ფაგების სეროლოგიურ ნათესაობას, რასაც ემატება ურთიერთგადამფარავი ლიზისური სპექტრი.

ცხრილი 1

ფიტოპათოგენური ბაქტერიების მიმართ აქტიური ზოგიერთი ბაქტერიოფაგის ბიოლოგიური თვისებები

ბაქტერიოფაგი	ბაქტერია (გვარი)	მცენარე	ნეგატიური გარეონის ჭირდები (გვ)	გრძელის მორფოლოგია		მინიმუმური ტენი	ნეტტორაჟი- ზარის პარა- მეტრები (%)	
				თავი (გვ)	გუდი (გვ)		APS- PP2	APS- PK3
PPp1	<i>Erwinia</i>	კარტოფ.	1-1,5	95x77	110x15	მიოვირიდე	78	-
Pp2	<i>Erwinia</i>	"	1,5-2	85x60	100x15	მიოვირიდე	99,4	-
Pp3	<i>Erwinia</i>	"	2-2,5	56x50	130x15	სიფოვირიდე	0	-
PK3	<i>Pseudomonas</i>	კარტოფ.	3,5-4,0	45x45	200x10	სიფოვირიდე	-	98,9
PK4	<i>Pseudomonas</i>	"	2-2,5	82x64	90x15	მიოვირიდე	0	0
PK7	<i>Pseudomonas</i>	"	3,0-3,5	58x60	210x12	სიფოვირიდე	-	24,3
PM11	<i>Pseudomonas</i>	თუთა	2,5-3	58x56	150x13	სიფოვირიდე	-	8,5
PM10/1	<i>Pseudomonas</i>	"	2,5-3	55x55	140x10	სიფოვირიდე	-	6,8
PM10/3	<i>Pseudomonas</i>	"	2-2,5	62x62	120x11	სიფოვირიდე	-	0
PM15	<i>Pseudomonas</i>	"	1,0-1,5	78x56	86x14	მიოვირიდე	0	0
PSt 1	<i>Pseudomonas</i>	თამბაქო	2,5-3,0	65x65	220x13	სიფოვირიდე	-	15
PSt-1/5	<i>Pseudomonas</i>	"	2 -2,5	68x66	200x12	სიფოვირიდე	-	4,5



სურ. 1. ფიტოპათოგენური ბაქტერიების მიმართ სპეციფიკური ზოგიერთი ბაქტერიოფაგის ელექტრონული მიქროფოტოგრაფია: 1 – Pp2, 2 – PM10/1, 3 – PST5, 4 – PK3.

ლიტერატურა

1. დავითაშვილი მ., მ.თედიაშვილი მ. "მახარობელი", თელავის ო. გოგებაშვილის სახ. უნივერსიტეტის შრომათა კრებული, 1999, 1, 82-95.
2. დავითაშვილი მ., თედიაშვილი მ., ხუხუნაშვილი თ., კობერიძე თ., ლაშხი ნ., ცერცებაძე გ., ხურცია ბ., ჭანიშვილი თ. საქ. მეცნ. აკად. მაცნე, ბიოლ. სერ., 2000, 26, 4-6.

3. Адамс М. Бактериофаги. М., Иностранный литература, 1961.
4. Методы общей бактериологии, т. 3, М., Мир, 1984.
5. Бактериальные болезни растений. М., Колос, 1979.
6. Прокулович Л.П., Горелишев А.С. Труды Белорус. Ун-та, 1982, Сер. 2, 38-41.
7. Тедиашвили М., Давиташвили М., Лашхи Н., Церцвадзе Г., Мангалаձ M., Хеладзе Э. Тез. первого Закавказского Симп. по мед.-биол. наукам., Тбилиси, 1999, с. 152.
8. Шлаар Д., Клейнхемпель Г., Мюллер Г., Науманн К. Бактериозы культурных растений. М., Колос, 1980.
9. Fisk R.T. J. Inf. Dis., 1942, 71, 153-156.
10. Sambrook J., Fritch E.F., Maniatis T. Molecular cloning: A laboratory manual, Second edition, 1989, 2.
11. Gachechiladze K., Kretova A.F., Bespalova I.A., Chanishvili T.G., Andrichvili I.A., Tikhonenko A.S. Mol.Biol., 1980, 14, 375-380.

STUDY OF BIOLOGICAL PROPERTIES OF SOME BACTERIOPHAGES SPECIFIC TO PHYTOPATHOGENIC BACTERIA

*M. Tediashvili, M. Davitashvili, N. Lashkhi, T. Khukhunashvili,
T. Koberidze, D. Giorkhelidze, G. Tservadze, T. Chanishvili*

G. Eliava Institute of Bacteriophage, Microbiology and Virology, Georgian Academy of Sciences, Tbilisi

SUMMARY

Total of 12 bacteriophages from 46 isolated clones specific to bacterial pathogens of potato, tobacco and mulberry trees were studied. According to morphological features 8 phages belong to *Syphoviridae* and 4 – to *Myoviridae* family. In spite of morphological likeness of phages specific to phytopathogenic *Pseudomonas* sp. of different origin no similarities in other biological features were found. Only two phages specific to *Erwinia* sp. revealed closeness by serological and morphological properties.

საქ. მეცნ. აკად. მაცნე, სერ. ბიოლ., 2001, გ. 27, № 1-3.

Известия АН Грузии, сер. биол., 2001, т. 27, № 1-3.

Proc. Georgian Acad. Sci., Biol. Ser., 2001, vol. 27, No 1-3.

ენტერობაქტერიების ოჯახის ზარმომაღელების ეტიოლოგიური როლი ჭრილობის ჩირქოვან-ანთებითი პროცესშის განვითარებაში

თ. თოსებაშვილი, დ. ჩიკვილაძე

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიკრობიოლოგიის, ვირუსოლოგიის და იმუნოლოგიის კათედრა

მიღებულია 5.02.2001

აღნიშნული შრომის მიზანს შეადგენდა ჩირქოგან-ანთებითი გართულებების მქონე 331 ქირურგიულ ავადმყოფში ჭრილობის მიკრობული ბეზაების შესწავლა, რომლის დროსაც გამოყოფილ იქნა სხვადასხვა სახეობის მიკროორგანიზმების 726 შტამი. ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა ჩაუტარდა ავრეთვე 86 პრაქტიკულად ჯანმრთელ პირს, რომელთაგან გამოიყო 156 შტამი. 331 ავადმყოფისავაგან მიკროორგანიზმები მონოკულტურის სახით გამოიყო 59 შემთხვევაში, ხოლო ასოციაციაში (2-3 მიკრობი ერთდროულად) 272 შემთხვევაში. ჩატარებული გამოკვლევის შედეგად დადგენილ იქნა, რომ მიკრობული ასოციაციები გამოითქმებოდა 4,5-ჯერ მეტად, ვიდრე მონოკულტურები; გრამ-უარყოფითი ფლორია - 2,6-ჯერ ჭარბობდა გრამ-დადებითებს; მიკრობულ ბეზაებში პრევალირებდა ენტერობაქტერიების ოჯახის მიკროორგანიზმები, ამსთან სხვებზე უფრო ხშირად გამოითქმდა E.coli-ის სხვადასხვა გარიბანტები. პრაქტიკულად ჯანმრთელ პირებში E.coli-ის შედარებით ხშირი გამოყოფა აღმართ აისწენდა ამ მიკროორგანიზმების ფართო მტარებლობით.

საკვანძო სიტყვები: ენტერობაქტერიები, ჩირქოვან-ანთებითი ინფექციები, გრამ-უარყოფითი ბაქტერიები

ჩირქოვან-ანთებითი ინფექციები პრაქტიკული მედიცინის აქტუალური პრობლემაა. ჭრილობის ინფიცირების საშიშროება ჩატარებული ოპერაციის შემდეგ დამოკიდებულია ამ ჭრილობის შესაძლო კონტამინაციაზე, როგორც პოსპიტალური, ისე არაპოსპიტალური მიკროორგანიზმებით. უმრავლეს შემთხვევაში თითქმის ყველა ოპერაციული ჭრილობის ინფიცირება ხდება ოპერაციის დროს.

ჩირქოვან-ანთებითი ინფექციების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების შემუშავებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ამ დაავადებების ეტიოლოგიური სტრუქტურის ცოდნას, რომელმაც უკანასკნელ წლებში განიცადა სერიოზული ცვლილებები. გაიზარდა გრამ-უარყოფითი მიკრობებით, კერძოდ ენტერობაქტერიებით გამოწვეული ჩირქოვან-ანთებითი ინფექციების სიხშირე [1, 2, 3].

კნიშის და თანაავტორების [5] მონაცემებით, ოპერაციის ან ინფექციის კერიდან გამოყოფილი მიკრობული ფლორის შედარებითი შესწავლისას დადგინდა, რომ პათოლოგიური მასალიდან ხშირად ითესებოდა გრამ-უარყოფითი მიკროორგანიზმები (80,3%) და სტაფილოკოკები (16,6%). გრამ-უარყოფითი მიკრობებით ჭრილობის ოპერაციის შემდგომ ინფიცირებას შემთხვევათა 69,45%-ში პქონდა ადგილი სარაევოს საუნივერსიტეტო კლინიკის ქირურგიულ განყოფილებაში და სახელმწიფო კლინიკებში [4].

წარმოდგენილი სამუშაოს მიზანს წარმოადგენდა დაგვედგინა ჭრილობის ჩირქოვან-ანთებითი პათოლოგიის დროს გამოყოფილი მიკრობული პეიზაჟის სტრუქტურა, ამ სტრუქტურაში ენტერობაქტერიების ეტიოლოგიური როლი და ხვედრითი წონა.

მასალა და მეთოდები

ბაქტერიოლოგიური კვლევა ჩაუტარდა ქობილისის სხვადასხვა კლინიკური საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებებში პოსპიტალიზებულ 331 ავადმყოფს. სულ, დამწერობის ცენტრის, რესპუბლიკური საავადმყოფოს და რკინიგზის საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებებში პოსპიტალიზებული 331 ავადმყოფისაგან გამოყოფილი და იდენტიფიცირებული იყო 726 შტამი. კლასიკური

სტანდარტიზებული ბაქტერიოლოგიური მეთოდების კომპლექსი და
СИБ (ინდიკატორული ქაღალდის სისტემა) გამოყენებული იქნა
ენტერობაქტერიების იდენტიფიკაციისათვის და ბიოლოგიური
თვისებების შესწავლისათვის.

მასალის აღებას ვახდენდით ზოგადად მიღებული წესებით. აღებული მასალის დათესვა ხდებოდა არაუგვიანეს 1,5-3 საათის შემდეგ. ავადმყოფების ჯგუფი წარმოდგენილი იყო გეგმიური და არაგეგმიური ოპერაციის შემდგომი ინფექციებით, კანის ინფექციებით, ტრავმული და დამწვრობის ინფექციებით.

მიღებული შედეგების შედარებითი ანალიზისათვის კვლევა ჩაუტარდა 86 ჯანმრთელ მტარებელს.

შედეგები და მათი განხილვა

331 ავადმყოფის სხვადასხვა კლინიკური მასალიდან სამივე სტაციონარში გამოყოფილი იყო 726, ხოლო 86 ჯანმრთელი მტარებლისაგან 155 შტამი.

ავადმყოფებისგან გამოყოფილი მიკროფლორა წარმოდგენილი იყო როგორც მონოკულტურით, ისე ასოციაციით. სულ მონოკულტურა გამოიყო 59 ($17,82 \pm 2,0\%$), ხოლო ასოციაცია 272 ($82,17 \pm 2,1\%$) შემთხვევაში, რაც ადასტურებს მიკრობული ასოციაციის პრევალირებას მონოკულტურაზე. მიკრობული ასოციაცია ორი მიკრორგანიზმით აღინიშნა 128 ($47,05 \pm 3,0\%$), სამი მიკრობით 132 ($48,52 \pm 3,0\%$), ხოლო ოთხი მიკრობით 12 ($4,41 \pm 1,2\%$) შემთხვევაში. ჯანმრთელი მტარებლებისგან მონოკულტურა გამოიყო 41 ($47,67 \pm 5,3\%$), ხოლო ასოციაციით 45 ($52,32 \pm 5,3\%$) შემთხვევაში. აქედან ასოციაცია ორი მიკრობით დაფიქსირდა 91 ($91,11 \pm 4,2\%$), ხოლო სამი მიკრობით 4 ($8,88 \pm 4,2\%$) შემთხვევაში. განსაკუთრებით ხშირი იყო ნაწლავის ჩხირის და პროტეუსის გვარის სხვადასხვა სახეობის ასოციაცია ოქროსფერ სტაფილოკოკთან, ლურჯ-მწვანე ჩირქმბად ჩხირებთან, კლებსიელებთან, ენტერობაქტერიებთან, ეპიდემიალურ სტაფილოკოკთან.

მიღებული ანალიზით შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დაზკვნა:
ჩირქოვან-ანთებითი ინფექციების დროს ავადმყოფებისაგან
გამოყოფილი მიკრობული პეიზაჟი, წარმოდგენილი მიკრობთა
ასოციაციით, 4,5-ჯერ მეტია მონოკულტურასთან შედარებით, რაც
გაცილებით მეტია ლიტერატურულ მონაცემებზე.

სამივე სტაციონარში პოსპიტალიზებული 331 ავადმყოფისაგან
გამოყოფილი 726 შტამიდან $27,68 \pm 1,7\%$ (201) გრამ-დადებითი, ხოლო
 $72,31 \pm 1,7\%$ (525) გრამ-უარყოფითია, ე.ი. 2,6-ჯერ მეტი. ჯანმრთელი
მტარებლებისაგან გამოყოფილი 155 შტამიდან $40,64 \pm 39\%$ (63) გრამ-
დადებითია, ხოლო $59,4 \pm 3,9$ (92) გრამ-უარყოფითი.

აღნიშნული მონაცემებიდან გამომდინარე, ჩირქოვან-ანთებითი
ინფექციების გამომწვევები უფრო ხშირად გრამ-უარყოფითი მიკრო-
ორგანიზმებია, ხოლო ეტიოლოგიურად ყველაზე ხშირი გამომწვევი –
ნაწლავის ჩხირი, პროტეუსი, ოქროსფერი სტაფილოპოკი, ლურჯ-მწვანე
ჩხირი, კლებსიელები. ეს კი მიუთითებს აღნიშნული პათოლოგიების
დროს მიკრობიოლოგიური სპექტრის მქევეორ გადახრაზე გრამ-
უარყოფითი ფლორისაკენ. ჯანმრთელი მტარებლებისაგან
გამოყოფილი მიკრობების საერთო რიცხვიდან განსაკუთრებით
მაღალი იყო ნაწლავის ჩხირის გამოყოფის სიხშირე ($30,96 \pm 3,7\%$).

იმის გამო, რომ ჩვენი შრომის მიზანი იყო დაგვეღინა ენტე-
რობაქტერიების როლი და ხვედრითი წონა ჩირქოვან-ანთებითი
ინფექციების განვითარებაში, გაკეთდა გამოყოფილი ენტერობაქ-
ტერიების ოჯახში შემავალი სახეობების რაოდენობრივი ანალიზი.
სამივე კლინიკაში, მიკრობული სპექტრის ანალიზით, გამოყოფის
სიხშირის მიხედვით ენტერობაქტერიების ოჯახის სხვადასხვა
სახეობები განლაგდა შემდეგნაირად: *E.coli* – $34,71 \pm 2,3$ (151), *Proteus vulgaris* – $22,98 \pm 2,0\%$ (100), *Klebsiella pneumoniae* $10,80 \pm 1,5\%$ (47),
Enterobacter aerogenes – $8,67 \pm 1,3\%$ (38), *Proteus mirabilis* $7,35 \pm 1,3\%$ (32),
Hafnia alvei – $2,5 \pm 0,7\%$ (11), *Edwardsiella* spp. – $2,29 \pm 0,7\%$ (10), *Citrobacter*
spp. – $1,83 \pm 0,6\%$ (8), *Proteus rettgeri* – $1,60 \pm 0,6\%$ (7), *Providensia* –
 $1,37 \pm 0,5\%$ (6), *Enterobacter cloacae*, *Moellerella* spp. – $1,14 \pm 0,5\%$ (5)
თითოეული, *Ewingella sonne*, *Cedacia* spp. $0,91 \pm 0,4\%$ (4) თითოეული,
Morganella – $0,68 \pm 0,4\%$ (3), *Klebsiella ozenae* $0,45 \pm 0,3\%$ (2), *Klebsiella*

rinoscleromatis, Shigella sonne – $0,22 \pm 0,2\%$ (1). აქვე უნდა აღინიშნოს გამოყოფილი ენტერობაქტერიების დიდი სახეობრივი მრავალფეროვნება.

ჯანმრთელი მტარებლებისაგან გამოყოფილი 81 ენტერობაქტერიებიდან $59,25 \pm 5,4\%$ (48) *E.coli*-ია, $12,34 \pm 3,6\%$ (10) *Proteus vulgaris*, $9,87 \pm 3,3\%$ (8) *Enterobacter aerogenes*, $8,64 \pm 3,0$ (7) *Klebsiella pneumoniae*, $2,45 \pm 1,7\%$ (2) *Enterobacter cloacae*, *Proteus mirabilis*, *Citrobacter* spp. თითოეული, $1,23 \pm 1,2\%$ (1) *Proteus rettgeri*, *Morganella* spp. სულ ჯანმრთელი მტარებლებისაგან გამოყოფილი 155 შტამიდან 81 ($52,25 \pm 4,0\%$) ენტერობაქტერია.

ამრიგად, ჩირქოვან-ანთებითი ინფექციების დროს ავადმყოფებისაგან და ჯანმრთელი მტარებლებისაგან გამოყოფილი მიკროორგანიზმების სპექტრის და ენტერობაქტერიების გამოყოფის სიხშირის ანალიზმა გვიჩვენა, რომ მიკრობთა გამოყოფა ასოციაციების სახით $4,5\text{-ჯერ}$ აღემატებოდა მათ გამოყოფას მონოკულტურის სახით; გამოყოფილ მიკროორგანიზმებში ჭარბობდა ენტერობაქტერიების ოჯახის წარმომადგენლობა. ამასთან, როგორც ავადმყოფებიდან, ასევე ჯანმრთელი მტარებლებიდან ყველაზე ხშირად გამოიითესა *E.coli*-ის სხვადასხვა ვარიანტები; და ბოლოს, ჯანმრთელ მტარებლებში *E.coli*-ის ამოთესვის შედარებით მაღალი მაჩვენებელი შეიძლება აიხსნას ამ მიკროორგანიზმის ფართო მტარებლობით.

ლიტერატურა

- Колесов А.П., Немченко В.Н., Столбовой А.В. Вестник хирургии, 1984, 12, 3-6.
- Гайдук В.Н., Скачкова Н.К., Федоровская Е.А. Вестник хирургии, 1985, 4, 69-73.
- Вихриев Б.С., Ломоносов А.С. Вестник хирургии, 1985, 5, 110-114.
- Aganovic F., Telebak B., Cibo S., Aganovic E., Puvacic Z. Med. Arch., 1994, 48, 27-28.
- Кныши В.Л., Ананьев В.С., Ожигомов Е.Л. Хирургия, 1983, 9, 103-106.

ROLE OF ENTEROBACTERIACEAE MICROORGANISMS IN DEVELOPMENT OF PYO-INFLAMMATORY PROCESSES

T. Iosebashvili, D. Chikviladze

Chair of Microbiology, Virology and Immunology, Tbilisi State Medical University

SUMMARY

The aim of this work was to study microbial landscape of pyo-inflammatory complications in 331 surgical patients. Total of 726 strains of different microorganism was isolated from these patients. Bacteriological studies were performed in 86 practically healthy persons as well, and 155 microbial strains were found in this cohort. Flora, consisting of one microorganism was found in 59 cases out of 331 investigated patients, microbial association (consisting of two of three different microorganisms) – in 272 cases.

Basing on the results obtained, we conclude that microbial associations were found 4.5 times more frequently as compared to monocultures. Gram-negative flora prevailed over the gram-positive 2.6 times. Most frequently were found strains of *E.coli*. Comparatively high isolation at *E.coli* from practically healthy people could be explained by wide carriage of these microorganisms.

ერთობებაშტერიების პათოგენობის ფაქტორების გამოვლენა და მათი როლის შესწავლა დამზრუბის ჭრილობის ინფეციური გართულებების განვითარებაში

თ. იოსებაშვილი, დ. ჩიკვილაძე

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიკრობიო-
ლოგიის, ვირუსოლოგიისა და იმუნოლოგიის კათედრა

მიღებულია 2.02.2001

წარმოდგენილი სამუშაოს მიზანი იყო დაგვეღვინა დამწერობის ჭრი-
ლობის ბაქტერიული სტრუქტურა, პათოგენობის ფაქტორები და 1 გ ქსო-
ვლში ბაქტერიული დაბინძურების ხარისხი.

მიღებული შედეგების ანალიზმა გვიჩვნა, რომ ენტერობაქტერიები
პათოგენობის ფაქტორების კომბინაციით დიდმნიშვნელოვან ეტოლოგიურ
როლს ასრულებენ დამწერობის ჭრილობის ანთებითი ინფექციების გან-
ვითარებაში.

ამრიგად, 1 გ ქსოვლში დამწერობის ჭრილობის ბაქტერიული დაბინ-
ძურების რაოდენობრივი შეფასება არას შესაძლო სარწმუნო მეთოდი ინფექ-
ციური პროცესის განვითარებისა და სეფსის ადრეული დაზნოსტიკისათვის.

საგვანძო სიტყვები: ენტერობაქტერიები, დამწერობის ჭრილობა,
პათოგენობის ფაქტორები

მძიმე დამწერობის პათოლოგიების კლინიკური მიმდინარეობისა
და გამოსავლის განმსაზღვრელ ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს დღესაც
წარმოადგენს ინფექციური გართულებები. ლრმა დამწერობის

ჭრილობის მიკროფლორა – ადგილობრივი და გენერალიზებული ინფექციების განვითარების მუდმივი პოტენციური წყაროა [1, 2, 3].

დამწვრობის ჭრილობის ინფექციური გართულებები ყოველთვის აღმოცენდება ჰოსპიტალიზაციიდან 48 საათის შემდეგ. ამიტომ მიღებული განსაზღვრების თანახმად, იგი უნდა მიეკუთვნოს შიდა-ჰოსპიტალურ ინფექციებს. დამწვრობის ინფექციური გართულებების გამომწვევი მიკროორგანიზმების ყველაზე ხშირ და მნიშვნელოვან წყაროდ თვითონ დამწვრობის ჭრილობას მიიჩნევს [4, 5]. თუმცა, ჭრილობის ზედაპირიდან გამოყოფილი მიკრობები ყოველთვის არ წარმოადგენს დამწვრობის ჭრილობის ინფექციის არსებობის სარწმუნო მაჩვენებელს. დამწვრობის ჭრილობის ინფიცირების ყველაზე სამეცნიერო სადიაგნოსტიკო მეთოდია ბიოპტიატების შესწავლა მიკროორგანიზმების რაოდენობრივი და თვისობრივი იდენტიფიკაციის ჩატარების მიზნით. აღნიშნული მეთოდი იძლევა უფრო ობიექტურ ინფორმაციას ჭრილობის ინფექციური პროცესის სიმძიმისა და მისი შესაძლო გენერალიზაციის შეფასებისათვის.

რ.ხ. იაფაევას და ლ.კ. ზუევის მონაცემებით [6], დამწვრობის ჭრილობის ღრმა დაჩირქების დროს წამყვანი მნიშვნელობა ენიჭება გრამ-უარყოფით მიკროორგანიზმებს (67,6%), მაშინ როცა სტაფილოკებთან ეტიოლოგიურად დაკავშირებულია მხოლოდ ზედაპირული ინფექციური გართულებები.

უკანასკნელ წლებში მძიმე დამწვრობის მქონე ავადმყოფებში მნიშვნელოვად გაიზარდა ენტერობაქტერიების ოჯახის ბაქტერიებით გამოწვეული ინფექციური გართულებების ხვედრითი წონა. გამოყოფილი ენტერობაქტერიების ოჯახის ბაქტერიული შტამების ეტიოლოგიური როლის შეფასების დროს დიდი ყურადღება ექცევა გამომწვევების პათოგენობის ფაქტორების დადგენას [7, 8].

აღნიშნული შრომის მიზანს შეადგენდა დამწვრობის ჭრილობის 1 გ ქსოვილში ბაქტერიული დაბინძურების მიკროფლორის სახეობრივი შედგენილობის და ხარისხის განსაზღვრა და ამავე დროს გამოყოფილი ენტერობაქტერიების შტამების პათოგენობის ფაქტორების შესწავლა.

მასალა და მეთოდები

პათოლოგიური მასალა აღებულ იქნა რესპუბლიკური დამწვრობის ცენტრის ოთხი განყოფილების 142 ავადმყოფისაგან.

გამოყოფილი ენტერობაქტერიების იდენტიფიკაციას ვახდენდით ენტერობაქტერიებით გამოწვეული დაავადებების მიკრობიოლოგიური დიაგნოსტიკის მეთოდური რეკომენდაციების თანახმად [2]. ბაქტერიოლოგიური კალეგისათვის ბიოპტატებს ვიღებდით ავადმყოფებისაგან ოპერაციის ან შეხვევის დროს ნარკოზის ქვეშ. Baxter და თანაავტ. და Loeble და თანაავტ. მეთოდიკით, რომელიც მოდიფიცირებული იყო ა.ვ. ვიშნევესკის სახ. ქირურგიის ინსტიტუტის მიკრობიოლოგიისა და იმუნოლოგიის ლაბორატორიის თანამშრომლების მიერ [10, 11]. შედარებითი ანალიზისათვის გამოვიკვლიერ ჭრილობის ზედაპირიდან გამოყოფილი მიკროფლორის სახეობრივი შედგენილობა. გამოყოფილი კულტურების ენტეროტოქსიგენობას ვსაზღვრავდით ბოცვრის წვრილი ნაწლავის ლიგირებული მონაკვეთების მოდელზე S.N. Catterji-ის DM მეოდით. ჰემოლიზური აქტივობა განსაზღვრულ იქნა სპეციალურად შემუშავებულ მყარ საკვებ ნიადაგზე. აღპეტიის ფიმბრიალური ანტიგენების CFA/I CFA/II ტიპს ვსაზღვრავდით D-მანოზარეზისტენტული აგლუტინაციის რეაქციით ადამიანის (II ჯგუფი), წიწილების და ხარის ერთორციტების შენაწონთან [12], ხოლო ინგაზიურობას ვადგენდით ზღვის გოჭებში შერენის მეთოდით.

უერგები და მათი განხილვა

სულ გამოყოფილი მიკროორგანიზმების საერთო რიცხვიდან (342) ენტერობაქტერიების ოჯახს მიეკუთვნებოდა 190 (55,5%) შტამი.

ავადმყოფებიდან გამოყოფილი იყო: *E. coli*, *Proteus vulgaris*, *Proteus mirabilis*, *Enterobacter aerogenes*, *Morganella* spp., *Klebsiella pneumoniae*, *Edwardsiella* spp., *Hafnia* spp., *Providentia* spp., ენტერობაქტერიები გამოიყოფოდნენ არა მარტო მონოკულტურაში (12 ($8,45 \pm 2,3\%$)), არამედ ასოციაციაში (130 ($91,5 \pm 2,35\%$)). დამწვრობის მქონე

ავადმყოფებს ჩირქოვან-ანთებითი პროცესებით, მონოკულტურაში უპირატესად აღნიშნებოდათ *E.coli*-ის (50%) და *Proteus vulgaris*-ის (33,3%) გამოყოფა. შედარებით ხშირი იყო ასოციაცია ორი (43,4%) და სამი (51,5%) სახეობის ბაქტერიებით. მხოლოდ 3,1% შემთხვევაში იყო ასოციაცია ოთხი სახეობის ბაქტერიებით. ასოციაციებში იყო შემდეგი კომბინაციები: *E.coli* + *Proteus vulgaris* (11,5%), *E.coli* + *St.aureus* (16,2%), *E.coli* + *Ps.aeruginosa* (12,3%), *Proteus vulgaris* + *Klebsiella pneumoniae* (10,0%), *Enterobacter*+*St.aereus*+*Proteus vulgaris* (5,4%), *St.epidermidis* + *Proteus vulgaris* + *Enterobacter* (5,4%). შედარებით იშვიათად გვხვდებოდა ენტ-რობაქტერიების ასოციაცია გრამ-დადებითი და სხვა გრამ-უარყოფითი ბაქტერიების სხვადასხვა სახეობებთან.

კლინიკაში ავადმყოფის შემოსვლის პირველი 48 საათის განმავლობაში დამწვრობის ჭრილობის ზედაპირიდან მიკროორგანიზმების გამოთხვის ანალიზმა გვიჩვენა, რომ მიკროორგანიზმის ასოციაციები გამოიყო შემთხვევათა 87,2%-ში, ხოლო მონოკულტურა - 12,8%. ღრმა დამწვრობის ჭრილობიდან გამოყოფილი მიკროორგანიზმები ასოციაციაში გვხვდებოდა შედარებით იშვიათად (69,4%), მაშინ როცა მონოკულტურა გამოითხესა შემთხვევათა 30,6%-ში.

ჭრილობის ბიოპტატების დინამიკაში შესწავლამ გვიჩვენა, რომ უკვე მე-5-12 დღიდან ხდებოდა მიკროფლორის თვისობრივი და რაოდენობრივი შედგენილობის ცვლილება, კერძოდ, საკმაოდ ხშირად გამოიყოფოდა გრამ-უარყოფითი მიკროფლორის სხვადასხვა სახეობები (უპირატესად ენტ-რობაქტერიები). ზედაპირული დამწვრობის დროს მასალის სხვადასხვა ვადებში აღებისას 1 გ ქსოვილში ბაქტერიების რაოდენობა (ერთეული შემთხვევების გარდა) არ აღემატებოდა კრიტიკულ დონეს. ღრმა დამწვრობის შემთხვევაში 1 გ ქსოვილში ბაქტერიების რაოდენობა მკვეთრად იზრდებოდა მე-5-12 დღიდან და აღემატებოდა კრიტიკულ დონეს, რაც სეფსისის განვითარებაში რისკფაქტორს წარმოადგენს.

მიღებული მონაცემები საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ 1 გ ქსოვილში ბაქტერიების განსაზღვრა წარმოადგენს სარწმუნო მაჩვენებელს სეფსისის ადრეული დიაგნოსტიკისათვის.

ენტ-რობოტექსიგნობა შესწავლილ იქნა სხვადასხვა ხარისხის დამწვრობის მქონე 142 ავადმყოფისაგან გამოყოფილ 190 შტამში.

დადგენილ იქნა, რომ ენტერობაქტერიათა 190 შტამიდან ენტერობაქტერიათა შოქსიგენური იყო შტამების $66,8 \pm 3,4\%$ (125) და ისინი მიეკუთვნებოდნენ ენტერობაქტერიების ოჯახის სხვადასხვა წარმომადგენლებს. საკმაოდ ხშირი იყო ენტეროტოქსინის სინოჟზის უნარის გამოვლენა *E.coli*-ს ($53,6 \pm 6,6\%$), *Proteus vulgaris*-ს ($81,4 \pm 5,9\%$), *Klebsiella pneumoniae*-ს ($77,7 \pm 8,0\%$), *Enterobacter aerogenes*-ს ($59,0 \pm 10,4\%$), *Proteus mirabilis*-ს ($66,6 \pm 27,2\%$), *Edwardsiella spp.*-ს ($66,6 \pm 19,2\%$), *Hafnia alvei*-ს ($66,6 \pm 19,2\%$), *Providensia spp.*-ს ($80,0 \pm 17,8\%$).


Proc. Georgian Acad. Sci., Biol. Ser., 2001, vol. 27, No 1-3.

სხვადასხვა ჯგუფის

გრამ-უარყოფითი პლიოიაზური მიკრობული უტამების ბიოლოგიური თავისებურებების დახასიათება

მ. მიქელაძე

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიკრობიოლოგიის, ვირუსოლოგიის და იმუნოლოგიის კათედრა

მიღებულია 7.02.2001

ქვლევის მიზანს შეადგენდა პოსპიტალური გრამ-უარყოფითი უტამების რეგიონალური თავისებურებების შესწავლა. ჩვენს მიერ შესწავლილი გრამ-უარყოფითი უტამები გამოირჩეოდნენ პათოგენობის მაღალი მაჩვენებლებით, მაღალი ჰემოლიზური და ბ-ლაქტამური თვისებებით.

საკვანძო სიტყვები: პოსპიტალური შტამი, ბ-ლაქტამაზა, ჰემოლიზი, პათოგენური, ფერმენტაცია

საავადმყოფოსშიდა ინფექციების პრობლემამ ბოლო წლებში შეიძინა განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნისათვის. ე.წ. პოსპიტალური ინფექციების სწრაფი ტემპით ზრდა სერიოზულ კლინიკურ და ეპიდემიოლოგიურ პრობლემას წარმოადგენს საქართველოს სხვადასხვა სტაციონარისათვისაც [4, 5].

ბოლო წლებში პოსპიტალურ ინფექციათა შორის აღინიშნება ჩირქოვან-სეპტიური ინფექციების ზრდა პირობით-პათოგენური ბაქტერიების ხარჯზე, რაც გამოწვეულია როგორც სანიტარულ-პიგიენური და ეპიდემიის საწინაამდეგო რეჟიმის დარღვევით, ისე პოსპიტალური მაღალვირულენტული შტამების მნიშვნელოვანი

ცირკულაციით [3]. ამ მიზნით საჭიროდ ჩავთვალეთ შეგვესწავლა სხვადასხვა სტაციონარიდან გამოყოფილი გრამ-უარყოფითი პოსპიტალური შტამების მიკრობიოლოგიური თვისებები.

მასალა და მათოდება

შესწავლილ იქნა 1988-1998 წლებში ქ. თბილისის ქირურგიული პროფილის კლინიკებიდან გამოყოფილი 1477 გრამ-უარყოფილი შტამი.

მიკრობთა ინდენტიფიკაცია და მათი ბიოლოგიური თვისებების შესწავლა ხდებოდა კლასიკური ბაქტერიოლოგორიური მეთოდებით [1, 2, 6]. გამოყოფილი გრამ-უარყოფითი შტამების ბიოტიპირებისათვის ჩვენს მიერ გამოყენებულ იქნა “СИБ” (საიდენტიფიკაციო ქაღალდების სისტემა) და ავტომატიზებული სისტემები.

შედეგები და მათი განხილვა

ჩირქოვან-სეპტიური დაავადებების დროს პათოლოგიური მასალის გამოკვლევის შედეგად 2453 შტამიდან 1477, ანუ $60,2 \pm 0,99\%$, გრამ-უარყოფითი შტამი აღმოჩნდა.

პელევის პერიოდში სულ გამოყოფილი პროტეუსის 237 შტამიდან 173 შტამი, ანუ გამოყოფილი პროტეუსის $72,99 \pm 2,88\%$ მეორადი გართულებების გამოწვევი აღმოჩნდა.

პროტეუსის გვარის მიკროორგანიზმების ბიოლოგიური თვისებების შესწავლისას (ცხრილი 1) აღმოჩნდა, რომ გამოკვლეული მიკრობების მხოლოდ $4,64 \pm 1,37\%-ს$ შეუძლია ინდოლის წარმოქმნა, ლიზინის პროდუქციის უნარი არ აღმოაჩნდა არც ერთ მიკრობს, მეთილის წითელოან რეაქციას იძლეოდა *Proteus* spp.-ს $100\%-ი$, ფოჯ-პროსკაურის რეაქცია დადგებითი აღმოაჩნდა შესწავლილ მიკრობთა $27,85 \pm 2,91\%-ს$, H_2S -ის და ურეაზას პროდუქციის უნარი აღმოაჩნდა შესწავლილი შტამების $100\%-ს$, ასევე ყველა წარმომადგენელი მოძრავი იყო. სხვა ენტერობაქტერიებთან შედარებით პროტეუსის გვარის მიკრობები ნახშირწყლების მცირე ფერმენტაციით ხა-

სიათებოდნენ: ისინი ვერ შლიდნენ ლაქტოზას და მანიტს, მხოლოდ $35,44 \pm 3,1\%$ -ი აფერმენტებდა საქართვის, ხოლო გლუკოზის ფერმენტაციას მჟავასა და გაზის წარმოქმნით ახდენდა ყველა შესწავლილი პროცესის შტამი. ბ-ლაქტამაზას პროდუქციის და ერთორიციტების პემოლიზის უნარმა კი განსაკუთრებით პროტეინების პოსპიტალურ შტამებში იმატა. კერძოდ, $91,56 \pm 1,81\%$ -ის და $71,1 \pm 3,45\%$ -ის შემთხვევაში ხდებოდა ამ ფერმენტების სინთეზი. სხვადასხვა სახის გართულებების ეტიოლოგიაში ერთ-ერთი წამყვანი აღილი *E.coli*-საც უჭირავს. შესწავლილი 2453 შტამიდან 356 შტამი ანუ $14,51 \pm 0,74\%$ სწორედ ნაწლავის ჩხირის ჯგუფს მიეკუთვნებოდა, ხოლო *E.coli*-ის 356 შტამიდან 209 შტამი ანუ $58,7 \pm 2,61\%$ პოსპიტალური შტამი აღმოჩნდა.

ცხრილი 1

ენტერობაქტერიების ოჯახის ზოგიერთი წარმომადგენლის ბიოქიმიური ნიშნები

ნიშნები (%)	მიკრობის გვარი		
	<i>E. coli</i>	<i>Proteus spp</i>	<i>Klebsiella spp</i>
ინდოლის წარმოქმნა	100	$4,64 \pm 1,37$	0
მეთილის წითელთან რეაქცია	$97,19 \pm 0,88$	100	0
ფოგეს-პროსკაუერის რეაქცია	$6,46 \pm 1,3$	$28,27 \pm 2,93$	$98,68 \pm 1,31$
ციტრატის უტილიზაცია	$9,27 \pm 1,54$	$27,85 \pm 2,91$	$97,37 \pm 1,84$
H ₂ S-ის წარმოქმნა	0	100	0
ურეაზას პროდუქცია	0	100	100
ლიზინის პროდუქცია	$34,55 \pm 2,52$	0	$98,68 \pm 1,31$
მომრაობა	100	100	0
ლაქტოზის	100	100	100
ლაქტოზის	100	0	100
საქართვის	$57,02 \pm 2,62$	$35,44 \pm 3,10$	100
მანიტის	100	0	100

ნაწლავის ჩხირების ბიოლოგიური თვისებების შესწავლამ აჩვენა, რომ ჩვენს მიერ შესწავლილი შტამები გამოირჩეოდნენ ნახშირ-



წყლების მაღალი ფერმენტაციის უნარით, კერძოდ, ყველა შტამპის მომადგენელი ახდენდა გლუკოზას, ლაქტოზას და მანიტის ფერმენტაციას. საქართვის ფერმენტაციის შესწავლილი შტამპის $57,02 \pm 2,62\%$ აწარმოებდა. ყველა შტამპი იყო მოძრავი და წარმოქმნიდა ინდოლს. შესწავლილი *E.coli*-ის $97,19 \pm 0,88\%$ ჰქონდა მეთილენის წითელთან დადებითი რეაქცია ლიზინ-დეკარბოქსილაზას აპოდუცირებდა შესწავლილი შტამპის $34,55 \pm 2,52\%$. ფოგჯაროსკაურის რეაქცია და ციტრატის უტილიზაცია დადებითი აღმოჩნდა *E.coli*-ის $6,46 \pm 1,3\%-სა და 9,27 \pm 1,54\%-ში$, *H₂S*-ის წარმოქმნა და ურეაზას პროდუქცია არ აღინიშნებოდა არც ერთ შტამში. ნაწლავის ჩხირების $84,27 \pm 1,93\%-ს$ ჰქონდა ბ-ლაქტამაზის სინთეზის უნარი. შესწავლილი *E.coli*-ის პოსპიტალური შტამპის $88,52 \pm 2,2\%-ს$ აღმოაჩნდა ჰემოლიზის უნარი.

კლევის პერიოდში შესწავლილი იქნა კლებსიელების 76 შტამი, რომელთა $28,94 \pm 5,52\%$ აღმოჩნდა საავადმყოფოსშიდა გართულებების გამომწვევი. მათი ბიოლოგიური თვისებების შესწავლის შედეგად ვნახეთ, რომ გამოკვლეული შტამპის ყველა წარმომადგენელი ახდენდა ნახშირწყლების ფერმენტაციის, ფოგჯაროსკაურის რეაქცია დადებითი აღმოჩნდა შესწავლილი შტამპის $98,68 \pm 1,31\%-ის$ შემთხვევაში, ციტრატის უტილიზაცია შეეძლო კლებსიელების შტამპის $97,37 \pm 1,84\% -ს$, ურეაზასა და ლიზინის პროდუქციას ახდენდა შტამპის, შესაბამისად, 100% და $98,68 \pm 1,31\%$. კლებსიელების არც ერთი წარმომადგენელი არ წარმოქმნიდა ინდოლს და *H₂S*-ს, არ მოძრაობდა და მეთილის წითელთან რეაქცია იყო უარყოფითი. ბ-ლაქტამაზას სინთეზის უნარი აღმოაჩნდა კლებსიელების $61,64 \pm 5,58\%-ს$.

ჩირქოვან-სეპტიკური გართულებების დროს პათოლოგიური მასალის გამოკვლევის შედეგად სულ გამოყოფილი 2453 შტამიდან 635 შტამი ანუ საერთოდ შესწავლილი კულტურების $25,88 \pm 0,88\%$, *P.aeruginosa*-ს სახეობას მიეკუთვნებოდა, ხოლო, ჩირქმბადი ლურჯ-მწვანე ჩხირების გამოყოფილი კულტურების $74,8 \pm 1,72\%$ (475) კი აღმოჩნდა პოსპიტალური გართულებების გამომწვევი და, ძირითადად, ავადმყოფის კლინიკაში მოხვედრიდან 48 საათის

შემდეგ და მეორადი გართულებების პროცესში იქნა გამოყოფილი. გამოყოფილი შტამების დიფერენციაცია ხდებოდა ბიოლოგიური თვისებების მიხედვით (ცხრილი 2). ჩირქმბარდი ლურჯ-მწვანე ჩხირების ყველა გამოყოფილი შტამი იყო მოძრავი და იზრდებოდა 42°C -ზე. ისინი იყვნენ კატალაზა – დადებითები, არ წარმოქმნიდნენ ლეციტინაზას, ინდოლს და გოგირდწყალბადს, შესწავლილი შტამები არ აფერმენტირებდნენ ლაქტოზას და მალტოზას, არ შლიდნენ ლიზინს და ფენილალანინს. შესწავლილი ლურჯ-მწვანე ჩხირების $82,68 \pm 1,5\%$ ახდენდა ერითროციტების ჰემოლიზს. შტამების $84,57 \pm 1,43\%$ შლიდა ქსილოზას, ხოლო $85,67 \pm 1,4\%$ კი გალაქტოზას და ციტრატს. შესწავლილი შტამების $93,23 \pm 0,99\%$ წარმოქმნიდა ჩირქმბადი ლურჯ-მწვანე წყალში ხსნად პიგმენტს. β -ლაქტამაზური აქტიობა აღმოაჩნდა შესწავლილი შტამების $87,56 \pm 1,31\%-ს$, ხოლო ჩირქმბადი ლურჯ-მწვანე ჩხირების ჰოსპიტალურ შტამებში საგრძნობლად იმატა ამ მაჩვენებელმა და 475 შტამიდან 469 შტამი ანუ $98,74 \pm 0,51\%-ს$ აღმოაჩნდა ამ ფერმენტის სინთეზის უნარი.

ცხრილი 2

P. aeruginosa-ს ბიოქიმიური თვისებები

გვარი	P. aeruginosa
ჰემოლიზი	$82,68 \pm 1,5\%$
ციტრატი	$85,67 \pm 1,4\%$
მოძრაობა	100%
ლაქტოზა	-
მალტოზა	-
ქსილოზა	$84,57\% \pm 1,43\%$
გალაქტოზა	$85,67 \pm 1,4\%$
H ₂ S-ის წარმოქმნა	-
ინდოლი	-
ლიზინი	-
კატალაზა	100%
ლეციტინაზა	-
ფენილალანინი	-
ზრდა 42°C -ზე	100%
პიგმენტი	$93,23 \pm 0,99\%$

ამრიგად, ჩვენი რეგიონის გრამ-უარყოფითი პოსპიტალური შტამებისათვის დამახასიათებელია პათოგენური თვისებების მკვეთრად გამოხატული უნარი, კერძოდ, მაღალი პემოლიზური და β -ლაქტამაზური აქტივობა.

ლიტერატურა

1. Беляков В.Д., Ряпис Л.А., Илюхик В.И. Псевдомонады и псевдомонозы. М., Медицина, 1990, с 223.
2. Биргер М.О. Справочник по микробиологическим и вирусологическим методам исследования. М., Медицина, 1982, с 46.
3. Внутрибольничные инфекции. Под ред. В.П. Венцела. М, Медицина, 1989, с.655.
4. Профилактика внутрибольничных инфекций. Под. ред. Е.П. Ковалевой, Н.А. Семиной. М., 1993, с. 223.
5. Чиквиладзе Д.П. Сравнительная характеристика этиологической структуры, эпидемиологических особенностей и методов эпиднадзора и контроля госпитальной инфекции. Докторская дисс., Тбилиси, 1998 г.
6. Lenntte E.B., Ballons A., Hauster W. Manual of Clinical Mycrobiology. Washington, Am. Soc. Microbiol. 1985, 509-521.

BIOLOGICAL CHARACTERISTICS OF THE GRAM-NEGATIVE CLINICAL MICROBIAL STRAINS OF DIFFERENT GROUPS

M. Mikeladze

Department of Microbiology, Virology and Immunology, Tbilisi State Medical University

SUMMARY

Investigation of regional characteristics of the gram-negative microbial hospital strains has shown that the gram-negative strains are highly pathogenic, with high capacity for hemolysis and characterized with β -lactamic properties.

საქ. მეცნ. აკად. მაცნე, სერ. ბიოლ., 2001, გ. 27, № 1-3.

Известия АН Грузии, сер. биол., 2001, т. 27, № 1-3.

Proc. Georgian Acad. Sci., Biol. Ser., 2001, vol. 27, No 1-3.

პოსპიტალური ინფექციების გამოხვევა

პოლირეზისტერული ჟურნალის პლაზმიდური აცალიზი

მ. მიქელაძე, დ. ჩიკვილაძე

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიკრობიოლოგიის, ვირუსოლოგიისა და იმუნოლოგიის კათედრიდა

მიღებულია 15.01.2001

კვლევის მიზანს წარმოადგენს ქ. თბილის ქირურგიული პროცედურის კლინიკებიდან გამოყოფილ პოსპიტალურ შტამებში ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტობის მაღეტერმინირებელი R-პლაზმიდების შესწავლა.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სხვადასხვა დროს გამოყოფილი შტამები შეიძლება შეიცავდნენ ერთნაირი მოლეკულური მასების მქონე R-პლაზმიდებს და, შესაბამსად, ერთნაირ ფენოტიპურ ნიშნებსაც. გარდა ამისა, ისინი მიეკუთვნება შეუთავსებლობის იმ ჯგუფებს, რომლებიც გამოირჩევა მასპინძელი მიკრობების ფართო წრით.

საკვანძო სიტყვები: პოსპიტალური შტამები, პოლირეზისტენტული შტამები, R-პლაზმიდები, კონიუგაციური და არაკონიუგაციური პლაზმიდები, ელიმინაცია, შეუთავსებლობის ჯგუფები.

პოსპიტალური ინფექციების გამომწვევი შტამები მიკრობთა იმ სახეობებს მიეკუთვნება, რომლებიც სწრაფად იძენენ რეზისტენტობას არა მარტო სშირადსმარებული ანტიბიოტიკების მიმართ, არამედ ისინი სწრაფად ხდებიან პოლირეზისტენტულნი კლინიკებში ახლადდამკვიდრებული ანტიბიოტიკების მიმართაც [1, 4].

გენეტიკური თვალსაზრისით რეზისტენტობის ჩამოყალიბების სამი ძირითადი მექანიზმია: ქრომოსომული, პლაზმიდური და დაკავ-

შირებული შედწევადობასთან. პოსპიტალური შტამების მრავლობით რეზისტენტობის ჩამოყალიბებაში ძირითად პრობლემას პლაზმიდური მექანიზმი წარმოადგენს, რადგან ეს ეხება ბაქტერიათა თითქმის ყველა სახეობას [7, 8].

პათოგენურ პოსპიტალურ შტამებს შორის ანტიბიოტიკების მიმართ მრავლობითრეზისტენტობის მკვეთრი ზრდა განპირობებულია წამლეული პრეპატარებისადმი რეზისტენტობის მაღეტერმინირებელი R-პლაზმიდების საკმაოდ მაღალი გავრცელებითა და მიგრაციის უნარით [3].

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ქ. ობილისის ქირურგიული პროფილის კლინიკებიდან გამოყოფილ პოსპიტალურ შტამებში სხვადასხვა ჯგუფის ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტობის მაღეტერმინირებელი კონიუგაციური და არაკონიუგაციური R-პლაზმიდების შესწავლა.

გასაღა და გათოდება

ანტიბიოტიკორეზისტენტობის მაღეტერმინირებელი R-პლაზმიდების გავრცელების შესწავლის მიზნით ჩვენ შევარჩიეთ სტაფილოკოკების 24, ჩირქმბადი ლურჯ-მწვანე ჩხირების 26 და პროტეუსის გვარის ბაქტერიების 21 შტამი, რომლებიც 1990-1997 წლებში გამოყოფილ და შესწავლილ იქნა ქირურგიული პროფილის კლინიკებიდან და გამოირჩეოდნენ მაღალი პოლირეზისტენტობით.

კონიუგაციური პლაზმიდების გადატანას და პლაზმიდური ლნმ-ის გამოყოფას ვახდენთ სტანდარტული მეთოდებით [6,7]. პლაზმიდების მოლეკულური მასები ისაზღვრებოდა ცნობილი მარკერებით [8].

უძრებები და გათი გახსილვა

აკრიდინის ნარინჯისფერის გამოყენებით მოვახდინეთ სტაფილოკოკების 24 პოლირეზისტენტული შტამების ელიმინაცია რეპლიკების მეთოდით. ელიმინაცია განიცადა შესწავლილი შტამების 97,17%-შა. გამოკვლევამ ამ მიმართულებით დაგვანახა, რომ ოქროსფერი

სტაფილოკოკების R-პლაზმიდებმა გააფართოვა მოქმედების დიაჰემონიზმი და ხშირად ახდენდა ერთდროულად რამოდენიმე ანტიბიოტიკისადმი რეზისტენტობის დეტერმინირებას. ოქროსფერი სტაფილოკოკების 17 შტამიდან გამოყოფილ იქნა პლაზმიდური დნმ, რომელთა მოლეკულური მასები იცვლებოდა 1.8 MD-დან 18.0 MD-მდე, რომლებიც ახდენდნენ სხვადასხვა ჯგუფის ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტობის დეტერმინირებას (პენიცილინი, ოქსაცილინი, ერითრომიცინი, ქლორამფენიკოლი, ამიკაცინი, ვიბრამიცინი, როცეფინი, კლაფორანი). პლაზმიდები შედარებით დაბალი მოლეკულური მასით აღტერმინირებენ 1-2 ანტიბიოტიკისადმი რეზისტენტობას, ხოლო მაღალმოლეკულურ-მასიანი პლაზმიდები განაპირობებენ შტამების პოლირზისტენტობას. ამავე დროს, სხვადასხვა პერიოდში, სხვადასხვა წყაროებიდან გამოყოფილი მიკრობული პლაზმიდები ერთნაირი მოლეკულური მასის და ფენოტოლური ნიშნების მატარებლებიც აღმოჩნდნენ.

ჩირქებადი ლურჯ-მწვანე ჩხირების პოლირზისტენტული შტამების R-პლაზმიდების დახასიათებისთვის შესწავლილ იქნა მიკრობის 26 შტამი. დონორი და რეციპიენტი შტამების კონიუგაციის შედეგად დადგინდა, რომ შესწავლილი შტამების 19,2% შეიცავდა რეზისტენტობის R-პლაზმიდას.

შესწავლილ შტამებში აღწერილ იქნა ის პლაზმიდები, რომლებიც ახდენდნენ იმ გენების გადაცემას, რომლებიც იწვევდნენ ამიკაცინის, გენტამიცინის, ვიბრამიცინის, როცეფინის, კლაფორანის, ხინოდისის, კლარიტრომიცინისა და ცეფობიდის მიმართ რეზისტენტობის დეტერმინირებას. *P.aeruginosa*-ს შესწავლილი კონიუგაციური პლაზმიდები ძირითადად ეპუთვნის შეუთავესებლობის Inc PI ჯგუფს და შეუძლიათ ფართოდ გავრცელება არა მარტო ამ სახეობის, არამედ სხვა სახეობების მიკრობთა შორისაც.

რეზისტენტობა ციპროფლოქსაცინის, პოლიმიქსინის, ხინოდისის, კლარიტრომიცინისა და ცეფალექსინის მიმართ არ კონტროლდება არაქრომოსომული R-ფაქტორით. პროტეუსის 21 შტამის შესწავლისას, 52,4%-მა განიცადა ელიმინაცია. რეზისტენტობის დეტერმინანტების შესწავლა კონიუგაციის მეთოდითაც ხდებოდა. შე-



სწავლილი პლაზმიდები შეიცავენ გენებს, რომლებიც ასედენუნ ამიკაციის, ქლორანფენიკლის, გენტამიცინის, ვიბრამიცინის და ცეფოპერაზონის მიმართ რეზისტენტობის დეტერმინირებას.

კონიუგაციური პლაზმიდების დახასიათებისას მივედით იმ დასკვნამდე, რომ ისინი ატარებენ რეზისტენტობის დეტერმინირებას ამიკაციის, ვიბრამიცინის, ცეფოპერაზონისადმი და მიეკუთვნება *E.coli*-ის პლაზმიდების შეუთავსებლობის I, T, და N ჯგუფებს.

როდესაც მოვახდინეთ პროტეუსის შტამების შეჯვარება ფსეუდომონების ტესტ-შტამებთან, პროტეუსის შტამებს აღმოაჩნდათ ასევე ჩირქებადი ლურჯ-მწვანე ჩხირების Inc PI შეუთავსებლობის პლაზმიდებიც, რადგანაც ამ ჯგუფის პლაზმიდებს გააჩნიათ მიგრაციის დიდი დიაპაზონი, ამიტომ შეუძლიათ პოსპიტალური შტამების ფორმირებაშიც მიიღონ მონაწილეობა. პროტეუსის შტამებში ამიკაციის, პენიცილინის, კლაფორანის, ხინოდისის, კლარიტრომიცინისა და ერითრომიცინის რეზისტენტობა, როგორც ჩანს არ არის განპირობებული არაქრომოსომული ფაქტორით.

ამრიგად, ქირურგიული პროფილის კლინიკებიდან გამოყოფილი პროტეუსის შტამების R-პლაზმიდები მიეკუთვნებიან აგრეთვე *E.coli*-ისა და *P.aeruginosa*-ს შეუთავსებლობის ჯგუფებს და ფართოდ არიან გაურცელებული პოსპიტალურ შტამებს შორის.

ცხრილი 1

ჩირქებადი ლურჯ-მწვანე ჩხირების პოსპიტალური შტამების გამოყოფილი პლაზმიდები

პლაზმიდა	ფენოტიპი	შეუთავსებლობის ჯგუფი	მოლეკულური მასა (MD)
pS9	Vbr, Clr, Gmr, Ac, Tra+	Inc PI	240
pS21	Clr, Vbr, Tra+	Inc PI	125
pS33	Clr, Gmr, Acr, Rcr, Tra+	Inc PII	240
pS37	Sm+, Acr, Gmr	Inc PIV	120
pS142	Clr, Vbr, Cmr, Tra+	Inc III	285

**პროტეუსის შტამებიდან გამოყოფილი პლაზმიდები,
რომლებიც მიეკუთვნება E.coli-ს შეუთავსებლობის ჯგუფს**

პლაზმიდა	ფენოტიპი	შეუთავსებლობის ჯგუფი	მოღვაწეულური მასა (MD)
pTK72	Gm ^r , Vb ^r , Tra ⁺	T	39
pI211	Gm ^r , Ac ^r , Tra ⁺	I	45
pI19	Gm ^r , Ac ^r , Tra ⁺	I	45
pMT84	Vb ^r , Sc ^r , Tra ⁺	M	28
pMN53	Ac ^r , Cl ^r , Tra ⁺	N	34
pMT94	Gm, Ac ^r , Vb ^r , Tra ⁺	M	30

ზემოთ განხილული მასალის ანალიზიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ წამლეული პრეპარატებისდმი რეზისტენტობის ჩამოყალიბების მაღეტერმინირებელი R-პლაზმიდები ფართოდ არიან გაგრცელებული ქ. თბილისის ქირურგიული პროფილის კლინიკური დიდან გამოყოფილ ჰოსპიტალურ შტამებში. ამავე დროს, სხვადასხვა პერიოდში გამოყოფილი შტამები შეიძლება შეიცავდეს ერთნაირი მოღვაწეულური მასის მქონე იმ R-პლაზმიდებს, რომლებიც ფენოტიპურად ერთნაირი ნიშნების გამოვლენის დეტერმინირებას ახდენენ და “მასპინძელი” მიკრობ-ორგანიზმების ფართო წრით ხასიათდებიან.

ლიტერატურა

1. Абросимова Н.А., Кущнарева Н.В. Ж. Антибиотики и химиотерапия, 1994, 1, 38-41.
2. Бородин А.М., Анисимова Л.А. Антибиотики, 1984, 9, 678-695.
3. Габисония Т.Г., Чиракадзе И.Т., Чиквидадзе Д.П. и др. Известия АН ГССР, Серия биол., 1990, 16, 5, 318-323.
4. Дьяченко В.Ф., Москаленко В.Ф., Калиниченко Н.Ф. и др. Ж. микробиол. эпидемиол. и иммунологии, 1999, 3, 82-83.
5. Поляновский О.Д., Носиков В.В. Итоги науки и техники. Биологическая химия, ВНИИТИ, 1978, с. 14.
6. Kado C.I., Liu S.T. J. Bacteriol., 1981, 145, 3, 1365-1373.
7. Meyers I., Sanchez D., Elwell L.P. J. Bacteriol., 1976, 127, 1529-1537.
8. Neu H.C. Am. J. Med., 1984, 77, 11-23.

PLASMID ANALYSIS OF THE HOSPITAL INFECTION POLYRESISTANT STRAINS

M. Mikeladze, D. Chikviladze

Department of Microbiology, Virology and Immunology, Tbilisi State Medical University

SUMMARY

The hospital infection microbial strains obtained from surgical clinics of Tbilisi have been investigated with an aim to study R-plasmids, which determine the antibiotic resistance of these strains.

It was shown that the strains isolated at various periods may contain R-plasmids of similar molecular weight and, respectively, they possess similar phenotypes. Besides, they belong in the incompatibility group, which is characterized with wide range of the host-microbes.

საქ. მეცნ. აკად. მაცნე, სერ. ბიოლ., 2001, გ. 27, № 1-3.

Известия АН Грузии, сер. биол., 2001, т. 27, № 1-3.

Proc. Georgian Acad. Sci., Biol. Ser., 2001, vol. 27, No 1-3.

კასტრირებული ცხოველების თირკმელზედა ჯირკვალში აღოჩესანური ღიაბეტით გამოვლენაში ცვლილებები

ლ. ნიუარაძე

საქართველოს მეცნერებათა აკადემიის ა. ნათიშვილის სახელობის
ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი

მიღებულია 12.03.2001

აღოქვანური დიაბეტის დროს, კასტრირებული ვირთაგვების თრკმელ-ზედა ჯირკვლის ქერქის სამიერ ზონის უჯრედული სტრუქტურების ფართი კარგად გამოხატულ ცვლილებებს განიცდის. მათი მაჩვენებლები გაზრდილია. ეს განსაკუთრებით კარგად ვლინდება ცდის 90-ე დღეს გორგლოფან და ბაგირაკოფან ზონებში. აქედან გამომდინარე, აღოქვანური დიაბეტის დროს კასტრირებული ვირთაგვების თრკმელზედა ჯირკვლის ქერქში მორფოლოგიურ და ფუნქციურ დარღვევას აქვს აღვილი.

საკვანძო სიტყვები: თირკმელზედა ჯირკვლის ქერქი, აღოქსანური დიაბეტი, ბირთვი, ციტოპლაზმა, ვირთაგვა

ექსპერიმენტული შაქრიანი დიაბეტის აპრობირებულ მოდელს აღოქსანური დიაბეტი წარმოადგენს. აღოქსანური დიაბეტის კვლევისას დადგინდა, რომ იგი იწვევს თირკმელზედა ჯირკვლის პიპერტროფიას. აღნიშნული ნაშრომის მიზანს წარმოადგენს კასტრირებული ვირთაგვების თირკმელზედა ჯირკვლის ქერქოვანი ნივთიერების სხვადასხვა ზონის უჯრედების რეაქციის დადგენა აღოქსანური დიაბეტის განვითარების პირობებში, მორფომეტრული მეთოდის გამოყენებით.

გასაღა და მეთოდები

კვლევა ჩატარდა 180-200 გ წონის 25 თეთრ მამრ ვირთაგვაზე. დიაბეტის ვიწვევდით ინტრააპლომინალურად, ცხოველთა 1 კგ წონაზე 200 მგ ალოქსანის ერთჯერადი შეყვანით. საცდელ ცხოველებს დაკვლამდე 4 დღით ადრე უტარდებოდათ კასტრაცია. საცდელ და საკონტროლო ცხოველებს გადავდით დეკაპიტაციით, ალოქსანის შეყვანიდან 14, 30 და 90 დღის შემდეგ. შაქრიანი დიაბეტის განვითარებას ვადგენდით სისხლში შაქრის შემცველობის მიხედვით. შაქრის შემცველობის დონეს ვსაზღვრავდით ორთოტოლუიდინის მეთოდით. თირკმელზედა ჯირკვლის სხვადასხვა ზონის უჯრედთა ბირთვისა და ციტოპლაზმის ფართის დასაღვენად ვიყენებდით ფირმა “Leitz”-ის ტექსტური ანალიზის სისტემას “Tasplus”, რომელიც აღჭურვილია მიკროსკოპ Orthoplan და სატელევიზიო კამერით. ობიექტების შესწავლა ხორციელდებოდა 630 გადიდების პირობებში. მიღებული მონაცემები მუშავდებოდა სტატისტიკურად საშუალო არითმეტიკული და საშუალო ცდომილების დადგენით ($M \pm m$). სარწმუნოების ხარისხი დგინდებოდა სტიუდენტის t-კრიტერიუმის გამოყენებით.

შედეგები და მათი განხილვა

ალოქსანური დიაბეტით დაავადებული კასტრირებული ცხოველების თირკმელზედა ჯირკვლის ქერქის სხვადასხვა ზონის უჯრედებში აღინიშნებოდა უჯრედებისა და ბირთვის ფართის კარგად გამოხატული ცვლილებები. ასე მაგალითად დიაბეტის განვითარების მე-14 დღეს გორგლოვან ზონაში ბირთვის ზომა მხოლოდ 93% იყო ნორმასთან შედარებით, მაშინ როდესაც ციტოპლაზმისა და უჯრედის საერთო ფართი საკმაოდ ადემატიზოდა ნორმის მონაცემებს და შესაბამისად შეადგენდა 224% და 117%. ბაგირაკოვან ზონაში იგივე მონაცემები ასე გამოიყურებოდა: ბირთვში 104%, ციტოპლაზმაში – 128% და უჯრედის საერთო ფართი – 123%.

თირკმელზედა ჯორგოლის ქერქული შრის ზონების უჯრედების, ბირთვებისა და ციტოპლაზმების ფართობთა მაჩვენებლები აღოქსინური დიაბეტის განვითარების სხვადასხვა ვადაში კასტრირებულ გირთაგვებში

			უჯრედი	ბირთვი	ციტოპლაზმა
გორგლოვანი ზონა	ნორმა	M	305.23	68.24	236.99
		m	4.01	1.07	3.82
	მე-14 დღე	M	359.07	63.70	295.37
		m	4.32	0.81	4.18
		T	9.14	3.39	10.32
		P	<0.001	<0.02	<0.001
	30-ე დღე	M	458.99	79.10	379.89
		m	5.84	0.58	5.79
		T	24.48	8.92	20.46
		P	<0.001	<0.001	<0.001
	90-ე დღე	M	452.27	72.45	379.82
		m	3.72	0.59	3.67
		T	26.89	3.45	26.70
		P	<0.001	<0.01	<0.001
ბაგირაკოვანი ზონა	ნორმა	M	506.19	103.50	402.69
		m	7.31	1.26	6.23
	მე-14 დღე	M	627.42	108.48	518.94
		m	6.73	0.78	6.68
		T	12.20	3.37	12.43
		P	<0.001	<0.01	<0.001
	30-ე დღე	M	654.68	110.52	544.16
		m	5.67	0.95	5.10
		T	16.05	4.45	17.16
		P	<0.001	<0.001	<0.001
	90-ე დღე	M	696.29	121.76	574.53
		m	7.26	0.89	7.27
		T	18.44	11.84	17.58
		P	<0.001	<0.001	<0.001
ბადებრივი ზონა	ნორმა	M	380.01	87.48	292.53
		m	3.40	0.74	3.49
	მე-14 დღე	M	425.66	98.14	327.52
		m	3.40	0.74	3.49
		T	6.34	7.05	5.10
		P	<0.001	<0.001	<0.001
	30-ე დღე	M	387.66	84.50	303.16
		m	4.65	0.89	5.03
		T	1.33	2.57	2.06
		P	>0.1	<0.02	<0.05
	90-ე დღე	M	364.28	61.32	302.96
		m	2.82	0.62	2.76
		T	3.56	26.95	2.67
		P	<0.01	<0.001	>0.02



ბადებრივ ზონაშიც შეინიშნებოდა ფართის მომატების ტენდენცია და ბირთვში მისი მაჩვენებელი 110%-ით გამოიხატებოდა, ხოლო ციტოპლაზმაში – 111% და უჯრედის საერთო ფართი კი 112%-ით. ცდის 30-ე დღისათვის გორგლოვან და ბაგირაკოვან ზონებში ფართის მატების ტენდენცია კიდევ უფრო მკვეთრად ისახებოდა.

ასე მაგალითად, ბირთვის ფართი ორივე ზონაში სათანადოდ ტოლია 15% და 106%-სა, ციტოპლაზმის კი 160% და 135%, უჯრედის საერთო ფართი კი 150% და 129%-ის, ბადებრივი ზონა კი სულ სხვა ტენდენციას ავლენს. მისობობის დამახასიათებელი აღმოჩნდა ბირთვის ფართის შემცირება (96%) და წინა ვადასთან შედარებით შემცირებულია აგრეთვე ციტოპლაზმისა (103%) და უჯრედის საერთო ფართიც (102%). ცდის 90-ე დღისათვის გორგლოვან ზონაში ბირთვის ფართის მაჩვენებელი 106%-ია, რაც ცდის მე-14 დღესთან შედარებით შესამჩნევად მომატებულია, მაგრამ 30-ე დღის მონაცემებთან შედარებით შემცირებულია. იგივე ტენდენცია იგრძნობა ციტოპლაზმის (120%) და უჯრედის საერთო ფართთან დაკავშირებით (148%).

ბაგირაკოვან ზონაში ბირთვის ფართი 117%-მდე იზრდება და აგრეთვე ციტოპლაზმის (142%) და უჯრედის საერთო ფართიც (137%). ბადებრივ ზონაში კი ფართს ტენდენცია აქვს კლებისაკენ და ბირთვში მისი მაჩვენებელი მხოლოდ 70%-ია, ციტოპლაზმაში 103%, ხოლო უჯრედის საერთო ფართი კი 95%-ს ძლივს აღწევს (ცხრილი I).

ამრიგად, ჩატარებული კვლევის საფუძველზე შეიძლება ვიგარაუდოთ, რომ ანდროგენი უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობს დიაბეტის ფორმირებაში, ვიდრე აქამდე იყო ცნობილი.

ლიტერატურა

1. *Belloni A. Diabetologia* 1988, 1, 13-19.
2. *Del Conte E. Arch. Anat. M.* 1995, 71, 149.
3. *Liu C. Journal of Pathology*, 1996, 6, 358-360.

THE CHANGES IN ADRENAL CORTEX OF THE CASTRATED ANIMALS WITH ALLOXAN DIABETES

L. Nijaradze

A. Natishvili Institute of Experimental Morphology, Georgian Academy of Sciences, Tbilisi

SUMMARY

The experiment was carried out in castrated alloxan diabetic rats. Morphological method revealed that extension of the terms of alloxan diabetes development is accompanied with the increase of the area of adrenal cortical cells, which is especially evident on the 90th day of the experiment.

Thus adrenal cortex undergoes morphological and functional changes.

საქ. მეცნ. აკად. მაცნე, სერ. ბიოლ., 2001, გ. 27, № 1-3.

Известия АН Грузии, сер. биол., 2001, т. 27, № 1-3.

Proc. Georgian Acad. Sci., Biol. Ser., 2001, vol. 27, No 1-3.

ცუკლების მჯავაბის სინთეზის ცვლილებები თირკმელზედა ჯირპვალში აღოჩსანური ღიაბატის განვითარებისას

ლ. ნიუარაძე

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. ნათიშვილის სახელობის
ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი

მიღებულია 12.03.2001

როგორც გამოკვლევების შედეგად დადგენილია, რომ ალთქანური შაქრიანი
დიაბეტის დროს თირკმელზედა ჯირკვლა ჰიპერტონიას განიცდის.
ნაშრომში ნაჩვენებია, რომ ვირთაგვების თირკმელზედა ჯირკვლის
ქრებული შრის თითოეული ზონის უჯრედული სტრუქტურების ფართი
აღოქსანური დიაბეტის განვითარების ვადების მატებასთან ერთად
იზრდება. რაც შეეხება ღნმ და რნმ სინთეზის ინტენსივობას, იგი ჯერ
ძლიერდება და მერე მკვეთრად მცირდება. ე.ო. ამ დროს თირკმელზედა
ჯირკვლის ქრებული მორფოლოგიურ და ფუნქციურ ცვლილებებს განიცდის.

საკვანძო სიტყვები: თირკმელზედა ჯირკვლის ქრები, ღნმ, რნმ,
ბირთვი, ვირთაგვა

ორგანიზმი მიმდინარე მეტაბოლურ დარღვევათა კვლევის ერთ-
ერთ მოდელს წარმოადგენს ალოქსანური დიაბეტი [1]. ალოქსანური
დიაბეტის განვითარების ადრეულ პერიოდში, ორგანიზმის სხვა-
დასხვა ორგანოსა და ქსოვილში შეიმჩნევა ფუნქციური და მორფო-
ლოგიური ცვლილებები. ვინაიდან აღნიშნული პათოლოგიის დროს
მორფოლოგიური კვლევების შედეგად მიღებული მონაცემები

მცირერიცხოვანი და ურთიერთსაწინააღმდეგოა [2, 3], ამდენად, მიზანი შეწონილად ჩავთვალეთ თირკმელზედა ჯირკვლის ქერქის სხვადასხვა ზონის უჯრედთა ფართისა და დნმ და რნმ სინთეზის ცვლილებების დადგენა აღოქსანური დიაბეტის განვითარების პირობებში.

მასალა და მთოლიძა.

კვლევა ჩატარდა 180-200 გ წონის 25 ოქტომბრის მამრ კირთაგვაზე დიაბეტის ვიწვევდით ინტრააბდომინალურად, ცხოველთა 1 გბ წონაზე 200 მგ ალოქსანის ერთჯერადი შეყვანით. საცდელ და საკონტროლო ცხოველებს ვკლავდით დეკაპიტაციით ალოქსანის შეყვანიდან 14, 30 და 90 დღის შემდეგ. შაქრიანი დიაბეტის განვითარებას ვადგენდით სისხლში შაქრის შემცველობის მიხედვით. შაქრის შემცველობის დონეს ვსაზღვრავდით ორთოტოლუიდინის მეთოდით. თირკმელზედა ჯირკვლის სხვადასხვა ზონის უჯრედთა ბირთვისა და ციტოპლაზმის ფართის დასადგენად ვიყენებდით ფირმა “Leitz”-ის ტექსტური ანალიზის სისტემას “Tasplus”, რომელიც აღჭურვილია მიკროსკოპი Ortoplan და სატელევიზიო კამერით. ობიექტების შესწავლა ხორციელდებოდა 630-X გადიდების პირობებში. მიღებული მონაცემები მუშავდებოდა სტატისტიკურად საშუალო არითმეტიკული და საშუალო ცდომილების დადგენით ($M \pm m$). სარწმუნოების ხარისხი დგინდებოდა სტიუდენტის t-კრიტურულის გამოყენებით. რადიომეტრული ანალიზისათვის თირკმელზედა ჯირკვლის ქსოვილის დაქუცმაცებულ ნაჭრებს ვათავსებდით ფლაკონებში, რომლებშიც იყო 5 მლ არგ-199, რომლებშიც შემდეგ შეგვქონდა ცალ-ცალკე ^3H -თიმიდინი – დნმ-ს განსასაზღვრად და ^3H -ურიდინი რნმ-ს სინთეზის განსასაზღვრისათვის. ინკუბაცია გრძელდებოდა 90 წუთი. აღნიშნული ქსოვილის ნაჭრები იწონებოდა და ჰომოგენიზაციის შემდეგ თავსდებოდა ფლაკონებში სცინტილაციის სითხით. ქსოვილის რადიომეტრირება ხორციელდებოდა დანადგარ “ბეტა-2”-ით.

უდეგები და მათი განხილვა

ჩვენ მიერ ჩატარებული ცდების შედეგად გაირკვა, რომ კვლევის აღრეულ ვადაზე (მე-14 დღე) ალოქსანური დიაბეტით დაავადებული ცხოველების თირკმელზედა ჯირკვლის ქრექის სხვადასხვა ზონის უჯრედებში ადგილი აქვს უჯრედებისა და ბირთვის ფართის გამოხატულ ცვლილებებს, კერძოდ, გორგლოვან ზონაში აღინიშნება ბირთვის ზომის შემცირება და მისი მაჩვენებელი შეადგენს 89% ნორმასთან შეარებით, ხოლო ციტოპლაზმის მოცულობა მომატებულია 117%-ით, მომატებულია აგრეთვე უჯრედის საერთო ფართიც (110%). ბაგირაკოვან ზონაში უკვე აღინიშნება ბირთვის ფართის მატება და იგი 106%-ის ტოლია ნორმასთან შედარებით, მატულობს აგრეთვე ციტოპლაზმის ფართიც, რომელიც 128%-ს უტოლდება, ხოლო ტენდენცია უჯრედის საერთო ფართის ზრდისა ამ შემთხვევაშიც შენარჩუნებულია (124%-ია). ბადებრივ ზონაში ბირთვის ფართის ცვლილებებს ადგილი არა აქვს, მაგრამ მომატებულია ციტოპლაზმის ფართი (129%) და აგრეთვე უჯრედის საერთო ფართიც (126%-ია). ცდის 30-ე დღისათვის გორგლოვან ზონაში ბირთვის ფართი 90%-ის ტოლია, ნორმასთან შედარებით მისი ფართი შემცირებულია. სამაგიეროდ გაზრდილია როგორც ციტოპლაზმის (123%), ასევე უჯრედის საერთო ფართიც (116%). ბაგირაკოვან ზონაში ბირთვის ფართი საგრძნობლად მომატებულია (111%-ია), მისი მატება მნიშვნელოვანია როგორც ნორმასთან, ასევე მე-14 დღესთან შედარებით. ციტოპლაზმის ფართის მაჩვენებელიც მომატებულია (145%-ია). არც უჯრედის საერთო ფართის მაჩვენებელია მცირე, მისი პროცენტული ფარდობა ნორმასთან შედარებით 138%-ს უდრის. უნდა აღინიშნოს, რომ ეს უკანასკნელი ნორმასა და წინა ვადასთან შედარებით საგრძნობლად მომატებულია. ბადებრივ ზონაში, ბირთვის ფართი ტოლი იყო, ნორმასთან შედარებით, 117%-ის, ციტოპლაზმის – 114%-ს, ხოლო უჯრედის საერთო ფართი – 115%-ს.

თირკმელზედა ჯირკეგლის ქერქული შრის სხვადასხვა ზონის უჯრედების, ბირთვებისა და ციტომელაზმების ფართობთა მაჩვენებლები აღოქმისანური დიაბეტის განვითარების სხვადასხვა გადაში

			უჯრედი	ბირთვი	ციტომელაზმა
გორგლოვანი ზონა	ნორმა	M	305.23	68.24	236.99
		m	4.01	1.07	3.82
	მე-14 დღე	M	338.56	60.92	277.64
		m	4.67	0.66	4.50
		T	5.42	5.83	6.83
		P	<0.001	<0.001	<0.001
	30-ე დღე	M	354.31	61.54	292.77
		m	2.87	0.58	3.11
		T	9.96	5.49	9.40
		P	<0.001	<0.001	<0.001
	90-ე დღე	M	371.28	69.35	301.93
		m	3.34	0.50	3.18
		T	12.72	0.28	12.99
		P	<0.001	>0.1	<0.001
ბაგირაკოვანი ზონა	ნორმა	M	506.19	103.50	402.69
		m	7.31	1.26	6.23
	მე-14 დღე	M	628.78	109.84	518.94
		m	3.95	0.74	3.79
		T	14.76	4.35	15.59
		P	>0.1	<0.001	>0.1
	30-ე დღე	M	703.12	115.26	587.86
		m	4.59	1.36	4.68
		T	22.81	6.36	23.42
		P	>0.1	<0.001	>0.1
	90-ე დღე	M	725.33	117.20	608.13
		m	5.05	0.79	6.14
		T	24.66	9.23	23.18
		P	<0.001	<0.001	<0.001
ბადებრივი ზონა	ნორმა	M	380.01	87.48	292.53
		m	3.40	0.74	3.49
	მე-14 დღე	M	480.68	101.84	378.58
		m	4.52	1.44	4.29
		T	12.43	8.85	15.60
		P	<0.001	<0.001	<0.001
	30-ე დღე	M	439.79	102.94	336.85
		m	5.34	1.10	5.11
		T	9.44	11.65	6.23
		P	<0.001	<0.001	<0.001
	90-ე დღე	M	376.26	71.22	304.99
		m	4.07	0.66	6.17
		T	0.71	16.35	2.40
		P	>0.1	<0.001	<0.05

ცდის 90-ე დღეს გორგლოვან ზონაში აღინიშნება ტენდენცია ბირთვის, ციტოპლაზმისა და უჯრედის საერთო ფართის ზრდისა: ბირთვის – 101%-ით, ციტოპლაზმის – 127%-ით, უჯრედის ფართისა – 121%-ით. ბაგირაკოვან ზონაში ეს ტენდენცია გრძელდება და პროცენტული ფარდობა ასეთია: ბირთვის ფართის მატება 113%-ის ტოლია, ციტოპლაზმის – 150%, ხოლო უჯრედის საერთო ფართისა – 143%-ს მხოლოდ ბადებრივ ზონაში აღინიშნება მიდრეკილება ფართის კლებისაკენ, გარდა ციტოპლაზმისა, სადაც აღინიშნება ფართის უმნიშვნელო მატება (105%). ბირთვის ფართის მაჩვენებელი 81%-ს შეადგენს, ხოლო უჯრედის საერთო ფართისა 99%-ს (იხ. ცხრილი 1).

თირკმელზედა ჯირკვლის ქსოვილის რადიომეტრიზების შედეგად გაირკვა, რომ ცდიდან მე-14 დღეს ადგილი ჰქონდა როგორც რნმ-ს, ასევე დნმ-ს სინთეზის გაძლიერებას. რნმ-ს სინთეზი მომატებული იყო 360%-ით, ხოლო დნმ-ს – 302%-ით. მაგრამ შემდეგ ვადებში აღინიშნებოდა სინთეზის ინტენსივობის კლება, ასე მაგ., 30-ე დღეს რნმ-ს სინთეზი ნორმასთან შედარებით 199%-ით იყო გაზრდილი, ხოლო დნმ-ს – 261%-ით, მაგრამ წინა ვადასთან შედარებით დაკლებული. 90-ე დღისათვის კი სინთეზის ინტენსივობა ძლიერ მცირე იყო და იგი რნმ-ისათვის 15%, ხოლო დნმ-ისათვის 28%-ს უდრიდა (ცხრილი 2).

ცხრილი 2

თირკმელზედა ჯირკვლის ქერქოვან ნივთიერებაში დნმ და რნმ სინთეზის მაჩვენებლები ალოქსანური დიაბეტის განვითარების სხვადასხვა ვადაში

		დნმ	რნმ
ნორმა	M	970320.0	1312741.00
	m	279820.0	332259.00
მე-14 დღე	M	2930366.4	4734928.00
	m	255108.8	794563.50
	T	0.45	2.55
	P	>0.1	<0.1
30-ე დღე	M	2538772.0	2624541.00
	m	186090.4	9490579.00
	T	0.50	0.51
	P	>0.1	>0.1
90-ე დღე	M	278922.2	206164.40
	m	59837.3	98017.37
	T	3.87	4.60
	P	>0.1	<0.01

ამრიგად, ჩატარებულმა კვლევებმა გამოავლინა, რომ ალოქსანტური დიაბეტის განვითარება იწვევს თირკმელზედა ჯირკვლის ქერქოვანი შრის თითოეული ზონის უჯრედული სტრუქტურის და რნბ-ს და დნმ-ს სინთეზის მნიშვნელოვან ცვლილებებს, რაც აღბათ განპირობებულია მეტაბოლური ძვრებით.

ლიტერატურა

1. Баранов В.Г. Экспериментальный сахарный диабет. Ленинград, 1983.
2. Mazzocchi G. et al. Experimental pathology, 1990, 2, 65-71.
3. Rebuffat P. et al. Reseach in Experimental Medicine. 1990, 1, 1-12.

CHANGES OF NUCLEIC ACIDS SYNTHESIS IN ADRENAL GLAND DURING DEVELOPMENT OF ALLOXAN DIABETES

L. Nijaradze

A. Natishvili Institute of Experimental Morphology, Georgian Academy of Sciences, Tbilisi

SUMMARY

The experiments were carried out in alloxan diabetic rats. The experiments revealed that adrenal cortex undergoes pathological changes during Alloxan diabetes. The areas of the cells, nuclei and cytoplasm, belonging to each of the cortex layers increase alongside with the extension of the terms of alloxan diabetes development, especially on the 90th day of the experiment, when the whole area of *zonna fasciculata* cells totals 143%. Intensity of DNA and RNA syntheses increases at the beginning and then sharply decreases. Thus adrenal cortex undergoes morphological and functional changes.

საქ. მეცნ. აკად. მაცნე, სერ. ბიოლ., 2001, გ. 27, № 1-3.

Известия АН Грузии, сер. биол., 2001, т. 27, № 1-3.

Proc. Georgian Acad. Sci., Biol. Ser., 2001, vol. 27, No 1-3.

ბაზმვია კეთილთვისებიანი პარციალური ეაილეფსიებისა და მათი მონათვავე სინდრომების მარცნალობის თავისებურებები

ნ. ოქუჯავა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

მიღებულია 2.04.2001

წარმოდგენილ ნაშრომში შედარებულია ოსპოლოტის (სულთამის) და სხვა
ანტიკონფულსოური საშუალებების ეფექტურობა ბაგშეთა კეთილთვისებიანი
პარციალური ეპილეფსიებია და მათი მონათვავე სინდრომების დროს. ჩვენ
გაკვირდებოდათ 22 აგადმყოფს - 14 გაუსა და 8 გოგონას 2-დან 12 წლის
ასაკში ბაგშეთა კეთილთვისებიანი პარციალური ეპილეფსიების ტაბური
ფორმებიდან დაფიქსირდა როლანდური ეპილეფსის 13 შემთხვევა, დანარჩენ 9
აგადმყოფს აღენიშნებოდა ეწ. ატიბური სინდრომებია ყველა აგადმყოფს
უტარდებოდა დეტალური ელექტრონულეფალოგრაფიული (ემგ), კლინიკური
და ნეიროფსიქოლოგიური გამოკვლევა. კატამნეზის ხანგრძლივობა შეადგენდა
2-6 წელიწადის. ბაგშეთა ტიპური და ატიბური პარციალური ეპილეფსიური
სინდრომების სხვადასხვა ანტიკონფულსანტებით მკურნალობის შესწავლამ
აჩვენა, რომ სულთამი (ოსპოლოტი) უნდა წარმოადგენდეს პირველი
არჩევანის პრეპარატს ბაგშეთა კეთილთვისებიანი იღიაბათოური პარციალური
ეპილეფსიების როგორც ტიპურ, ასე ატიბურ შემთხვევებში, რაღაც მისი
ზემოქმედებით ხდება არა მხოლოდ გულყრების გაიშვათება, არამედ ეგზ
სერატისა და ფსიქო-მენტალური სტატუსის გაუმჯობესება. ამავე დროს
პრეპარატს გააჩნია მინიმალური გვერდითი ეფექტები და ამდენად შეიძლება
რეკომენდირებული იქნას ზემოთაღიშნული სინდრომების ინიციალური მკურნა-
ლობისათვის. სულთამის დანიშნვა მიზანშეწინდღია როგორც მონითერაბის
სახით, ასე კომბინაციაში სხვა ანტიკონფულსანტებთან რეზისტენტული
გულყრების არსებობის შემთხვევაში.

საკვანძო სიტყვები: ბაგშეთა კეთილთვისებიანი პარციალური ეპილეფ-
სია, ოსპოლოტი.

უკანასკნელ პერიოდში, რიგი ავტორების გამოკვლეულის საფუძველზე, მნიშვნელოვნად შეიცვალა მიღებომა ბავშვთა კეთილთვისებიანი პარციალური ეპილეფსიების სინდრომული კლასიფიკაციის მიმართ. პერძოდ, გამოითქვა მოსაზრება, რომ არსებობს რამდნიმე ეპილეფსიური სინდრომი, რომელიც ელექტროენცეფალოგრაფიული (მებ) ნიშნებით და გულურათა კლინიკური მიმდინარეობით არის იდენტური ტიპური კეთილთვისებიანი პარციალური ეპილეფსიებისა, მაგრამ ამავე დროს მათ ახასიათებს უხეში ნევროლოგიური და ფსიქო-მენტალური ცვლილებების არსებობა. ამგვარი სინდრომები განისაზღბრება როგორც ატიპური კეთილვისებიანი პარციალური ეპილეფსიები, ან ტიპური სინდრომების მონათესავე დაავადებები. ასეთი მიღებომის შემთხვევაში სინდრომოლოგიური დეფინიციის ამოსავალ წერტილად მიჩნეულია სპეციფიკური მახვილი ტალღები მებ-ზე, რომელიც უნდა წარმოადგენდეს გენეტიკური ანომალიის ელექტროფიზიოლოგიურ სიმპტომს. ბავშვთა ტიპურ კეთილთვისებიან პარციალურ ეპილეფსიურ სინდრომებს მიეკუთვნება: ბავშვთა კეთილთვისებიანი პარციალური ეპილეფსია ცენტრო-ტემპორალური სპაკებით (როლანდური ეპილეფსია (რმ)), ბავშვთა ეპილეფსია ოქციპიტალური პაროქსიზმებით, კეთილთვისებიანი ფსიქომოტორული ეპილეფსია და კეთილთვისებიანი პარციალური ეპილეფსია მკვეთრი სომატოსენსორული გამოწვეული პოტენციალებით. ატიპური კეთილთვისებიანი პარციალური ეპილეფსიების ჯგუფში შედის: ფსევდოლენოქსის სინდრომი, ლანდაუ-კლეფნერის სინდრომი, ელექტრული ეპილეფსიური სტატუსი ნელ ძილში (მმ) [2, 3, 4, 7, 8, 9].

ზემოთჩამოთვლილი ეპილეფსიური სინდრომების ნოზოლოგიური ერთიანობის თვალსაზრისით განხილვის შემდეგ მიზანშეწონილია მათი მკურნალობის საერთო სტრატეგიული სქემის განხილვა. უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვთა ტიპური კეთილთვისებიანი პარციალური ეპილეფსიების მკურნალობის სქემის შემუშავაბისას დგება ერთი პრინციპული საკითხი, საჭიროებს თუ არა დაავადებათა ეს ჯგუფი მედიკამენტურ მკურნალობას როგორც ასეთს, რადგან, როგორც ცნობილია, გულურებს აქვს ტენდენცია თავისთავადი გაქრობისაკენ

პუბლიკური პერიოდში. უფრო მეტიც, რიგი ავტორების მონაცემებით, გულერები სპონტანურად ქრება მკურნალობისაგან დამოუკიდებლად [1]. თუმცა ამჟამად არსებული მოსაზრებით, მედიკამენტური მკურნალობის ჩაუტარებლობის გადაწყვეტილების მიღება საჭიროებს რეგულარულ ეეგ და კლინიკურ დაკვირვებას იმისათვის, რომ დადგინდეს არა მხოლოდ კლინიკური მიმდინარეობის კურსი, არამედ ინტერიტალური განტვირთვების სიხშირის, მორფოლოგიისა და ტოპოგრაფიის ცვლილებები როგორც ღვიძილის, ისე ძილის მდგომარეობაში, რადგან სწორედ ეს ნიშნები შეიძლება მიუთითებდეს ტიპური კეთილთვისებიანი პარციალური სინდრომის უფრო მძიმე, ატიპურ ფორმად ტრანსფორმაციის დაწყებაზე [1, 5, 6].

რაც შეეხება ტიპური კეთილთვისებიანი ეპილეფსიების მედიკამენტურ მკურნალობას, გერმანელი ავტორები [1, 5, 6], განსხვავებით სხვა მკვლევარებისაგან, პირველი რიგის და მეტად ეფექტურ პრეპარატად მიიჩნევენ სულთიამს (ოსპოლოტი) 5-10 მგ/კგ წონაზე. პრეპარატის ეს დოზა, როგორც წესი, გარდა მსუბუქი პიპერვენტილაციისა, სხვა გვერდითი მოქმედებებით არ ხასიათდება. აღსანიშნავია, რომ სულთიამი სწრაფად აწესრიგებს როგორც კლინიკურ სურათს, ასევე ღვიძილისა და ძილის ეეგს. მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზოგიერთ პაციენტში, უმეტესად რამდენიმე თვის შემდეგ, ადგილი აქვს რეციდივს და ამ შემთხვევაში სულთიამის დოზის გაზრდითაც კი ვეღარ ხდება ხელახალი თერაპიული ეფექტის მიღწევა. ზოგჯერ ასეთ დროს ეფექტურია სულთიამის კომბინაცია კლოპაზამთან (0,1-0,3 მგ/კგ), რაც კვლავ იძლევა საშუალებას მივაღწიოთ გულერების კლინიკურ კონტროლს და შეგამციროთ ძილთან დაკავშირებული პიპერსინქრონული აქტივობის მატება ეებ-ზე. მიუხედავად გერმანელი ავტორების მიერ არაერთხელ გამოქვეყნებული დამაიმედებელი შედეგებისა, სულთიამმა ჯერ-ჯერობით ვერ პოვა გავრცელება მსოფლიოში აღნიშნული ეპილეფსიური სინდრომების მკურნალობისათვის. ტრადიციული ანტიკონვენციური საშუალებებიდან პირველი რიგის პრეპარატებად მიჩნეულია ფენიტოინი და ვალპროის მჟავა, ნაწილი

ავტორებისა მიუთითებს ფენობარბიტალისა და კარბამაზეპინის წარმატების წილობრივ ეფექტურობაზე. საყურადღებოა, რომ კლინიკური ეფექტის მიღწევა შესაძლებელი ხდება ანტიკონვულსანტების შედარებით დაბალი დოზების გამოყენებით [1]. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავებით სულთიამინისაგან, ზემოთჩამოთვლილი პრეპარატები არ იწვევს ეეგ სურათის სანაციას, უფრო მეტიც, ზოგიერთი მონაცემების თანახმად, კარბამაზეპინმა შესაძლოა მოახდინოს ეს პროცესირება [2].

რაც შეეხება ბავშვთა კეთილთვისებიანი პარციალური ეპილეფსიების ატიპურ ჯგუფს, ისევე როგორც ტიპურ შემთხვევებში, რიგი გერმანელი ავტორებისა რეკომენდაციას იძლევიან მკურნალობა დაიწყოს სულთიამით ან სულთიამისა და კლობაზამის კომბინაციით [2, 3, 7]. მკურნალობის ეფექტურობის კრიტერიუმად მიღებული უნდა იქნას არა კლინიკური სურათი, არამედ დგიძილისა და განსაკუთრებით ძილის ეეგ. აღსანიშნავია, რომ ეებ-ს გაუმჯობესების პირობებში ადგილი აქვს ავადმყოფთა მდგომარეობის მკვეთრ გაუმჯობესებას არა მარტო გულყრების, არამედ ფსიქო-მენტალური სტატუსის თვალსაზრისითაც. თუ ზემოთადწერილი მკურნალობა უეფექტო აღმოჩნდება, მიზანშეწონილია სტეროიდული თერაპიის ჩართვა: პრედნიზონი – 2 მგ/კგ, ან აკტჰ (15-30 ერთეული/მ² სხეულის მოცულობისა). ზოგიერთ შემთხვევაში გამოხატული ფსიქო-მენტალური ჩამორჩენისა და მეტყველებითი დეფიციტის დროს, სტეროიდული მკურნალობა რედუცირებული დოზებით გრძელდება თვეების განმავლობაში ძილის ეებ-ს კონტროლით). ახალი თაობის ანტიკონვულსანტებიდან ეფექტურად მიჩნეულია ვიგაბატრინი 50-100 მგ/კგ). არსებობს წინასწარი მონაცემები იმის თაობაზე, რომ ვალპროატისა და ეტოსუქსიმიდის კლონაზეპამთან კომბინაციით შესაძლოა ერთგვარი გაუმჯობესების მიღწევა ეს ზოგიერთ შემთხვევაში [1, 2, 3, 6].

ბავშვთა იდიოპათიური პარციალური ეპილეფსიებისა და მათი მონათესავე სინდრომების მკურნალობის შეწყვეტისას ყურადღებაში მიიღება შემდეგი კრიტერიუმები:

- გულყრების გაქრობა და ეებ სურათის ნორმალიზაცია

- ფსიქომენტალური განვითარებისა და მეტყველების სფეროს დარღვევების მაქსიმალური შემცირება.

- ნეირო-ფსიქოლოგიური ტესტირების მეთოდებისა და ძილის მებ-ს რეგულარული კონტროლი კლინიკური თერაპიული ეფექტის ობიექტივიზაციისათვის.

პრობლემის ზემოთმყვანილი დაყენებიდან გამომდინარე, გარკვეულ ინტერესს წარმოადგენს ოპტიმალური თერაპიული ტაქტიკის შემუშავება ბავშვთა კეთილთვისებიანი პარციალური ეპილეფსიების ტიპები და ატიპური ფორმებისათვის.

მასალა და გეთოდება

ჩვენ ვაკვირდებოდით 22 ავადმყოფს – 14 ვაჟსა და 8 გოგონას, 2-დან 12 წლის ასაკში. ყველა ავადმყოფს უზარდებოდა დეტალური ნეიროფსიქოლოგიური ტესტირება და ნევროლოგიური გამოკვლევა. შემოსვლისას ხდებოდა დვიძილისა და ძილის ვიდეო-ელექტრო-ენცეფალოგრაფიული (მებ) მონიტორირება 19-არხიანი დიგიტალური ვიდეო-ეგ სისტემის გამოყენებით. მონიტორირების მინიმალური ხანგრძლიობა შეადგენდა 1 სთ-ს. აგრეთვე სწარმოებდა ფარმაკო-კინეტიკური მონიტორირება. განმეორებითი კლინიკური, ფარმაკო-ლოგიური, მებ და საჭიროების შემთხვევაში, ვიდეო გამოკვლევა ხდებოდა ყოველ 3-6 თვეში ერთხელ კლინიკური ეფექტისა და მკურნალობის შეცვლის საჭიროების გათვალისწინებით. კატამნეზის ხანგრძლივობა სხვადასხვა ავადმყოფში მერყეობდა 2-დან 6 წლამდე.

შედეგები და მათი განხილვა

ავადმყოფები, რომელთაც ჩვენ ვაკვირდებოდით, შემდეგნაირად განაწილდნენ: (ცხრილი 1) ბავშვთა კეთილთვისებიანი პარციალური ეპილეფსიების ტიპური ფორმებიდან დაფიქსირდა როლანდური ეპილეფსის 13 შემთხვევა. დანარჩენ 9 ავადმყოფს აღენიშნებოდა ატიპური სინდრომები, კერძოდ, ერთს – ფსევდოლენოქსის სინდრომი,

ორს – ლანდაუ-კლეფნერის სინდრომი და სამს – ელექტრული ეპილეფსიური სტატუსი ნელ ძილში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ორი პაციენტი, როდესაც დაავადების მსვლელობაში მოხდა როლანდური ეპილეფსიის ტრანსფორმაცია ლანდაუ-კლეფნერის სინდრომად, და, აგრეთვე, ერთი – რომელსაც პქონდა როლანდური ეპილეფსიის ყველა ნიშანი თავის ტვინის უხეში ორგანული დაზიანების ფონზე.

ცხრილი 1

აგადმყოფთა განაწილება სინდრომების მიხედვით

ბაგშვითა კეთილთვისებიანი ბარციალური ეპილეფსიის ტიპიური და ატიპიური ფორმები	აგადმყოფთა რაოდენობა
ტიპური სინდრომები	
– როლანდური ეპილეფსია	13
ატიპური სინდრომები	
– ფსევდო ლენოქსის სინდრომი	1
– ლანდაუ-კლეფნერის სინდრომი	2
– როლანდური ეპილეფსია ლანდაუ კლეფნერის სინდრომი	2
– როლანდური ეპილეფსია თავის ტვინის ორგანული დაზიანების ნიშნებით	1
– ელექტრული ეპილეფსიური სტატუსი ნელ ძილში	3

სხვადასხვა პრეპარატების ზეგაფლენა შესწავლითი შემთხვევების მიმღინარეობაზე

გალპროატი (გპ) (C_{ss} – 70-120 მკგ/მლ)

- როლანდური ეპილეფსია (რე) – 3 შემთხვევა
- კლინიკური ეფექტი – 3
- ესგ გაუმჯობესება – არცერთი
- ფსიქო-მენტალური გაუმჯობესება – შეესაბამებოდა ნორმას
- ეს – 1 შემთხვევა
- კლინიკური ეფექტი – არ აღინიშნა
- ესგ გაუმჯობესება – არ აღინიშნა
- ფსიქო-მენტალური გაუმჯობესება – არ აღინიშნა

კარბამაზეპინი (კბზ) (C_{ss} – 9,6-11,3 მკგ/მლ)

- როლანდური ეპილეფსია – 2 შემთხვევა
- კლინიკური ეფექტი – არ აღინიშნა
- ესგ გაუმჯობესება – არ აღინიშნა
- ფსიქო-მენტალური გაუმჯობესება – შეესაბამებოდა ნორმას

ოსპოლოტი (ოსპ) (C_{ss} – 2,1-4,5 მკგ/მლ)

- როლანდური ეპილეფსია – 7 შემთხვევა
- კლინიკური ეფექტი – 6
- ესგ გაუმჯობესება – 6
- ფსიქო-მენტალური გაუმჯობესება – 2
- ეს – 2 შემთხვევა
- კლინიკური ეფექტი – 2
- ესგ გაუმჯობესება – 2
- ფსიქო-მენტალური გაუმჯობესება – 2
- რეალანდაუ-კლეფნერის სინდრომი – 1 შემთხვევა
- კლინიკური ეფექტი – 1
- ესგ გაუმჯობესება – 1
- ფსიქო-მენტალური გაუმჯობესება – 1

ვ3 ოსპოლოტი (C_{ss} ვ3 – 102 მკგ/მლ, C_{ss} ოსპ – 4,5 მკგ/მლ)

– როლანდური ეპილეფსია – 1 შემთხვევა

კლინიკური ეფექტი – 1

ეეგ გაუმჯობესება – 1

ფსიქო-მენტალური გაუმჯობესება – შეესაბამებოდა ნორმას

ფბ + პრიმიდონი ოსპოლოტი (C_{ss} ოსპ – 4,4 მკგ/მლ)

– რევლანდაუ-კლეფნერის სინდრომი – 1 შემთხვევა

კლინიკური ეფექტი – 1

ეეგ გაუმჯობესება – 1

ფსიქო-მენტალური გაუმჯობესება – არ აღენიშნა

გბზ + ოსპოლოტი (C_{ss} გბზ – 6,6 მკგ/მლ, C_{ss} ოსპ – 3,5 მკგ/მლ)

– რე + შიცენცეფალია – 1 შემთხვევა

კლინიკური ეფექტი – 1

ეეგ გაუმჯობესება – 1

ფსიქო-მენტალური გაუმჯობესება – შეესაბამებოდა ნორმას

ოსპოლოტი + ვპ (C ვპ – 126 მკგ/მლ, C ოსპ – 4,4 მკგ/მლ)

– ფსევდო-ლენოქსის სინდრომი – 1 შემთხვევა

კლინიკური ეფექტი – 1

ეეგ გაუმჯობესება – 1

ფსიქო-მენტალური გაუმჯობესება – არ შეცვლილა

ოსპოლოტი + სტეროიდები + კლობაზამი + ლამიქტალი

(C ოსპ – 4,23 მკგ/მლ)

– ლანდაუ-კლეფნერის სინდრომი – 1 შემთხვევა

კლინიკური ეფექტი – არ აღინიშნა

ეეგ გაუმჯობესება – არ აღინიშნა

ფსიქო-მენტალური გაუმჯობესება – არ აღინიშნა

ოსპოლოტი + ვიგაბატრინი + სტეროიდები + ლამიქტალი

(C ოსპ – 4,6 მკგ/მლ)

– ლანდაუ-კლეფნერის სინდრომი – 1 შემთხვევა

კლინიკური ეფექტი – 1

ეეგ გაუმჯობესება – 1

ფსიქო-მენტალური გაუმჯობესება – 1

ქვემოთ მოყვანილია სხვადასხვა ანტიკონვულსანტებით მკურნალობის დეტალური ანალიზი (სქემა 1). 4 ავადმყოფს (3 რე და 1 ეშ) უტარდებოდა მკურნალობა ვალპროატით, რე 2 შემთხვევაში დანიშნული იყო კარბამაზეპინი, ფართოდ გამოიყენებოდა ოსპოლობი (სულთიამი) – 7 რე, 2 ეშ, 1 რე→ლანდაუ-კლეფნერის სინდრომი. რამდენიმე შემთხვევაში სხვა ანტიკონვულსანტები შეიცვალა ოსპოლობით მკურნალობის უეფექტობის გამო, ასეთ დროს ოსპოლობით მონოთერაპიის ხანგრძლივობა შეადგენდა მინიმუმ 1 წელიწადს, რათა მომხდარიყო აღნიშნული პრეპარატით მკურნალობის ეფექტის მართებული შეფასება. ატიპური პარციალური ეპილეფსიის 3 შემთხვევაში, კლინიკური ეფექტის არარსებობის გამო, საჭირო გახდა პოლითერაპიაზე გადასვლა (პრეპარატთა გამოყენებული კომბინაციები მოყვანილია ცხრილში). კვლა პაციენტს უტარდებოდა ფარმაკოკინეტიკური მონიტორინგით, ანტიკონვულსანტების წონასწორული კონცენტრაცია (Css) მერყეობდა თერაპიულ საზღვრებში. მკურნალობის ეფექტის შეფასება ხდებოდა სამი კრიტერიუმის გათვალისწინებით: 1. კლინიკური ეფექტი (გულყრათა სრული კონტროლი ან გაიშვიათება 50% და მეტად), 2. ეშ გაუმჯობესება (პაროქსიზმული აქტივობის გაქრობა ან მკვეთრი შემცირება როგორც დვიძილის, ისე ძილის შებზე), 3. ფსიქო-მენტალური გაუმჯობესება: მეტყველების ნორმალიზაცია, ქცევითი და ინტელექტუალური გაუმჯობესება (ფასდებოდა ფსიქოლოგის მიერ სპეციალური ტესტების საფუძველზე). აღმოჩნდა, რომ ვალპროატით მონოთერაპიის ჩატარებისას რე სამიერ შემთხვევაში მიღწეული იქნა კარგი კლინიკური ეფექტი მაშინ, როდესაც ეშ პაროქსიზმული აქტივობა პრაქტიკულად არ შემცირებულა. ფსიქო-მენტალური სფეროს მხრივ ავადმყოფებს გადახრა არ ჰქონდათ, რაც შეეხება ეშს მქონე 1 ავადმყოფს, მას კლინიკური გულყრები არ აღენიშნებოდა, ხოლო ელექტრული სტატუსი ნელ ძილში ეგზ-ზე კვლავ რჩებოდა ისევე, როგორც გამოხატული ფსიქო-მენტალური ჩამორჩენა. რე ორივე შემთხვევაში კარბამაზეპინით მონოთერაპია აღმოჩნდა უეფექტო როგორც კლინიკური, ისე ენცეფალოგრაფიული თვალსაზრისით. რე

მქონე 7 ავადმყოფიდან, რომელთაც უტარდებოდათ მონოთერაპია თსპოლოტით, ექვსს აღენიშნა დადებითი კლინიკური და მე ეფექტი. ამ ექვსი ავადმყოფიდან 4 შემთხვევაში ფსიქო-მენტალური სტატუსი შეესაბამებოდა ნორმას, ხოლო ორ ავადმყოფს აღენიშნებოდა ექსპრესიული მეტყველების ზომიერი დარღვევა, ამ უკანასკნელთაგან ორივეს აღენიშნა მეტყველების ნორმალიზაცია მკურნალობის ფონზე. მხოლოდ ერთ პაციენტთან რმ-ს დიაგნოზით თსპოლოტით მონოთერაპია აღმოჩნდა უეფექტო. რაც შეეხება ატიპურ ფორმებს, მეს-ის ორ და რმ-ს ლანდაუ-კლეფნერის სინდრომად ტრანფორმაციის ერთ შემთხვევაში აგრეთვე დაინიშნა მონოთერაპია თსპოლოტით. ორ ავადმყოფს მეს-ით კლინიკური გულყრები არ ჰქონია, მაგრამ აღენიშნა მებ და ფსიქო-მენტალური გაუმჯობესება, 1 ავადმყოფს დიაგნოზით რე ლანდაუ კლეფნერის სინდრომი აღენიშნა როგორც კლინიკური, ისე მებ და ფსიქო-მენტალური გაუმჯობესება. სამ ავადმყოფს სხვადასხვა ანტიკონგულსანტები შეეცვალა თსპოლოტით პირვანდელი მკურნალობის უეფექტობის გამო. რე 1 შემთხვევაში ვალპროატი შეიცვალა თსპოლოტით და მიღწეული იქნა როგორც კლინიკური, ისე მებ ეფექტი. ერთ ავადმყოფს დაუდგინდა რე ტრანსფორმაცია ლანდაუ-კლეფნერის სინდრომად. ფენობარბიტალითა და პრიმიდონით პოლითერაპია აღმოჩნდა უშედეგო, რის შემდეგ ავადმყოფი გადაყვანილ იქნა თსპოლოტით მონოთერაპიაზე, რამაც გამოიღო კარგი კლინიკური და მებ ეფექტი ფსიქო-მენტალური გაუმჯობესების გარეშე. ერთ ავადმყოფს, რომელსაც თავის ტვინის უხეში ორგანული დაზიანებების ფონზე აღენიშნებოდა ტიპური რე, ინიციალური მკურნალობა უტარდებოდა კარბამაზეპინით. კლინიკური და მებ გაუმჯობესების მიღწევა ამგვარი მკურნალობით ვერ მოხერხდა და კარბამაზეპინი შეიცვალა თსპოლოტით, რამაც გამოიწვია გულყრების კონტროლი და მკვეთრი დადებითი დინამიკა მებ-ზე. 3 ავადმყოფს ატიპური ფორმებით დაეწყო ინიციალური მკურნალობა თსპოლოტით, მაგრამ იმდენად, რამდენადაც დადებითი დინამიკის მიღწევა ვერ მოხერხდა ავადმყოფები გადაყვანილ იქნენ პოლითერაპიაზე. ფსევდო-ლენოქსის სინდრომის ერთ შემთხვევაში

ოსპოლოტს დაემატა ვალპროატი, ამგვარი კომბინაციით მოხერხდა კლინიკური და ესბ გაუმჯობესების მიღწევა, ხოლო ფსიქო-მენტალური სფერო დარჩა უცვლელი. ერთ ავადმყოფს ლანდაუ-კლეფნერის სინდრომით ოსპოლოტთან ერთად ეძლეოდა ლამიქტალი, ხოლო პერიოდულად – კლოპაზამი და სტეროიდები, მაგრამ მიუხედავად ამგვარი დონისძიებებისა ხანგრძლივი ეფექტის მიღწევა ვერ მოხერხდა განსხვავებით ლანდაუ-კლეფნერის სინდრომის მეორე შემთხვევისაგან, სადაც ოსპოლიტის, ვიგაბატრინის, ლამიქტალისა და სტეროიდების კომბინაციით მოხდა როგორც კლინიკური, ისე ესბ და ფსიქო-მენტალური გაუმჯობესების მიღწევა.

